27 დეკ 2011
603 №16573

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2011
№ 283 (13 580) ფასი 80 თეთრი

12 საგზური დარიგებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

9

ჩვენი საფიქრალის ნაკრები

ორ სიტყვაში ჩატეული წაღმა-უკუღმა

დავინახოთ ნაკლები

მოძალადე ბრაზილიელები

ბრაზილიურ ფეხბურთში მოძალადე ფეხბურთელები მომრავლდნენ. ამ წლის დასაწყისში „მარსელის“ ყოფილ ფეხბურთელს **ბრანდაოს** გაუპატიურებაში დასდეს ბრალი და ფორვარდი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

რამდენიმე დღის წინ, „რომასა“ და „ინტერის“ ნახევარმცველი **მანსინი 32** დღით ჩასვეს ციხეში - მიზეზი აქაც გაუპატიურებაა.

გუშინ კი მორიგი სექს-სკანდალის კიდევ ერთი გმირი აღმოჩნდა ბრაზილიელი **მარსელინიო**.

გერმანიის ბუნდესლიგის ყოფილი ვარსკვლავი ქალაქ კამპინა-გრანდის პოლიციამ გაუპატიურების მცდელობისთვის დააპატიმრა. სიტუაცია სტანდარტულია: 36 წლის ფეხბურთელი კოლეგის მიერ ორგანიზებულ სალამოს სტუმრობდა, იქ ნასვამი ქალბატონი ამოიღო მიზანში და მისი გაუპატიურება სცადა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ სამართალდამცავი ორგანოები. თავად ფეხბურთელი ბრალდებას უარყოფს.

მარსელინიო, რომელიც „მარსელში“, „ჰერტასა“ და „ვოლფსბურგში“ თამაშით არის ცნობილი, დღეისთვის ბრაზილიურ „სპორტ რესიფეში“ გამოდის.

შავ კატებს თავი ნააცალეს

ცუდი შედეგების გამო ინგლისური პრემიერლიგის კლუბმა, „სანდერლენდმა“ მწვრთნელი, სტივ ბრუსი თანამდებობიდან გაუშვა. მიმდინარე ჩემპიონატის 13 შეხვედრიდან „შავმა კატებმა“ მხოლოდ ორი მოიგეს და ოცგუნდიან ცხრილში მე-16 ადგილზე არიან — გასავარდნ სამეულს მხოლოდ ორი ქულით აღემატებიან. ბრუსის ბედი ბოლო ტურში „უიგანთან“ 1:2 წაგებამ გადაწყვიტა. „სანდერლენდის“ თავმჯდომარემ, ელის შორტმა განაცხადა:

„დღეს ჩვენს კლუბში ყველა რთულ დღეშია. ამ მდგომარეობაში ჩავარდნა არავის უნდოდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ გადაწყვეტილება ბრუსის გაშვების შესახებ იოლად არ მიმიღია, მაგრამ თავმჯდომარე ვარ და მოქმედება „სანდერლენდის“ ინტერესებიდან გამომდინარე მევალება. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში ნაჩვენებმა შედეგებმა ყველა გზა მომიჭრა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მწვრთნელის შეცვლა დროულია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სადაურსა სად...

მიმოფანტულები: გოგია, გუჯა და ბევრი სხვაც

ქვეყნები და რიცხვები ქართული გვარების გასწვრივ

ვინ არის უცხოეთის მოქალაქე ქართველ ფეხბურთელებში, აგრეთვე საქართველოსთან დაკავშირებულ მოთამაშეებში ყველაზე ძვირად ღირებული? როდესაც ამ თემით დავინტერესდით, გერმანულ ვებგვერდ "ტრანსფერმარკტში" საინტერესო ცნობებს მივაკვლიეთ.

აქუდავო ლიდერი გერმანიის ბუნდესლიგის "აუგსბურგის" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი **აკაკი გოგიაა**, რომელიც 750 000 ევროდ არის შეფასებული. შემდეგ მოდის გროზნოს "ტერეკის" საყრდენი ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** (500 000). კიევის "დინამოს" ახალგაზრდული გუნდის წევრი, უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **თემურ ფარცვანიაც** საკმაოდ სოლიდურად ფასობს - 400 000 ევრო. ასეთივე ფასი ადევს ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველ **გუჯა რუხაიას**.

აკაკი გოგია

რუსეთის მოქალაქეა სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" ცენტრალური მცველი **იგორ ჩემინავა**, რომელსაც ინტერნეტსაგენტო 200 000 ევროდ აფასებს.

ბევრი ისეთი მოთამაშეცაა, რომელნიც ჯერ ან დიდად არ ფასობენ, ან შეუფასებლები არიან. მაგალითად, ჯერ არ შეფასებულა ყაზანის "რუბინი 2"-ისა და რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **მიხეილ გორელიშვილის** ტრანსფერი. მაღალი რეიტინგი არც კიევის "არსენალის" მეკარე **ვლადისლავ ჩანგელიას** აქვს (50 000).

ამ კვლევა-ძიებაში სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც წავაწყდით. მაგალითად, მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელი **ირაკლი ჭეჟია** რუსეთის მოქალაქე გვეგონა, მას კი ორმაგი, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეობა ჰქონია. ტანმაღალ ცენტრალურ მცველს (187 სმ) რუსეთის 18, 19 და 20-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია. მისი ტრანსფერი 150 000 ევრო ღირს.

ჩვენთვის ასევე სიახლე იყო ის, რომ პერმის "ამკარის" მცველი **ზურაბ ცისკარიძეც** ორმაგი, ამერიკისა და საქართველოს მოქალაქე ყოფილა. 24 წლის ნახევარმცველის ტრანსფერი 100 000 ევროდ შეფასდა. მან რუსულ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში გააფორმა. სხვათა შორის, ზურაბის მამა მომღერალი იყო (საინტერესო ვოკალური კარიერაც ჰქონდა — „ივერიადან" დიდ თეატრამდე), საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკაში დარჩა, ზურაბი კი დედასთან ერთად პოლონეთში დასახლდა. იქვე ეზიარა ფეხბურთს, ჯერ თავდამსხმელი იყო, შემდეგ — მარცხენა ნახევარმცველი, თამაშობდა მარცხენა მცველადაც.

საინტერესოა **შოთა ბიბილოვის** ამბავიც. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" შემტევი ნახევარმცველი 100 000-ად ფასობს. 21 წლის ფეხბურთელი საქართველოშია გაზრდილი და ჩვენებურ თანაგუნდელებს ქართულად ელაპარაკება. ოსეთში ადრევე გადასახლდა, ვლადიკავკაზში დაიწყო ვარჯიში, 18 წლისა კი "ალანიაში" აიყვანეს, რომელიც იმ დროს რუსეთის პირველ ლიგაში გამოდიოდა. გუნდის პრემიერლიგაში გადასვლის შემდეგ ბიბილოვი, ფაქტობრივად, შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა, 2010 წლის ბოლოს კი ნიჟნი ნოვგოროდში **ომარ თეთრაძის** მინვევით ჩაირიცხა.

დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ახალგაზრდული გუნდის 18 წლის თავდამსხმელის **ევგენი ბოხაშვილის** ტრანსფერი ჯერ მხოლოდ 25 000 ევრო ღირს.

კიევის "ობოლონის" ნახევარმცველი **ირაკლი მესხია** კი სამტრედიელია, უკრაინაში კარიერის ასაწყობად ჩავიდა და მოქალაქეობაც ამიტომ მიიღო.

უცხო ქვეყნების მოქალაქე ყველაზე ძვირადღირებული ქართველების ხუთეული ასე გამოიყურება:

1. აკაკი გოგია ("აუგსბურგი", ბუნდესლიგა) - 750 000 ევრო

2. ლევან გვაზავა ("ტერეკი", რუსეთის პრემიერლიგა) - 500 000

3-4. თემურ ფარცვანია ("დინამო", უკრაინის პრემიერლიგა), **გუჯა რუხაია** (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთის პრემიერლიგა) - 400 000

5. იგორ ჩემინავა (სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი", რუსეთის პრემიერლიგა) – 200 000.

მერაბ მამულაშვილი

მაჩვენე შენი სკამი და გეტყვი...

მე-9 ტურში "მეტალურგმა" თბილისის "დინამოს" სტუმრად 3:2 მოუგო, შემდეგ შინ მარტვილის "მერანს" 2:1 სძლია და ჩემპიონატში ლიდერობის შანსი გაიჩინა. რაც მთავარია, ამ პერიოდში გუნდმა შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა.

მაგრამ მე-11 ტურიდან გუნდს დაღმასვლა დაეწყო. ბოლნისში ფრის (2:2) შემდეგ ლანჩხუთში ფოთის "კოლხეთთან" მოულოდნელად 1:3 წააგო. მართალია, რუსთაველებმა ზუგდიდში "ბაია" 2:1 დაამარცხეს, მაგრამ მერე იყო საშინაო 1:1 "გაგრასთან", 14 ტურის შემდეგ კი რუსთაველები ლიდერ "ზესტაფონს" შვიდი ქულით ჩამორჩებიან და მხოლოდ მეხუთე ადგილზე არიან.

რა გახდა ამის მიზეზი? ეს კითხვა "მეტალურგის" მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს დავუსვით.

- ეს ჩავარდნა შემთხვევითი არ იყო. "მეტალურგს" ჩემს ხელში მოსამზადებელი ეტაპი არ გაუვლია. ფეხბურთელებს ტესტირება რომ ჩავუტარეთ, ბიჭების კონდიციები არ მოგვეწონა. შემდეგ იყო ორი სანაკრებო პაუზა და ეს დრო მოთამაშეთა ფუნქციური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოვიყენეთ. მაგრამ მომზადებას სერიოზული საფუძველი თუ არ აქვს, მხოლოდ დროის ხანმოკლე მონაკვეთზე გეყოფა.

ასე თუ ისე, პირველი პერიოდი მაინც კარგად გავიარეთ, მაგრამ ხარვეზებმა მერე და მერე იჩინა თავი. ამას ფეხბურთელთა ტრავმებიც დაემატა. მოდებაძე კი დაგვიბრუნდა, მაგრამ საუკეთესო კონდიციებში ვერ არის, ტრავმირებული იყო და ვერ გვეხმარებოდა რეზო გეწაძე. ჭედიას ოჯახური ტრაგედია ჰქონდა და ისიც ვერ თამაშობდა.

ტრავმებმა თამაშიც აგვირია, ფლანგელები არ გვყავდა და ფეხბურთელთა მათთვის უჩვეულო პოზიციაზე დაყენება მოგვიხდა. არადა, მოთამაშე საუკეთესო თვისებებს თავის ამპლუაში ავლენს. მოკლედ, პრობლემებმა ერთად იჩინა თავი და, სამწუხაროდ, ლიდერობის შანსი ხელიდან ამიტომაც გავუშვით.

- გუნდი გადაღლილი ჩანს. ეს ევროთასზე გამოსვლის შედეგია?

- ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, თუმცა ფეხბურთელებს ზედმეტად არ ვტვირთავდით. ახლა შევეცდებით, ზამთრის შესვენებამდე დარჩენილი პერიოდი მინიმალური დანაკარგებით და მაქსიმალური შედეგით გავიაროთ და მეორე ეტაპისთვის სერიოზულად მოვეზადოთ. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელთა მომზადების დონე გამოსასწორებელია, გარკვეული პოზიციები კი – მოსაღონიერებელი. აუცილებლად დაგვჭირდება ახალი მოთამაშეების დამატებაც.

- თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ ცვლილებებს უკვე გეგმავთ. ეს ცვლილებები რადიკალური იქნება?

- დიახ, ასე იქნება. "ზესტაფონისა" და თბილისის "დინამოს" მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, მათ ორი სრული შემადგენლობა ჰყავთ, ჩვენ კი, სამწუხაროდ, გრძელი სათადარიგოთა სკამით ვერ დავიკვეხნით.

- გეწაძე ახსენეთ, ახლა როგორ არის?

- რეზო "გაგრასთან" ბოლო წუთებზე ვათამაშეთ, უკვე სრული დატვირთვითაც ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ საუკეთესო ფორმაში არ არის. ამის მიუხედავად, მისი დიდი იმედი გვაქვს.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ზესტაფონს გუგუჩია სურს

ლუკა გუგუჩია

საქართველოს ჩემპიონთა მწვრთნელ **გია ჭიაბრიშვილისგან** შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონს" ზუგდიდის „ბაიას" ნახევარმცველის **ლუკა გუგუჩიას** შეძენა სურს.

20 წლის შემტევმა წინა სეზონი ქუთაისის „ტორპედოში" დაასრულა, სადაც ოჯარით იყო განათხოვრებული. სეზონის ბოლოს ქუთაისელები და ზუგდიდელები ფინანსურად ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც გუგუჩია „ბაიას" დაუბრუნდა, ახლა კი, ჭიაბრიშვილის თქმით, მალე მას ჩემპიონთა კლუბში ვიხილავთ.

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და სფფ-ს აღმასკომის წევრს გოჩა როსტომაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა ქ. თელავში; მის. მუსხელიშვილის ქ. №14.

საქართველოს „ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გოჩა როსტომაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმონერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეძდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

ჩვენი საფიქრალის ნაკრები

ორი სურვილი ორ სიტყვაში

დავით ნაკლები

2011 წელი საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებით დაინყო და სავალალოდ დასრულდა, საფეხბურთო ცხოვრება კი გრძელდება – თემურ ქეცბაიას ახალი კონტრაქტი გაუფორმეს და მომავალი შემოდგომიდან 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ჩავებმებით.

დიდი აუიოტაჟი და კამათი, რაც ჩვენს ეროვნულ გუნდსა და მის მთავარ მწვრთნელს უკავშირდება, გაისადაც გაგრძელდება და კითხვათა დიდ ნაწილს ნაკრების შედეგები უპასუხებს. მანამდე კი, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია მსჯელობა იმის თაობაზე, ვინ რაშია მართალი.

წინასაახალწლო პერიოდში საფეხბურთო ვნებები შედარებით დამცხრალია და, ვფიქრობ, სწორედ ეს პერიოდია ზედგამოჭრილი საიმისოდ, რომ ემოციებისა და პირადი სიმპათია-ანტიპათიის გვერდზე გადადებით შევაფასოთ ყველა ის მოვლენა და მოსაზრება, რაც ბოლო დროს დაგროვდა.

ძველი და ახალი

ქეცბაიას ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ გაცილებით გულწრფელია, ვიდრე მისი ნინამორბედების აბსოლუტური უმრავლესობა. ამ მხრივ საქართველოს ნაკრების ამჟამინდელ თავკაცს კონკურენციას მხოლოდ ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი** თუ გაუწევს.

საქართველოს ეროვნული გუნდის სხვა უცხოელი მწვრთნელები კი ისე დაგვემშვიდობნენ, სიტყვა არ დაუძრავთ იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა გუნდში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იყო ლაპარაკი (ზოგის მხრიდან — სერიოზული ეჭვიც), რომ **კლაუს ტოპმიოლერიც** და **ექტორ კუპერიც** ნაკრების წევრებმა "ჩაშვებული" მატჩით "გააცილეს". მათ რომ მარტო ამის შესახებ მაინც გაეკეთებინათ საჯარო განცხადება, ქართველი ქომაგების გულებს მცირედით მაინც მოიგებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, გერმანელმა და არგენტინელმა აუტკივარი თავი არ აიტკივეს – თუნდაც იმიტომ, რომ, შესაძლო იყო, დაფარულის გამეღავნების შემთხვევაში კუთვნილი ანაზღაურების მიღება გაჯანჯღლებოდათ.

ღმერთმა დაიფაროს, ქეცბაია ნაკრებს წინამორბედების მსგავსად დაემშვიდობოს, მაგრამ, თუ მაინც ასე მოხდა, რატომლაც მგონია, რომ ჩვეული პირდაპირობით იტყვის სათქმელს.

თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს და ქეცბაიას სიტყვების დაჯერება ზოგჯერ ჭირს კიდეც, რაზეც ქვემოთ ვიტყვით.

განვაგრძოთ ქეცბაიასა და მისი გერმანელი წინამორბედის შედარება, კუპერზე მსჯელობას კი, ვფიქრობ, სჯობს, აქვე მოვრჩეთ. არგენტინელმა საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი, ისიც ამხანაგური მატჩი მოაგებინა, მაგრამ ქართველ ქომაგთა უდიდეს ნანილს მის პატიოსნებაში ეჭვი არ შეჰპარვია – კუპერმა პოსტზე კეთილსინდისიერად იმუშავა, საქართველოში იცხოვრა, ჩვენს ჩემპიონატს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა, არც პიარგანცხადებებით მოგვაბეზრა თავი და არც მისი სატრანსფერო ინტერესების შესახებ გვიეჭვია.

"ფაქტია, ამაზე ძლიერი ჯგუფი იყო ტოპმიოლერის დროს და, ქეცბაიას გუნდის მსგავსად, ჯგუფში 10 ქულა ავიღეთ", - წერს **დავით მუჯირი** თავის წერილში და ამ მოსაზრებას მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმები.

ტოპმიოლერის ნაკრებს მართლაც გაცილებით ძლიერი ჯგუფი შეხვდა, მაგრამ მაშინდელმა ნაკრებმა 10 ქულა 7-გუნდიან ჯგუფში აიღო, ქეცბაიას გუნდმა კი – 6-გუნდიანში. ორივეჯერ ბოლოსწინა ადგილზე გავედით. იმ 10 ქულიდან ტოპმიოლერმა 6 ფარერებთან მოიპოვა და მხოლოდ ერთ ხმაურიან გამარჯვებას მიაღწია – შოტლანდიასთან. ქეცბაიამ ფარერების მასშტაბის მალტასთან ორივე მატჩი ვერ მოიგო, სამაგიეროდ, სძლია შოტლანდიაზე გაცილებით ძლიერ ხორვატიას და ორივე შეხვედრა არავისთან დაუთმია. ტოპმიოლერმა ორივე მატჩი წააგო ლიტვასთან, რომლის მეზობელ ლატვიასთანაც ქეცბაიამ ოდნავ მეტს, ერთ ქულას მიაღწია. საბერძვე წაგება, ხორვატიის მინიმალურად დამარცხება უფრო დიდი მიღწევაა თუ ფარერული 6:0.

ტოპმიოლერს ჰყავდა უკეთესი შემადგენლობა, ვიდრე ჰყავს ქეცბაიას, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს ჰყავს ორი საიმედო მეკარე, როცა გერმანელის გუნდმა მეკარის უხეში შეცდომებით არაერთი ქულა დაკარგა. და თავისი მნიშვნელობით რით აღემატება კარგი თავდამსხმელი ან შემტევი ნახევარმცველი დამაჯერებლად მოთამაშე კიპერს? არც არაფერით.

რა მოგვიტანს შედეგს?

სათამაშო სტილზე დავა კი დიდხანს შეიძლება. რასაკვირველია, ქართველ ფეხბურთელებს შეტევის სიყვარული გენეტიკურად მოსდგამთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დღესდღეობით უკანა ხაზში საქმე უკეთ გვაქვს. მწვრთნელების უმრავლესობა საკუთარი გუნდის ტაქტიკა-სტრატეგიას შემადგენლობიდან გამომდინარე განსაზღვრავს. ილუზიებს თავი დავაღნიოთ და ვაღიაროთ, რომ საქართველოს ნაკრები საშუალოზე დაბალი დონის გუნდია, ასეთები კი უმეტესად "მეორე ნომრად" თამაშს ამჯობინებენ. ვის არ სიამოვნებს სანახაობა, მაგრამ მთავარია ტაბლო და მხოლოდ იმაზე შეიძლება დავა, როგორი სტილი მოგვიტანს უკეთეს შედეგს.

საკითხს ამ კუთხით რომ შევხედოთ, ძალიან გაგვიჭირდება არგუმენტირებული პასუხის გაცემა კითხვაზე – რა რესურსები გვაქვს საიმისოდ, რომ შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ? ჩვენ არ გვყავს მაღალი დონის თავდამსხმელი და გვაქვს შემტევი ტიპის ნახევარმცველების დეფიციტი. გვყავს **დავით თარგამაძე, ჯანო ანანიძე** და ორი წლის უთამაშებელი **ლევან ყენია**. თუ რამდენიმე თვეში ყენიაც კარგ ფორმაში იქნება, ანანიძეც მოუმატებს და თარგამაძე, მინიმუმ, დღევანდელ კონდიციებს შეინარჩუნებს, მხოლოდ შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ "პირველი ნომრობა" ძალგვიძს.

დრო და ფული

ტოპმიოლერისა და ქეცბაიას საფეხბურთო გემოვნება და ფეხბურთელებთან და მედიასთან ურთიერთობის სტილი ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება, თუმცა მათ ორი რამ აერთიანებთ – საქართველოში გატარებული დრო და გაუაზრებელი ხელფასი.

ვფიქრობ, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ქვეყანაში უფრო მეტი ხნით უნდა ჩერდებოდეს - ვიდრე ქეცბაია. თემურმა ერთხელ თქვა, "უქმად არც საზღვარგარეთ ვარ და ლეგიონერებს ვაკვირდებიო. ბუნებრივია, ესეც აუცილებელია, მაგრამ ვფიქრობ, ბალანსი აქ ყოფნის სასარგებლოდ შეცვლას საჭიროებს.

"ტოპმიოლერი გავაგდეთ, ცუდი შედეგი ჰქონდაო, ქეცბაიას კი ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეთ და მომავალ, შედარებით ძლიერ ჯგუფში შედეგს არ ვთხოვთ. სადაა ლოგიკა?!" – ამ შეკითხვასაც მუჯირი სვამს და ისევ სანახევროდ დავეთანხმები. შედეგი მწვრთნელს ყოველთვის მოეთხოვება და ეს შედეგი საქართველოსთვის მაინცდამაინც ფინალურ ეტაპზე გასვლა არ არის, ტოპმიოლერს კი, შეგახსენებთ, ციკლის დასრულების შემდეგ ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ შინ ლატვიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიაში განცდილმა სამარცხვინო მარცხებმა დაგვანახვა, რომ გერმანელმა გუნდზე ყოველგვარი კონტროლი დაკარგა.

დემოკრატიულ ქვეყნებში საჯარო პირების ანაზღაურებას არ ასაიდუმლოებენ, ჩვენს საფეხბურთო სამყაროში კი ამ თემას ტაბუ ადევს. საქართველოში პრეზიდენტისა და მინისტრების ხელფასები არ არის გასაიდუმლოებული და ყველას აქვს უფლება, იცოდეს, რამდენს უხდიან მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცს - ეს ნამდვილად არ არის ის შემთხვევა, როცა "სხვის ჯიბეში იხედები".

იძულებულნი ვართ, მოარული ხმებით ვიმსჯელოთ, რის მიხედვითაც ქეცბაიას წლიური ხელფასი შვიდნიშნა რიცხვით განისაზღვრება. თუ მართლა ასეა, გვაქვს უფლება ვიკითხოთ – სჭირდება კი საქართველოს დღევანდელ ნაკრებს მაღალანაზღაურებადი სპეციალისტი? ხომ არ შეიძლებოდა ან უფრო "იაფი" მწვრთნელი მოგვეწვია, ან ამ თანხად სხვა გვეპოვა? სად არის ის ხალხი, ამ თემაზე ხმას რომ არ იღებს, არადა, ახლო წარსულში მწვრთნელისთვის განკუთვნილი ფულის ბავშვთა ფეხბურთში „ჩადებაზე" აპელირებდა? ხომ არ არის ეს ორმაგი სტანდარტი, რომლის თანახმადაც, ქართველს "რაღაც-რაღაცები" არ უნდა შეახსენონ, უცხოელი კი, ზუსტად იმავეს გამო ჯვარს უნდა აცვა?

არავის საქმე არ არის, ტოპმიოლერმა აქ აღებული ფულით ვენახი გააშენა თუ ლას ვეგასში იგრიალა. მას ჩვენგან არაფერი მოუპარავს და ამ ფულზე პასუხი იმას უნდა მოეკითხოს, ვინც კლაუსს მილიონები გადაუხადა. გული არც მის საეჭვო კვალიფიკაციის ძმას, **ჰაინცსა** და **რალფ მინგეს** დასწყვიტა. რომელი სულელი იტყვის ასეთ მიმზიდველ წინადადებაზე უარს? თუ უცხოელი ვალდებულია, აქ ნაშოვნი ფული აქვე დახარჯოს და მშობლიური სოფლის ნაცვლად, ვენახი კახეთში გააშენოს?

ასევე არავის ეკითხება, სად ნაიღებს ქეცბაია საკუთარ ხელფასს. მის მიერ კვიპროსზე საფეხბურთო აკადემიის გახსნა ქართულ ფეხბურთს არაფერს შესძენს, მაგრამ რატომაა ქეცბაია ვალდებული, რომ ფული ქართულ ბავშვთა ფეხბურთში ჩადოს? საფეხბურთო აკადემია ქველმოქმედება კი არა, ბიზნესია და იქნებ აქაურმა მაგალითებმა ქეცბაია დაარწმუნა, რომ ფეხბურთში ჩადებული ინვესტიცია ქარს მიაქვს?

კრიტიკა და თვითკრიტიკა

ზემოთ მედიასთან და ფეხბურთელებთან ქეცბაიას ურთიერთობა ვახსენეთ და ეს თემაც გავშალოთ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე მნვავე შეკითხვას გაუღიზიანებლად და, რაც მთავარია, ადეკვატურად უნდა უპასუხოს. თემურს, ჩვენი საფეხბურთო მოღვაწეების აბსოლუტური უმრავლესობისგან განსხვავებით, სიყალბე არ სჩვევია და, თუ საკუთარი შეცდომების ნაწილს მაინც აღიარებს და კითხვის ავტორის მიმართ შეტევაზე არ გადავა, ქომაგთა გულებს აუცილებლად მოიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაერთი გულშემატკივრის კეთილგანწყობას დაკარგავს, რისი ტენდენციაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ტელეეთერით მისი გამოსვლის შემდეგ ქართულ ინტერნეტ-სივრცეში უკვე შეიმჩნევა.

ქეცბაიამ თავად თქვა, რომ ინგლისსა თუ საბერძნეთში მედია მწვრთნელს "წურავს". კარგია, ეს რომ ახსოვს. საქართველოში, სადაც იგი ფეხბურთელობის დროინდელი ღვაწლის გამო საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს, მის წნეხში მოქცევას არავინ აპირებს, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მან საწინააღმდეგო აზრს პატივი სცეს და უფრო მეტად თვითკრიტიკული იყოს, რაც ისევ თავად მას და საერთო საქმეს წაადგება.

დარწმუნებული ვარ, თემურისთვის საქართველოს ნაკრები ბოლო სამუშაო ადგილი არ იქნება და ერთი წუთით წარმოიდგინოს, რომ წლების შემდეგ ინგლისში რომელიმე პრემიერლიგურ კლუბს წვრთნის. ჩვენზე კარგად იცის, იქ მას მედია ერთ გადაბრუნებულ სიტყვასაც არ შეარჩენს და თავბედს აწყევლინებს.

"კიდევ მოვალ გადაცემაში, ოღონდ არავინ დარეკოს", - შესთავაზა ქეცბაიამ გადაცემის წამყვან **დავით მინაშვილს**. ესეც გამაოგნებელია, რადგან ნაკრების მწვრთნელი ანგარიშვალდებულია ნებისმიერ, თუნდაც ფეხბურთში არცთუ გარკვეულ ქომაგთან და მის თუნდაც არაკომპეტენტურ შეკითხვას კომპეტენტური პასუხი უნდა გასცეს.

"მაგინებენ" – არაერთხელ თქვა ქეცბაიამ ეს სიტყვა, რაშიც, იმედია, არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა, არამედ კრიტიკა იგულისხმა. თემურს, რომელიც ნაკრებში ყოველთვის თავდაუზოგავად და ჯიგრით თამაშობდა და ცხოვრების ნესიც ხამაგალითო ჰქონდა, ქართველებისგან გინება არასდროს დუმსახურებია და ერთეულების გარდა, არც არავინ ლანძღავს, აი, რაც შეეხება კრიტიკას, ამის უფლება ნებისმიერს აქვს – მასაც, ვისაც "ნიუკასლის" დონის კლუბში არ უთამაშია, მასაც, ვინც საქართველოს ჩემპიონატის დონეს არ გასცდენია და მასაც, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშია.

ასე რომ, ის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რაც ქეცბაიამ მუჯირის მისამართით გამოიყენა, არავითარ ეთიკაში არ ჯდება და მეტისმეტად უარყოფითად აისახება ნაკრების მწვრთნელის იმიჯზე.

არც ის იყო სასიამოვნო, **მალხაზ ასათიანზე** რომ თქვა, მაგას მოსკოვს იქით ნასვლა არ უნდა და მე რა ვქნაო. უმჯობესი იქნება, ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმის ნამდვილი მიზეზით დაინტერესდეს, თუ რატომ აღარ თამაშობს ფეხბურთს ნაკრების ყოფილი ლიდერი.

ლევან ჯანეზაშვილი

გაგრძელება ხვალინდელ ლელოში

შეკითხვა „ლელოს"

შეკითხვა: ამბობენ, რომ დეკემბრის მეორე დეკადაში თბილისში ჩატარდება ქაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. თუ ეს შეჯიბრება მართლა იგეგმება, ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას?

ცოტნე ბერიძე
თბილისი

პასუხი: როგორც გავარკვიეთ, ტურნირი მართლაც ჩატარდება თბილისში 13-17 დეკემბერს, ორგანიზატორები კი არიან ლევან ჟორდანიას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი „საბურთალო". გათამაშდება „ფოლკსვაგენის თასი".

უცხოეთიდან თბილისში საასპარეზოდ ჩამოვა ჰოლანდიის „ვიტესი" (არნემი), ჩვენგან კი თასისთვის იბრძოლებენ „საქართველოს სახალისო ფეხბურთის ლიგა სკოლების", საფეხბურთო კლუბ „საბურთალოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდები. „ვიტესის" შემადგენლობაში ითამაშებს ამ კლუბის ერთ-ერთი წამყვანი ჭაბუკი ფეხბურთელი, მერაბ ჟორდანიას ვაჟი და კახი ასათიანის შვილიშვილი ლევან ჟორდანია. გათამაშდება ვეტერან ქართველ ფეხბურთელთა სახელობითი პრიზები. ტურნირი „ბენდელას" ხელოვნურსაფრინ სტადიონზე ჩატარდება წრიული სისტემით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაჩთული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა ბ ზონის მიმოხილვა

ახალი ფორმატი, ძველი სახეები

სოლიდური ფავორიტი

უპირობო ფავორიტი ამ ზონასაც ჰყავდა: საჩხერის „ჩიხურას“ წინა სეზონშიც ჰქონდა უმაღლეს ლიგაში აღზევების შანსი, მაგრამ პლეი ოფში ცხინვალის „სპარტაკთან“ დამარცხდა. თუმცა, ამ სეზონის დაწყების წინ გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა და დიდი ხნით ადრე გაინაღდა გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლება. ეგ კი არა, „ჩიხურას“ ისეთი სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, უმაღლეს ლიგაშიც... ხუთეულში მოხვედრისათვის უნდა ებრძოლა! საჩხერელთა გუნდის ასეთი წარმატებული ასპარეზობა, გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს: ცნობილი მეცენატის, **ბიძინა ივანიშვილის**

ლაშა ნოზაძე

ძალისხმევით, უკვე წლებია, რაც „ჩიხურას“ ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი. ასევე წლებია, გუნდის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი, 54 წლის **სოსო ფრუიძე** მუშაობს, ვისაც უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი გაუტარებია („ტორპედოსა“ და „ბორჯომის“ თავკაცის რანგში). მოკლედ, გათამაშების ეს მონაკვეთი „ჩიხურამ“ ისე განვლო, შთამბეჭდავზე მეტი რომ ჰქვია — თოთხმეტ თამაშში 13 მოგება, 1 ფრე და არც ერთი წაგება, დაგვეთანხმებით, მართლაც ჩინებული შედეგია. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, გუნდს ამ თოთხმეტ მატჩში მხოლოდ და მხოლოდ 3 ბურთი რომ აქვს გაშვებული; ყოველივე ეს კი იმის საფუძველს იძლევა, რომ თუ რაიმე... არასაფეხბურთო (გნებავთ, პოლიტიკურმა) ფაქტორებმა არ იმოქმედა, „ჩიხურას“ უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა არ უნდა გაუჭირდეს. საჩხერლებს ამ მიზნის მიღწევა დღეს-დღეობით არსებული რესურსითაც შეუძლიათ, ხოლო ახალი ფეხბურთელების დამატებით ბევრად უფრო ამბიციურ მიზნებზეც შესაძლებელი იქნება ფიქრი.

უმაღლეს ლიგაში „ჩიხურას“ ერთადერთი სეზონი (2006-07 წლები) აქვს გატარებული და იმ შემადგენლობიდან გუნდში ორადორი ფეხბურთელიღაა შემორჩენილი: 27 წლის **ირაკლი ზაბახიძე** და 26 წლის **ლაშა ვაშაკიძე;** სხვებთან შედარებით, გუნდის მეტ-ნაკლებად „სტაჟიან“ წევრებად ითვლებიან 24 წლის **ერეკლე ზივზივაძე,** 22 წლის **ლაშა ჩიკვაიძე** და 20 წლის **ალექსანდრე ივანიშვილი;** აი, რაც შეეხება ამ სეზონის დაწყების წინ გუნდში მოსულ ახალწვეულებს, თითქმის ყველა მათგანს უმაღლესი ლიგის სხვადასხვა გუნდში არაერთი წელიწადიც გაუტარებია და 23 წლის **რევაზ თევდორაძეს** (მეკარე), 26 წლის **ლაშა ჭელიძეს,** 28 წლის **ნიკა გუშარაშვილს,** 26 წლის **ჯაბა ბერიანიძეს** (სამივე — მცველი), 31 წლის **ლაშა ნოზაძეს,** 25 წლის **ლევან ბაკურაძეს,** 27 წლის **ირაკლი ლილუაშვილს,** 27 წლის **გიორგი სილაგავასა** და 23 წლის **ნიკა კვასხვაძეს** (ყველა — ნახევარმცველი) ქართველი გულშემატკივარის წინაშე წარდგენა, ალბათ, არც სჭირდებათ; იმედისმომცემ ფეხბურთელებად მიიჩნევიან 21 წლის **გიორგი სალარიძე** და 19 წლის **თორნიკე მუმლაძე,** — ეს უკანასკნელი კი 11 გოლით „ჩიხურას“ საუკეთესო ბომბარდირია.

მონატრებული გურია და პოკერსანი დეისაძეები

...2001-02 წლების სეზონში ლანჩხუთის „გურიამ“ უმაღლეს ლიგაში ბოლო (XII) ადგილი დაიკავა და აი, იმის მერე პირველად გაჩნდა იმის რეალური შანსი, რომ ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდი კვლავაც უძლიერესთა შორის დაბრუნდეს. ამისათვის კი „ნახევარი საქმე“, ფაქტობრივად, გაკეთებულია — დარჩენილ სამ შეხვედრაში „გურიას“ სამი ქულა (შესაძლოა, უფრო ნაკლებიც) სჭირდება „ბ“ ზონაში მეორე ადგილის დასაკავებლად; თუმცა, „გადასასვლელ ტურნირში“ ლანჩხუთელებს, ალბათ, შემადგენლობის გაძლიერებაც დასჭირდებათ, თორემ მხოლოდ ადგილობრივი (ან, ახალგაზრდა) ფეხბურთელებით უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება ადვილი საქმე ვერ იქნება. არადა, „ჩიხურას“ მსგავსად, „გურიასაც“ ვადაზე ადრე შეეძლო პლეი ოფში მოხვედრა გაენაღდებინა, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, თბილისის „ზოოვეტთან“ და ვანის „სულორთან“ ჩატარებულ ორ შეხვედრაში... ერთადერთი ქულა აიღეს! სწორედ ამის შემდეგ იყო, კლუბის ხელმძღვანელობამ ძირითადი შემადგენლობის ხუთ ფეხბურთელს კონტრაქტი რომ გაუწყვიტა: 22 წლის **დავით კეკელიძეს** (მეკარე), 20 წლის **აკაკი დვალიშვილს,** 23 წლის **ზურაბ რაზმაძეს** (მცველები), 22 წლის **ივანე კილაძეს** (ნახევარმცველი) და 23 წლის **იაგო დეისაძეს** (თავდამსმელი). შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი არამხოლოდ „გურიას“, არამედ საერთოდ პირველი ლიგის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია: თორმეტ მატჩში 14 გოლი აქვს გატანილი! ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეისაძემ ორჯერ („აეტთან“ და „სულორთან“ შეხვედრებში) „პოკერიც“ შეასრულა, მაგრამ, როგორც ხედავთ, გუნდის დატოვებამ მაინც მოუწია. ისე, ალბათ, ადრევე უნდა გვეხსენებინა მწვრთნელის ფაქტორიც: ამ სეზონის დაწყების წინ „გურიაში“ **გიგლა იმნაძე** დაბრუნდა, ვისი ხელმძღვანელობითაც ლანჩხუთელებმა საქართველოს თასის პირველ გათამაშებაში (1990 წელს) გაიმარჯვეს. სწორედ იმნაძის დამსახურებაც არის, „გურიას“ სერიოზული ამბიცია რომ გაუჩნდა; ამას გარდა, სეზონის დაწყების წინ გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც მივიდა (უპირველეს ყოვლისა, 27 წლის ნახევარმცველი **გიორგი მელქაძე** და 25 წლის ფორვარდი **გიგა კვერენჩხილაძე** უნდა აღვნიშნოთ), რომლებიც ლანჩხუთელთა „სტაჟიან“ წევრებთან (**ტარიელ კუკულაძე, რევაზ კუკულაძე, ჯემალ გოგიბერიძე**) ერთად ცდას არ აკლებენ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად.

„გურიას“ გადასწრების თეორიული შანსი დარჩა ხონის „იმერეთს“, თუმცა ამისათვის, **დავით ჭელიძის** გუნდმა სამივე დარჩენილი მატჩი უნდა მოიგოს, ხოლო ლანჩხუთელებმა კი ... ქულაზე მეტი ვერ მოაგროვონ. დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ მოვლენების ასეთი განვითარება, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია; თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ხონელთა ასპარეზობა მხოლოდ და მხოლოდ წარმატებულად უნდა შეფასდეს — ამ ახალგაზრდული გუნდისგან მსგავს შედეგს ბევრი ნამდვილად არ ელოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „იმერეთის“ ფეხბურთელიც მონაწილეობს: 24 წლის ფორვარდი **იაკობ დეისაძე** ხონელთა გუნდს სეზონის დაწყებიდან რამდენიმე ტურის შემდეგ შეუერთდა, თუმცა ამის მერე გოლიადორული თვისებები მალევე გამოავლინა და 10 მატჩში 10 ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ნორჩ დინამოელთან“ შეხვედრაში იაკობ დეისაძემ „პოკერი“ შეასრულა და კიდევ აქვს შანსი, თავისზე ერთი წლით უმცროსი ძმის, იაგო დეისაძის შედეგი გაიმეოროს. საერთოდ კი, ძმებ დეისაძეებს ამ სეზონში 24 გოლი „დაუგროვდათ“, რაც, ვფიქრობთ, ჩინებული მაჩვენებელია. აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც იშვიათზე-იშვიათ მოვლენაზე, როცა ძმებმა... სამჯერ შეძლეს „პოკერის“ შესრულება!

დაბოლოს, ორ თბილისურ გუნდზეც: „ნორჩი დინამოელის“ ახალგაზრდული გუნდი ღირსეულად ასპარეზობს თავისზე ბევრად გამოცდილ მეტოქეებთან; იმავეს ვიტყოდით პირველ ლიგაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებულ „ზოოვეტზეც“, რომლის მთავარი მწვრთნელიც ცნობილი სპეციალისტი, პედაგოგი და მეცნიერი **ელგუჯა გუგუშვილი** გახლავთ.

გია ტუხაშვილი

● ინტერვიუ

ვალერიან იოგაშვილი მარტვილის „მერანში“ უკვე მესამე სეზონს ატარებს. 22 წლის ცენტრალური მცველი გუნდს პირველ ლიგაშიც ეხმარებოდა და, რამდენიმე უმაღლესლიგელის ინტერესის მიუხედავად, მაინც მარტვილში დარჩა. თანაგუნდელებთან ერთად მისი დამსახურებაცაა, დღეს „მერანი“ რომ უმაღლეს ლიგაშია და ბევრი ლიდერის გამწარებაც მოახერხა. შემთხვევითობაა თუ ლოგიკურია ახლანდელი მეოთხე ადგილი სატურნირო ცხრილში? - „ლელო“ „მერანის“ ვიცე-კაპიტანს ესაუბრა.

ვალერი იოგაშვილი:

სიურპრიზები? იყო და კიდევ იქნება!

- „მერანი“ უმაღლესი ლიგის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს. თანაც, ჯერ მარტვილში არ წაგიგიათ. სეზონის სტარტზე თუ გჯეროდათ, რომ ასეთი გაგრძელება ექნებოდა თქვენს უმაღლესლიგურ დებიუტს?

- სეზონის პირველ მატჩში ცუდად ვითამაშეთ, თანაც, ბევრი დებიუტანტი გვყავდა. მაშინ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, ასე კარგად თუ გავაგრძელებდით ჩემპიონატს. წაუგებელ შინაურ სერიას რაც შეეხება, ჩვენს მოედანზე, ისევე, როგორც სტუმრად, შემტევ, ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ და ეს შედეგზეც აისახება. მარტვილში წაგება წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია, ხალხიც მოდის, გვიყურებს და ჩვენს გარჯას აფასებს.

- „მერანის“ სტაბილურობის მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი პირველ ლიგაშიც ერთად თამაშობდა?

- რა თქმა უნდა, ასეა. როცა ფეხბურთელები დიდხანს, ერთად თამაშობენ, შეკრული კოლექტივიც ყალიბდება. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ. მათ შორის გამოცდილებიც არიან - გივი დიდავასა და გიორგი მანნკავასგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ისინი კარგად შეეწყვნენ გუნდს და საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს.

- საკუთარ მოედანზე წაგება წარმოუდგენლად მიგვაჩნიაო, თქვი. მომდევნო ტურში „ზესტაფონს“ მასპინძლობთ, გჯერათ, რომ წაუგებელ სერიას გააგრძელებთ?

- 4 დეკემბერს მართლაც უსერიოზულესი თამაში გველის — ჩემპიონსა და გათამაშების ლიდერს ვმასპინძლობთ. იმედია, გამოიდარებს და შეხვედრა არ გადაიდება. ურთულესი მატჩი გველოდება, მაგრამ „მერანს“ შეუძლია სიურპრიზების გაკეთება, რაც ხშირად დაგვიმტკიცებია და კიდევ დავამტკიცებთ.

- ანუ „ზესტაფონს“ სიურპრიზს ჰპირდებით?

- დამეთანხმებით, ჩვენი საჩემპიონატო შედეგი უკვე სიურპრიზია, მაგრამ მეტის ამბიციაც გვაქვს და იმედია, სასურველს შევძლებთ. ჩვენს გუნდს, მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც, ეს შეუძლია. სეზონის დაწყების წინ ვინ იფიქრებდა, რომ „მერანი“ ოთხეულში შევიდოდა და ლიდერებს ქულებით ასე დაუახლოვდებოდა. მაგრამ, ეს შემთხვევითობა ნამდვილად არ არის — ძალიან რთული თამაშები მოვიგეთ, ამას კი, თუ ამბიცია და უნარი არ გაქვს, ვერ გააკეთებ.

- აშკარაა, ამ გამარჯვებებმა თავდაჯერება შეგმატათ?

- მოგებას რწმენა მოაქვს. თუმცა, ნაგებულ თამაშებსაც, „ზესტაფონთან“, „დინამოსთან“, „მეტალურგთან“, კარგ და საჭირო მატჩებად მივიჩნევ — რწმენა მათაც გაგვიძლიერეს.

- სეზონის ბოლოს „მერანისთვის“ იდეალური შედეგი რა იქნება?

- მეოთხე ადგილის შენარჩუნება მართლაც იდეალური იქნებოდა.

- თასის გათამაშებაზეც გკითხავ, პირველი ლიგიდან მოყოლებული, „გაგრა“ თქვენთვის უხერხული და პრინციპული მეტოქეა, მაგრამ 0:4-ს, უეჭველია, არ ელოდით. როგორ გგონია, შანსი კიდევ გაქვთ?

- სამწუხაროდ, თასის გათამაშება ცუდად წაგვივიდა. ასეთ შედეგს არც სხვები ელოდნენ, არც ჩვენ და, ალბათ, არც „გაგრას“ ფეხბურთელები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მერანი“ ვინმეს რამეს უბრძოლველად დაუთმობს. ჩვენ ყველასთან და ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვით.

- თქვენი სტადიონის საფრის გამო ხშირად ისმის პრეტენზიები. იყო დაპირება, რომ, თუკი უმაღლეს ლიგაში გადახვიდოდით, მინდორი გაგიახლდებოდათ. ახლა როგორ არის საქმე?

- სათამაშო პირობები ამჟამადაც ისეთივეა, თუმცა ვიცი, რომ იგეგმება სტადიონის განახლება. ამაზე მე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ეს ხომ გუნდის ხელმძღვანელობის საქმეა.

მაგდა კლდიაშვილი

● პირველი ლიგა, XV ტური ა ზონა

მესხეთი — დინამო 0:2

28.11.ახალციხე. „მინაილ იანეი“. 100 მაყურებელი

0:1 ნ. ნასუაშვილი (33), 0:2 მ. ჯორბენაძე (63)

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე, დ. ხანიშვილი, მ. ლეკიშვილი, მ. მურმანიშვილი, ზ. ბარძიმაძე, კ. ხანიშვილი (60. გ. ქურდაძე), ზ. სუდაძე (75. გ. მურადაშვილი), გ. ნინამძღვრიშვილი (46. ო. დარჩია), დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე

სათადარიგოები: გ. გეკოლქიანი, დ. ინასარიძე, მ. მელაძე, ი. მურადაშვილი

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

დინამო: მ. მამინაშვილი, ვ. ქორიძე (46. ლ. რამიშვილი), ნ. ხუხია, მ. ფარტენაძე, კ. მაკარიანი, გ. გოგიტიძე, ზ. ლობჟანიძე, ა. მუჯირი, თ. ბერიძე (46. დ. სამსონიშვილი), ნ. ნასუაშვილი, მ. ჯორბენაძე (64. ა. ბაციკაძე)

სათადარიგოები: ვ. თევდორაძე, ი. ცანავა, მ. ყვანია

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

კოლხეთი — სტუ 5:2

28.11.ხობი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

1:0 გ. გოგენია (7), 2:0 ო. ფიფია (18), 3:0 ი. გერგაია (23), 3:1 ჯ. კოლუა (32), 4:1 ი. გერგაია (52), 5:1 ც. ბუკია (53), 5:2 ლ. ჯიქიძე (71)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია (57. კ. ალანია), ო. ფიფია (67. გ. ბაჭაორია), რ. ცობეხია, ც. ბუკია, გ. ლომაია, ვ. ფირცხელავა, ლ. ჩაჩიბაია (46. პ. გაბრავა), ლ. მეფიშვილი, გ. ხუნჭუა, ი. გერგაია

სათადარიგოები: დ. ნარსია, ი. კუტალია, პ. ბაკარაძე

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

სტუ: ა. აბულაძე, გ. კვახაძე, ა. ლაღაძე (64. გ. გოგატიშვილი), ნ. ბინწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი, ზ. ჭავჭავაძე, ლ. ციკოლია, გ. ჯიმპკარიანი, ჯ. კოლუა, ა. ბაგაშვილი (54. მ. კოსტავა), ლ. ჯიქიძე

მწვრთნელი: გ. ფორჭოლიანი

გაფრთხილება: პ. გაბრავა; გ. ბიბილეიშვილი

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

მეშახტე- მერცხალი
ჭიათურა – ჩხერიმელა
ლოკომოტივი-სამტრედია გადაიდო

ბომბარდირები:

მიხეილ ჯორბენაძე (დინამო)	9
ლევან ჯიქიძე (სტუ)	9
გიგა ბოხუა (ჩხერიმელა)	7
დაჩი კოსტავა (ჩხერიმელა)	7
ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ)	7

მომდევნო ტური. 3 დეკემბერი

დინამო (თბ) – ლოკომოტივი (თბილისი)
სამტრედია – კოლხეთი (ხობი)
ჩხერიმელა (ხარაგაული) – მეშახტე (ტყიბ)
მერცხალი (ოზურგ.) – მესხეთი (ახალციხე)

4 დეკემბერი

სტუ (თბილისი)-ჭიათურა

ბ ზონა

გურია — სქური 2:1

27.11. ლანჩხუთი. „ევგენი შევარდნაძე“. 100 მაყურებელი

1:0 ლ. კობახიძე (9), 2:0 გ. კვერენჩხილაძე (27), 2:1 გ. ჭკუასელი (89)

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე (65. ნ. ტორტაძე), რ. კუკულაძე, გ. ნათენაძე, ბ. ნერეთელი, გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, გ. შენირული (85. ს. ბახია), ტ. კუკულაძე (61. ლ. რუსიეშვილი), ს. ფირცხალაიშვილი, გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: ი. ხვედელიძე, გ. ხელაძე, ნ. ებრალიძე

მწვრთნელი: გ. იმნაძე

სქური: კ. გაბელია, დ. რაფავა, ი. ფაცაცია, ზ. მოლაშხია, ზ. ღარიბაშვილი, ზ. გახარია, თ. ფურთუხია, შ. გაბუნია (30. ჯ. ყურუა), გ. სართანია, ა. სოხინი (61. გ. შელია), გ. ჭკუასელი

სათადარიგოები: ა. მიქენაია, ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, ლ. გაბუნია, ნ. ჯოლოგუა

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: კ. გაბელია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

ადელი-აეტი 5:1

27.11. ბათუმი. „ადელი“. 100 მაყურებელი

0:1 ნ. ზაქარიაძე (38), 1:1 ა. აბუსელიძე (43), 2:1 გ. სირაბიძე (48), 3:1 დ. ჯალაღანია (54), 4:1 გ. ხაჩიძე (56), 5:1 დ. ჯალაღანია (58)

ადელი: გ. რომანაძე, მ. ფუტკარაძე (75. ნ. დავითაძე), ი. ჰაადი, ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ნ. წულუკიძე, ლ. მამეიშვილი (70. გ. ქოქოლაძე), ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია, ზ. მჟავანაძე (41. გ. სირაბიძე)

სათადარიგოები: გ. ფალავანდიშვილი, თ. ცინცაბაძე

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

აეტი: ზ. ჭიჭინაძე, ლ. ბიწაძე, გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია, გ. ბაკურაძე (46. თ. მეტრეველი) პ. კვიკვინია (59. გ. ქურდაძე), დ. მაჭარაძე (65. გ. ჯაჭვლიანი), ლ. ოძიაძე, ნ. ზაქარიაძე, გ. მარგიანი

სათადარიგო: ლ. ეზიეშვილი

მწვრთნელი: ო. სოხაძე

გაფრთხილება: ლ. მამეიშვილი, ნ. წულუკიძე; დ. ლობჟანიძე

არბიტრი: ბ. ნინუა

სულორი-იმერეთი 1:2

27.11.ვანი. „გრიგოლ ნიკოლაიშვილი“. 200 მაყურებელი

0:1 იაკობ დეისაძე (35), 1:1 კ. კვიმსაძე (78), 1:2 ნ. ჩიხლაძე (80)

სულორი: ი. დვალიშვილი, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე (46. მ. ნაფეტვარიძე), ა. ქებულაძე, მ. დვალიშვილი, პ. ბელთაძე, ა. როხვაძე (46. ბ. სულაბერიძე), თ. ძაგნიძე, თ. მაღლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი (75. კ. კვიმსაძე), ბ. ბელექანია

სათადარიგოები: ბ. მჭედლიძე, დ. ივანიაძე, გ. ბრეგვაძე, ნ. ბრეგვაძე

მწვრთნელი: მ. კორძაძე

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგვაძე, ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, დ. ხაბურძანია, დ. გოდერიძე, გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, იაკობ დეისაძე (87. გ. გენქიხაძე), ნ. ჩიხლაძე (81. დ. სულაბერიძე)

სათადარიგოები: დ. ქუთათელაძე, ვ. რუხაძე, გ. ნიქაბაძე, კ. ქუთათელაძე, ნ. ჩაჩიბაია

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ვ. ნუცუბიძე, მ. დვალიშვილი, ბ. ბელექანია; ი. დეისაძე, დ. ხაბურძანია, ნ. ჩიხლაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

სამგურალი-ჩიხურა
ნ. დინამოელი-ზოოვეტი გადაიდო

ბომბარდირები:

იაგო დეისაძე (გურია)	14
თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა)	11
იაკობ დეისაძე (იმერეთი)	10

მომდევნო ტური. 2 დეკემბერი

იმერეთი (ხონი) – სამგურალი (წყალტუბო)
ჩიხურა (საჩხერე) – ადელი (ბათუმი)
აეტი (სოხუმი) – გურია (ლანჩხუთი)
სქური (წალენჯიხა) – ნ. დინამოელი (თბ.)
ზოოვეტი (თბილისი) – სულორი (ვანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქარლინგის თასი

ნასრი ყოფილი მეგობრების წინააღმდეგ

„ქარლინგის თასის“ მატჩმა 24 წლის ფრანგი ვარსკვლავი, **სამირ ნასრი** „ემირეით სთედიუმზე“ დააბრუნა. სარბიელზე, სადაც ის სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა და ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მიაჩნდათ. მაგრამ დაბრუნება დაძაბული გამოდგა — ნასრის ყოფილ თანაგუნდელებთან კონფლიქტი მოუვიდა და თან არა მოედანზე, არამედ - გასახდელში. საფინალო სასტვენის შემდეგ „ემირეითის“ ყოფილი გმირი, რომელიც გასულ ზაფხულს „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა, 19 წლის განელ **ემანუელ ფრიმპონგს** ეჩხუბა.

ნასრისა და ფრიმპონგს შორის შავმა კატამ მაშინ გაირბინა, როდესაც ფრიმპონგმა ფრანგის „სიტიში“ გადასვლა პრესაში ასე შეაფასა: *„ფული ყოველგვარი ბოროტების სათავეა“*. „ქარლინგის თასის“ მეოთხედფინალური შეხვედრის მსვლელობისას ერთმანეთზე გაღიზიანებულმა წყვილმა პირველად 83-ე წუთზე, **სერხიო აგუეროს** გოლის შემდეგ გაიწია - ამ გოლმა ისტლენდელები ნახევარფინალში გაიყვანა.

მატჩის შემდეგ „მეთოფეთა“ პრესმდივანმა გასახდელში მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მან, კერძოდ, თქვა: *„ფიზიკური შეხება არ ყოფილა. ჩვენ, უბრალოდ, სიტყვები გავცვალეთ. ნასრი ფრანგულად იძახდა რაღაცას“*.

აღსანიშნავია, რომ სამირ ნასრის „არსენალის“ გულშემატკივარი აგრესიულად შეხვდა და მთელი მატჩის განმავლობაში, როდესაც ის ბურთს იღებდა, ტრიბუნებზე ღრიანცელი ატყდებოდა ხოლმე. პრესკონფერენციაზე ისტლენდელთა თავკაცმა, **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა:

„დღეს ნასრი იმიტომ ვათამაშე, რომ „არსენალის“ გულშემატკივრის მტრულ რეაქციას შესჩვეოდა. ჩვენ ხომ პრემიერლიგაში ორი მატჩი გველის ამ გუნდის წინააღმდეგ. ის ტოპფეხბურთელია და მეგონა თავს გამოიჩენდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, „ემირეით სთედიუმზე“ პირველმა დაბრუნებამ მასზე იმოქმედა და ინერვიულა. კაცმა რომ თქვას, მისთვის აქ დაბრუნება ძნელი უნდა ყოფილიყო კიდეც“.

როგორც მოგახსენეთ, აგუეროს გოლმა „მანჩესტერ სიტის“ 1:0 მოაგებინა. ეს გახლდათ ამ გუნდის პირველი გამარჯვება ლონდონში „არსენალთან“ ბოლო 36 წლის განმავლობაში. ამ მოგების წყალობით პრემიერლიგის ლიდერი და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი კვლავ აგრძელებს ბრძოლას სამივე ინგლისური ჯილდოსთვის. ცნობისათვის: პრემიერლიგის შემდეგ ტურში „სიტი“ ისტლენდზე „სტოკ სიტის“ მასპინძლობს.

მანჩინიმ დასძინა: *„ჩათვალეთ, რომ მთავარი ახლა იწყება. დეკემბერსა და იანვარში უმნიშვნელოვანესი თამაშები გვაქვს და მხოლოდ მერე შეიძლება პირველი შეფასება თუ შეჯამება. მაშინ გამოჩნდება, სად ვართ და რა შეგვიძლია“*.

მეთოფეთა თავკაცი, **არსენ ვენგერი**: *„ვფიქრობ, გოლის მომენტში დავიბენით და მეტოქეს საქმე გავუადვილეთ. ნასრისთან დაკავშირებით კი ჩვენი ფანების განწყობას არ ვიზიარებ. მინდა პატივი ვცეთ ყველა ფეხბურთელს, რომელსაც ჩვენთან უთამაშია. რასაკვირველია, გულშემატკივრის გულისწყრომაც გასაგებია, მაგრამ ეს იქიდან მოდის, რომ ხალხს ნასრი უყვარს და უნდა, რომ კიდევ აქ თამაშობდეს“*.

კიდევ ნააგე, ჩელსი?

„ჩელსის“ მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** მიხვდა, რომ მისი გუნდის სეზონი შესაძლოა კოშმარულად აირიოს. „ქარლინგის თასის“ მეოთხედფინალში „ლურჯებს“ ლონდონში „ლივერპულმა“ 2:0 მოუგო, სტუმართა გულშემატკივარმა კი პორტუგალიელ სპეციალისტს უმღერა: *„შენ ხვალ დილით მოგხსნიან!“*

სტატისტიკა ასეთია: ბოლო 9 შეხვედრიდან „ჩელსიმ“ 5 წააგო, რაც კლუბის რუსი მეპატრონის, **რომან აბრამოვიჩის** ნერვებისა და მოთმინების აშკარა გამოცდაა. როგორც ჩანს, გადამწყვეტი შემდეგი სამი თამაში იქნება: პრემიერლიგაში „ნიუკასლსა“ და „მანჩესტერ სიტისთან“, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსიასთან“. ვილაშ-ბოაშს მომდევნო ორ კვირაში ძველებური „ჩელსის“ გაცოცხლება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დიდი შანსია, სამსახური დაკარგოს. კრიტიკის ობიექტად ქცეულმა პორტუგალიელმა თქვა:

„ჩვენ, შემდეგ კვირაში, „ვალენსიასთან“ სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში გველის და ფაქტია, რომ იმ შეხვედრის მოსაგებად ფეხბურთი, რომელიც „ქარლინგის თასზე“, „ლივერპულთან“ ვაჩვენეთ, საკმარისი არ იქნება. ის, რაც დღეს ვითამაშეთ, გასულ შაბათს „ვულვერჰემპტონთან“ ნათამაშებსაც ვერ შეედრებოდა. მეტიც, გაცილებით ჩამოუვარდებოდა. „ლივერპულმა“ ყოველმხრივ გვაჯობა და ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდა. „ჩელსი“ შინ ასე არ უნდა თამაშობდეს. „სტემფორდ ბრიჯზე“ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გაცილებით გულანთებული უნდა გადიოდე. ახლა, სხვა გზა არ არსებობს, ჩვენი სახე და მიზნები რომ შევინარჩუნოთ, შემდეგ სამშეხვედრაში მაქსიმუმი უნდა შევძლოთ“.

„ლივერპული“ ნახევარფინალში **მაქსი როდრიგესისა** და **მარტინ კელის** მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლების წყალობით გავიდა. მეტიც, „წითლებმა“ პირველ ტაიმში პენალტის ვერგატანის უფლებაც კი მისცეს საკუთარ თავს. შედეგების ნუსხას თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ მერსისაიდელებს საქმე კარგად აქვთ: ყველა შეჯიბრებაში ჩატარებული ბოლო 11 შეხვედრიდან ერთიც არ წაუგიათ და ამ შეხვედრებს შორის ორი „ჩელსისთან“ იყო — „წითლებმა“ „ლურჯებს“ ბოლო 9 დღეში ორჯერ მოუგეს. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ „ლივერპულის“ მწვრთნელი **კენი დალგლიში** კალენდარს უჩიოდა და ამბობდა, რომ ასეთი შეხვედრები ერთმანეთის მიყოლებით არ უნდა ინიშნებოდეს, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ გამართული შეხვედრა „ასეთი“ სულაც არ გამოდგა. დალგლიში მერსისაიდელ ქომაგს იმასაც კი მოუწოდებდა, ამ შეხვედრის სანახავად ლონდონში ნუ წამოხვალთო, მაგრამ 5 ათასმა ფანმა არ დაუჯერა და „სტემფორდ ბრიჯზე“ გამარჯვება იზეიმა.

● მანჩესტერ იუნაიტედი

დაიმახსოვრეთ რეიველ მორისონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს, სერ **ალექს ფერგიუსონს** აღფრთოვანების ობიექტი ჰყოლია და მას **რეიველ მორისონი** ჰქვია. სერ ალექსი ამბობს, რომ ამ ფეხბურთელს ყველა პირობა აქვს, ვარსკვლავი რომ გახდეს და მისი გვარ-სახელის დამახსოვრებას გვირჩევს.

მორისონთან დაკავშირებით ფერგიუსონს ბევრი სხვაც ეთანხმება. ეს ის ხალხია, ვინც ყმაწვილის განვითარებას უშუალოდ უყურა. მათ თვალი ადევნეს მორისონის თამაშს ჭაბუკთა და სარეზერვო გუნდებში და დაასკვნეს, რომ ამ ბიჭს შეუძლია ისეთივე დიადი გახდეს, როგორებიც იყვნენ **დევიდ ბექჰემი** და **რაიან გიგზი**.

სამწუხაროდ, ადამიანი, რომელზეც ასეთ იმედებს ამყარებენ, თავდაპირველად გაზეთებში სულ სხვა მიზეზებით მოხვდა. უიზენშეიველმა 18 წლის ახალგაზრდამ იანვარში სასამართლოში ამოყო თავი. მიზეზი: ის ვიღაცის დაშინების მოწმე თუ პასიური მონანილე იყო. ამისათვის მას 12-თვიანი პირობითი სასჯელი შეუფარდეს. ამ ამბიდან ნახევარი წელიწადი რომ გავიდა, მორისონმა კიდევ ერთი შარი აღიარა — ყოფილ მეგობარ გოგონასთან ჩხუბის დროს რაღაც დაუმტვრევია. კერძოდ ვისი იყო ეს ნივთი თუ ნივთები და რა ნივთებზეა ლაპარაკი, არ ასახელებენ.

როგორც ჩანს, ამ ყმაწვილს, ზოგადად, აგრესიული ბუნება აქვს. ეს ამას წინათ „ტვიტერშიც“ გამოჩნდა, როდესაც „ევერტონთან“ რეზერვისტთა მნიშვნელოვან შეხვედრაში არ ათამაშეს, რამაც გააბრაზა და დაწერა: *„ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება სეზონი“*. ალბათ, გულისხმობდა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წავა. აქ აღარ ვთარგმნეთ, რომ მისი წინადადება გინებით იწყებოდა. სხვათა შორის, **უეინ რუნიმ** მორისონს „ტვიტერის“ მეშვეობითვე უპასუხა: *„სეზონი იმაზე მალე დამთავრდება, ვიდრე შენ წარმოგიდგენია“*.

● ვეტერანი

კუდიჩინი მოტოციკლზე აღარ ჯდება

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 38 წლის მეკარემ, იტალიელმა **კარლო კუდიჩინიმ** განაცხადა, რომ 2009 წლის გახმაურებული ავარიის შემდეგ მოტოციკლზე აღარ დამჯდარა. როგორც ჩანს, გამოცდილ გოლკიპერს ამ ტრანსპორტისკენ გული აღარც მიუწევს. ეს ამბავი რომ მოხდა, კუდიჩინი „ჩელსიდან“ „ტოტენჰემში“ უკვე გადასული იყო. ავარია მას სწორედ „დეზების“ საწვრთნელი ბაზისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა. თავად BMW-ს მარკის მოტოციკლზე იჯდა და სედანს შეასკდა.

მაშინ კუდიჩინის გაუმართლა. მეკარემ ისეთი ტრავმები მიიღო, რომელთაც მისი ცხოვრების რადიკალურად გაუარესება შეეძლო, მაგრამ, საბედნიეროდ, გამოჯანმრთელდა და „სფურზთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამჟამად, კარლო კუდიჩინი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მეორე მეკარეა. მეორეობისთვის ბრძოლაში მან ცნობილ, თუმცა ცოტა მივიწყებულ ბრაზილიელ **ეურელიო გომეშს** აჯობა. კუდიჩინი იგონებს:

„ავარიის შემდეგ მოტოციკლს არც კი მივკარებივარ და არ ვარ დარწმუნებული, რომ მას ოდესმე კვლავ მივეკარები. ცხოვრების ამ ეტაპზე ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვას ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ვერაფერს მოგახსენებთ“.

ავარიის ადგილიდან კუდიჩინი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ვერტმფრენით გადაიყვანეს. გოლკიპერი განაგრძობს:

„შეიძლებოდა თუ არა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვლილიყო? საავადმყოფოსა და სარეაბილიტაციო ცენტრში ერთადერთი, რითაც დაკავებული ვიყავი, ექიმებისთვის ხელშეწყობა გახლდათ. მინდოდა მათი ყველა მითითება შემესრულებინა და გამოვჯანმრთელებულიყავი, რათა კვლავ ფეხბურთი მეთამაშა. რასაკვირველია, შეიძლებოდა საქმეები ასე კარგად არც წასულიყო, მაგრამ ერთ რამეს უკვე წლებია დაკვირვებული ვარ — როდესაც მიზანს ვისახავ და მის მისაღწევად თავდაუზოგავად ვმუშაობ, ვაღწევ ხოლმე“.

ზემოთ ბრაზილიელი გომეში ვახსენეთ. როგორც ირკვევა ეს გოლკიპერი მესამე პოზიციაზე გადასვლისთვის ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოჩნდა და იანვარში „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ დატოვებს. კუდიჩინი ამბობს:

„უცნაური სიტუაციაა. მსოფლიოში არ მეგულება მეორე გუნდი, რომელსაც სამივე მეკარე, ჩვენსავით, თავისი ქვეყნის ნაკრებში ნათამაშები ჰყავდეს. დღეს „ტოტენჰემის“ კარს ყველა ტურში ბრედ ფრიდელი იცავს, მაგრამ ასეა: არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რას განვიცდით ამ დროს მე და გომეში, მთავარი გუნდის შედეგებია“.

კარლო კუდიჩინი პრესას იმიტომ გაახსენდა და მის ამბავს ჩვენც იმიტომ შევეხმიანეთ, რომ **ჰარი რედნაპმა** გუშინ, ბერძნულ პაოკ-თან მისი გამოყვანა გადაწყვიტა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● კონფლიქტი

აიათოლა ეშლი კრეტინია!

„ქუინზ პარკ რეინჯერსის“ კაპიტანმა, 29 წლის **ჯოი ბარტონმა** თავისი ყოფილი კლუბის, „ნიუკასლ იუნაიტედის“ პატრონ **მაიკ ეშლიზე** კიდევ ერთი იერიში მიიტანა. ბარტონმა ეშლის აიათოლა და კრეტინი უწოდა.

მუდამ კონფლიქტებში გახვეულმა ნახევარმცველმა თქვა, რომ ის „ნიუკასლიდან“ პრემიებთან დაკავშირებული დავის გამო გააგდეს. მანვე დასძინა, რომ „კაჭკაჭთა“ მწვრთნელ **ალან პერდიუზე** გაბრაზებული არ არის, მაგრამ ეშლისა და დირექტორის, **დერეკ ლამბიასის** სახელის გაგონებაც კი არ უნდა. კერძოდ, ბარტონმა თქვა:

„მწვრთნელი, რასაკვირველია, სხვა დონის ადამიანია, მაგრამ იმ ორ კრეტინთან დაბრუნებას ნამდვილად აღარ ვისურვებდი. ეშლი ნამდვილი აიათოლაა, მისი ბრძანების და მასთან შეთანხმების გარეშე „ნიუკასლში“ არაფერი ხდება“.

ბარტონმა თქვა, რომ ეშლიმ ის, კიდევ ოთხი ფეხბურთელი და ყოფილი მწვრთნელი, **კრის ჰაფტონი** კლუბიდან იმიტომ დაითხოვა, რომ მათ პრემიების განაწილების სისტემაზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. მან, აგრეთვე, დაიჩივლა, რომ 2008 წელს, როდესაც გარკვეული ხნით ციხეში ჯდომამ მოუნია, ეშლიმ ხელფასი გაუჩერა.

კიდევ, ბარტონმა გაიხსენა, რომ კლუბის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, წარსულში „ჩელსის“ ვარსკვლავი, **დენის უაიზი** მთელი 77 დღის განმავლობაში ეჩიჩინებოდა, თუ ხელფასის 80 პროცენტს არ მოიკლებ, „ნიუკასლიდან“ გაგაგდებენო.

„და არც ერთი ამ საკითხთაგანი მაიკის უშუალო კონტროლის გარეშე არ წყდებოდა“ — დაგვირგვინა, ფეხბურთელმა, რომელმაც, ამასწინათ ერთ-ერთ ჟურნალში დაწერა, რომ მომავალში შეიძლება მღვდელი გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ფრანგული ამბები

დიდი შერიგება

გუშინ დილას "მარსელის" პრეზიდენტი **ვენსან ლაბრუინი** და მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი პირ-ანდრე ჟინიაკს** შეხვდნენ. მათ ფეხბურთელსა და კლუბის ადმინისტრაციას შორის გართულებული ურთიერთობები განიხილეს, რის გამოც დეშამის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით თავდამსხმელი რამდენიმე დღით დუბლებში იყო გადაყვანილი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პიერ-ანდრეს ისევ მიეცემა ძირითად გუნდთან ვარჯიშის უფლება. სამაგიეროდ, მან მთელ გუნდს საკუთარი საქციელის გამო ბოდიში უნდა მოუხადოს. ლაბრუინის თქმით, გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სურვილი, "მარსელის" მთელი შემადგენლობა ისევ ერთ მუშტად შეიკრას და დასახული მიზნებისთვის ბრძოლა განაგრძოს. დეშამმა კი დასძინა, რომ "პარი სენ-ჟერმენთან" გამარჯვებამ მას ისევ ჩაუსახა იმედი, რომ მისი გუნდი ისევ მოახერხებს საჩემპიონო მარათონში ჩაბმას და ამ საქმეში მას ფეხბურთელის იმედი აქვს.

"ეკიპი" ორ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს "სენტ ეტიენთან" დაკავშირებით. პირველი უშუალოდ გუნდის შიგნით მომხდარ ცვლილებას ეხება, მეორე – "მწვანეებთან" დაკავშირებულ პერსპექტივას. კლუბმა 2013 წლამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი სათადარიგო მეკარეს, 34 წლის **ჟერემი ჟანოს**. ჟერემის მთელი კარიერა "სენტ ეტიენში" აქვს გატარებული. კლუბში ის 1996 წლიდან ირიცხება და სულ ჩემპიონატის 328 მატჩი აქვს ჩატარებული. ჟანო შარშანაც სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, მაგრამ მას მერე, რაც გუნდმა "მონაკოდან" **სტეფან რუფიე** გადაიბირა, მან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მიმდინარე სეზონში ჩემპიონატის და თასის თამაშებში გოლკიპერს ერთი წუთითაც არ მისცემია თავის გამოჩენის შანსი. მიუხედავად ამისა, ის კარიერის დასრულებას სწორედ საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონთა რიგებში აპირებს.

"მონაკოს", "ლიონის", "მარსელისა" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **სონი ანდერსონმა** აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ (2006 წელს) მწვრთნელის პროფესიული ლიცენზია მოიპოვა. მისი სამწვრთნელო კარიერის პირველი ნაბიჯები წარუმატებელი აღმოჩნდა. 2011 წელს ის "ქსამაქსში" სამუშაოდ სკანდალისტმა **ბულატ ჩაგაევმა** მიიწვია და ორიოდე კვირაში გაათავისუფლა. "ეკიპთან" ინტერვიუში ანდერსონმა განაცხადა, რომ მას კარიერის განახლების მშვენიერი შანსი მიეცა – ბრაზილიელი სპეციალისტით ანგოლის ნაკრები და "სენტ ეტიენი" დაინტერესდნენ. "მწვანეებს" ამჟამად **კრისტოფ გალტიე** უდგას სათავეში, მაგრამ პრეზიდენტი **როლან რომეიე** მისი მუშაობით უკმაყოფილოა. *"აფრიკელებთან მოლაპარაკებას ახლაც ვაგრძელებ. ისინი გუნდის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მომზადებას მთხოვენ. თანამშრომლობა შემომთავაზა "სენტ ეტიენმაც", მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც "ლიონში" ვთამაშობდი (ამ ორ კლუბს ერთმანეთთან საშინელი ურთიერთობა აქვს. რედ), ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. პროფესიონალი ვარ და სადაც დამიძახებენ, იქ ვიმუშავებ,"* – აცხადებს ბრაზილიელი.

"ლილს" ლიგა 1-ის 2010/11 წლების გათამაშების საუკეთესო ბომბარდირის, 25 წლის **მუსა სოვის** შენარჩუნება სურს. ფეხბურთელს კონტრაქტი ჩრდილოელებთან 2013 წელს ეწურება. "ძაღლები" სენეგალელს ახალ 4-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ. ფეხბურთელი ხელმოწერას კარგა ხანს აჭიანურებდა, ახლა კი განაცხადა, მოლაპარაკება ჩიხში შევიდაო. როგორც ჩანს, მისი აგენტი პარალელურად ინგლისურ კლუბებთან ანარმოებს მოლაპარაკებას, რადგან მუსა თავად ამბობს, რომ პრემიერლიგაში თამაშზე ოცნებობს. *"კლუბზე ზეწოლის მოხდენას სულაც არ ვცდილობ. ტყუილია, თითქოს "ლილისგან" ძალიან დიდ ხელფასს ვითხოვ. პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და გარანტიას გაძლევთ, რომ ზამთარში არსად წასვლას არ დავაპირებ. აი, ზაფხულში კი სხვა საკითხია... ინგლისში თამაში ჩემი ოცნებაა. პრემიერლიგის მატჩებს გულდაწყვეტილი ვადევნებ ხოლმე თვალს და ვფიქრობ, აი, ადგილი, სადაც თამაში მინდა-მეთქი. იქ მოხვედრა იმიტომაც მსურს, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს დასამტკიცებელი. ყველაზე მეტად იქაური ატმოსფერო მიყვარს. კონკრეტულად სად მინდა? "არსენალში", რადგან დიდი კლუბია. ვნახოთ რა მოხდება. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია,"* – განაცხადა სოვმა.

ლილი ზაფხულში მუსა სოვს გამოეთხოვება

● პარი სენ-ჟერმენი

პარის სტად დე ფრანსი

"პარი სენ-ჟერმენი" "პარკ დე პრენსის" საფუძვლიან რეკონსტრუქციას ჯერ კიდევ იქამდე აპირებდა, ვიდრე კლუბში ყატარელი ინვესტორები მოვიდოდნენ. ამ პერიოდის განმავლობაში დედაქალაქურ კლუბს საშინაო შეხვედრები "სტად დე ფრანსზე" უნდა ჩაეტარებინა. ახლა გაირკვა, რომ დაგეგმილი 1 წლის ნაცვლად პსჟ-ს საფრანგეთის ნაკრების არენაზე 2 წლის გატარება მოუწევს. "პარკ დე პრენსზე" სარემონტო სამუშაოები 2012/13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ დაიწყება და 2015 წლის ზაფხულზე დასრულდება. ის ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ერთერთი მასპინძელი არენა გახდება.

ახლა კი "პარი სენ-ჟერმენზე" ტრადიციულ სატრანსფერო ამბებს მოგითხრობთ. იტალიური პრესის ცნობით, კლუბის მთავარი სკაუტი, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი **ალენ როში** იტალიაში იმყოფებოდა. "იუვენტუსის" ნებართვით მან "ქალბატონის" სერბი ნახევარმცველის, 27 წლის **მილოშ კრასიჩის** აგენტებთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი გამართა. პარიზელებს ტურინელთა კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბრაზილიელი **კარვალიო ამაურიც** აინტერესებთ. ამ უკანასკნელისადმი "ლურჯ-ნითელთა" ინტერესზე ჩვენს მკითხველს წინა ნომრებშიც მოვუთხრობდით.

ტურინელი ფეხბურთელების გარდა როში "რომას" თავდამსხმელის **მარკო ბოლიელოს** აგენტ **ტიბერიო კავალიერისაც** შეხვდა. ამ უკანასკნელს სანკტ პეტერბურგის "ზენიტიც" ეპატიჟება. რუსებს იმედი აქვთ, რომ ფეხბურთელს ყოფილი დამრიგებლის **ლუჩანო სპალეტის** ხათრით იოლად დაითანხმებენ. "რომას" ბორიელოსთან გამოთხოვება იანვარშივე სურს. "პარი სენ-ჟერმენი" არჩევანიც წინაშე დგას. მათ ერთი ცენტრფორვარდის ყიდვა აქვთ გადაწყვეტილი. კლუბში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ვისზე გაკეთდება არჩევანი ბორიელოზე თუ ამაურიზე, ამას უფრო **ლეონარდო** გადაწყვეტს, ვიდრე **ანტუან კომბუარე**.

დაბოლოს, **კაკა**... "პარი სენ-ჟერმენს" ყველაზე მეტად სწორედ ბრაზილიელის ხელში ჩაგდება სურს, მაგრამ თავად ვარსკვლავს "რეალიდან" წასვლის სურვილი მაინცდამაინც არ ეტყობა. **ჟოზე მოურინიო** მას ენდობა. ჩემპიონატის 10 შეხვედრაში მის ანგარიშზე 3 გოლი და 2 საგოლე გადაცემაა. მართალია, კაკა ხშირად რჩება სათადარიგოთა შორის, მაგრამ ეს საზარდულის ქრონიკული ტრავმის გამო ხდება და არა იმიტომ, რომ სამეფო კლუბს ვინმე მასზე უკეთესი ჰყავს. აი, რას აცხადებს ფეხბურთელის იტალიელი აგენტი **გაეტანო პაოლილო**: *"კაკა ჩემი ოჯახის წევრია და კარგად ვიცი, რომ ის "რეალში" თავს ბედნიერად გრძნობს. "პარი სენ-ჟერმენის" დაინტერესება მას ახარებს. ვფიქრობ, ამბიციურ კლუბს რომ კაკას ყიდვის სურვილი გაუჩნდა, ეს ბუნებრივიც არის, მაგრამ თავად მას გადაწყვეტილი აქვს, რომ დარჩეს მადრიდში და დაამტკიცოს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია".*

მილოშ კრასიჩი - პსჟ-ის ახალი სამიზნე

● კონფლიქტი

ედუარდო კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს გაურბის

ყადაღა ედუარდოს ქონებას

ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელ **ედუარდო და სილვას** მეორე სამშობლოში სერიოზული პრობლემები შეექმნა. სასამართლო აღმასრულებლებმა ზაგრებში მის საცხოვრებელ სახლსა და მანქანას ყადაღა დაადეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი მათ ვეღარ განკარგავს. გაყინულია ასევე მისი ანგარიშები, რომელიც ფეხბურთელს ხორვატიის ბანკებში ჰქონდა. მიზეზი კი ის არის, რომ "შახტარის" ფეხბურთელს ზაგრების "დინამოს" წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება არ სურს.

ედუარდოს "დინამოს" პრეზიდენტი **ზდრავკო მამიჩი** უჩივის. ბრაზილიელი ხორვატულ კლუბში 1997/2007 წლებში თამაშობდა. მხარეებს შორის 2001 წელს დაიდო კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, კლუბი ფეხბურთელის პროფესიულ განვითარებაში გარკვეული თანხების ჩადებას კისრულობდა. ფეხბურთელს მისი შემდგომი ტრანსფერებიდან თუ ხელფასებიდან "დინამოსთვის" 1 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა. სიმართლე რომ ვთქვათ, პირობები სტანდარტულია. მსგავსი ხელშეკრულება მრავალ პერსპექტიულ ფეხბურთელს აქვს გაფორმებული კლუბთან თუ აგენტთან. რითი ამართლებს ედუარდო საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობას? აღნიშნული კონფლიქტის დაწყებისთანავე ფეხბურთელმა განაცხადა, 2011 წელს ხორვატული ენა ცუდად ვიცოდი, ასე რომ ყოფილიყო "ამ მონურ პირობებზე" ხელს არ მოვაწერდიო. როგორც ჩანს, ის თავს დაჩაგრულად მიიჩნევს. აი, რა წერია "დინამოსთან" მის კონტრაქტში: *"თუკი ნებისმიერი მიზეზით უცხოელი ფეხბურთელი უარს აცხადებს აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ქვემოთ ხელის მომწერები თანხმდებიან, რომ სპონსორს მიეცემა უფლება კანონის დაცვით განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი უფლებები მოთხოვნაზე, მათ შორის ქონების დაყადაღება და ასე შემდეგ".*

მარიო მამიჩის კანონიერ მოთხოვნას ფეხბურთელმა ყური არ ათხოვა. მამიჩი მთელი წელი ელოდებოდა, იქნებ, ედუარდო გონს მოეგოსო, მაგრამ რაკი საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაიძრა, ბიზნესმენმა სასამართლოს მიმართა, ვინც მისი მოთხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა. ახლა ფეხბურთელს წინ ხანგრძლივი სასამართლო გარჩევები ელის.

● ამბები

უეფა ზენიტის წინააღმდეგ

რუსული პრესის ცნობით, უეფა "ზენიტის" წინააღმდეგ დისციპლინარული საქმის წარმოებას იწყებს. შეგახსენებთ, რომ 23 ნოემბერს ჩემპიონთა ლიგაში აპოელ-თან მატჩის მიმდინარეობისას გერმანელი მთავარი მსაჯი **ფელიქს ბრიხი** ორჯერ, 36-ე და 55-ე წუთებზე, იძულებული გახდა, მატჩი შეეწყვიტა. მიზეზი გულშემატკივრების მიერ პიროტექნიკის გამოყენება იყო. უეფას რეგლამენტში კი ტრიბუნებზე მსგავსი არეულობების მონყობა დასჯადად არის გამოცხადებული. ევროპული ფეხბურთის "მამებს" შეუძლიათ "ზენიტს" ფულადი ჯარიმა აკმარონ ან ერთი ან მეტი მატჩის ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართვა დააკისრონ. გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

რონალდო

ფუნქციონერი რონალდო

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **რონალდო** ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციამ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელად დაამტკიცა. "ფენომენის" წინამორბედი, ფედერაციის ჯერაც მოქმედი პრეზიდენტი **რიკარდო ტეიშეირა** კორუფციულ სკანდალშია გახვეული. მას ახლა საკუთარი თავის გადარჩენაზე უფრო მეტი ფიქრი უნევს, ვიდრე სხვა საქმეებზე. რონალდოს კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა **ჟოაო აველანჟმა** და "პენტაკამპეონების" ლეგენდარულმა დამრიგებელმა **მარიო ზაგალომ**.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გადადებული მატჩი

იუვენტუსი გოლის აღნიშვნისას

ფრე ტურინელთა აქტივში

სპექტაკლი სან პაოლოზე

ნაპოლი-იუვენტუსი 3:3

გოლები: 1:0 ჰამშიკი (22), 2:0 პანდევი (40), 2:1 მატრი (48), 3:1 პანდევი (68), 3:2 ესტიგარიბია (72), 3:3 აფე (79).

ეს მატჩი ალბათ უნდა გადადებულიყო, რომ შემდეგ ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი გვეხილა - დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სტადიო სან პაოლოზე" სეზონის საუკეთესო შეხვედრა ვიხილეთ, რომელიც ფრედ, 3:3 დასრულდა. თამაში ორი რადიკალურად განსხვავებული ტაიმებისგან შედგებოდა, პირველში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და სრულიად დამსახურებულად გაუტანეს მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი, აი მეორეში კი ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ და იმ შედეგს მიაღწიეს, რომელიც მათთვის თამაშის დაწყებამდეც სასურველი იყო.

გადაჭედილ „სან პაოლოზე" თამაში ტრადიციულად დაიწყო, „ნაპოლი" ეკვეთა მეტოქეს და უპირატესობა თავიდანვე ხელთ იგდო. თამაში ხეირიანად გახურებული არ იყო, რომ მასპინძლებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ, პირველი 100%-იანი საგოლე შანსი კი **ანდრეა პირლოს** უხეირო ვარდნით მოიპოვეს - „იუვეს" საყრდენი ნახევარმცველი საკუთარ საჯარიმოში მეტოქის შემტევს ეუხეშა და მსაჯს თერთმეტმეტრიანის დანიშვნის საფუძველი მისცა - **მარეკ ჰამშიკმა** დარტყმა ზუსტად შეასრულა, ორიგინალურად აღსანიშნავად გასახდელშიც კი ჩაირბინა, მაგრამ მსაჯმა გოლი გააუქმა და სლოვაკს ხელმეორედ დაარტყმევინა, მიზეზად კი ნეაპოლელთა საჯარიმოში ნაადრევი შერბენა დაასახელა - მეორე მცდელობა არაზუსტი გამოდგა, ბურთი ზემოდან გადაცდა ტურინელთა კარს და ანგარიში უცვლელი დარჩა.

„ნაპოლის" გულშემატკივრებს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ, დაახლოებით ათ წუთში მომენტი იმავე ჰამშიკს შეექმნა და ამჯერად, წესების სრული დაცვით გადაგზავნა ბურთი **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის ჩარჩოში, 1:0. გატანილმა გოლმა ნეაპოლელებს ფრთები შეასხა და ტაიმის დარჩენილი ნაწილიც მათ იერიშებში გაილია. მე-40 წუთზე მასპინძლებმა სულაც მეორე გოლი გაიტანეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს გამარჯვებისკენ - ამჯერად, თავი **გორან პანდევმა** გამოიჩინა, რომელსაც მარჯვენა ფრთაზე მიაწოდეს ბურთი და მანაც გამოზომილი დარტყმით ჯიჯის შანსი არ დაუტოვა, 2:0.

ის, რაც მეორე ტაიმში მოხდა, ნაკლებად სავარაუდო იყო - „იუვენტუსი" მთლიანად გარდაისახა და თამაშის განახლებისთანავე მეტოქეს სახიფათო მომენტების სეტყვა დაატეხა. პირველი რეალური შანსი **ალესანდრო მატრომ** გაატანა ქარს, როდესაც ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა, შემდეგ კი **მირკო ვუჩინიჩი** გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა მასაც ცოტა დააკლდა მიზნის მისაღწევად. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი პირველ ორ წუთში მოხდა, მესამეზე კი სულაც გოლი ვიხილეთ - შესანიშნავად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე მატრი გავიდა და ამჯერად, ნეაპოლელთა კიპერს შანსი არ დაუტოვა, 2:1.

ტურინელებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს და ნათელი გახდა, რომ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, სტუმრებს გაცილებით უკეთ ჰქონდათ საქმე. „იუვეს" შეტევები უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და გამომდინარე აქედან, 68-ე წუთზე გორან პანდევის მიერ გატანილი გოლი აშკარად ამოვარდნილი გახლდათ საერთიო სურათიდან. მარჯვენა ფრთიდან **კრისტიან მაჯოს** მიერ გაკეთებული გადაცემის შემდეგ, მაკედონიელმა ბურთი შესანიშნავად მიიღო და ეფექტური დარტყმით ბუფონი მესამეჯერ დატოვა ხელმოცარული, 3:1.

აი აქ კი, ვგონებ, **ვალტერ მაძარიმ** ფატალური შეცდომა დაუშვა, რადგან თამაშიდან გორან პანდევი მოხსნა, ფეხბურთელი, რომელიც **ესეკილ ლავეციისთან** ერთად ბურთის მეტოქის ნახევარზე შენარჩუნებას ახერხებდა - ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან დროის სვლასთან ერთად, ტურინელთა ზეწოლა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პანდევის ნაცვლად მოედანზე **მარიო სანტანა** შევიდა, რომელიც მატჩის ბოლომდე ჩრდილში გახლდათ და თანაგუნდელებს ბევრი ვერაფრით დაეხმარა. მოკლედ, ტურინელები არ გატყდნენ, ჩვეულ სტილში განაგრძეს იერიშები და ძალიან მალე, ანგარიში საყაიმო გახადეს. 72-ე წუთზე თავი **ესტიგარიბიამ** გამოიჩინა, რომელმაც მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, მეორე შეხებით გაისწორა და უზუსტესი დარტყმით **მორგან დე სანკტისი** უშანსოდ დატოვა, 3:2. შეხვედრის დასრულებამდე ათ წუთზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი, როდესაც **სიმონე პეპემ** სოლო რეიდი შემოგვთავაზა, ხუთ მეტოქესთან ჭიდილში არ დაკარგა ბურთი და საბოლოოდ, დე სანკტისის კარის მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა, 3:3.

ნეაპოლელებისგან განსხვავებით, ტურინელებს ჰქონდათ იმის ძალა, რომ თამაშის ბოლო ათწუთიანი შეტევებში გაელიათ - იქნებ გამარჯვების გოლიც გაეტანათ, მაგრამ აღარ გარისკეს და სასურველ ფრეს დაყაბულდნენ. ნამატჩევს, **ანტონიო კონტემ** შეგირდები ქებით ცაში აიყვანა: „*რაც არ უნდა მაღალი იყოს ფეხბურთელთა კლასი და საშემსრულებლო ოსტატობა, თუ მებრძოლი ხასიათი არ გაქვს, ასეთ თამაშს ვერ შემოაბრუნებ.. ვამაყობ, რომ ამ ბიჭების მწვრთნელი ვარ და ვამაყობ, რომ ასეთ რთულ პაექრობაში ქულის გადარჩენა შევძელით. პირველი ტაიმი ორი ბურთის სხვაობით წავაგეთ, სტადიონზე არანორმალური ატმოსფერო სუფევდა, ჩვენ კი ყველაფერს გავუძელით და სასურველ შედეგს მივაღწიეთ*".

ლაშა წიკლაური

● ინტერი

მორაჭიმ ტევესი გამორიცხა

კარლოს ტევესი

იტალიურ სპორტულ პრესაში ბევრი იწერება **კარლოს ტევესის** სერია A-ს რომელიმე გუნდში შესაძლო გადაბარგების შესახებ. ძირითადად ორ მილანურ გრანდზეა საუბარი და არგენტინელი ფორვარდიც ხან „როსონერიში" გადაჰყავთ, ხანაც „ნერაძურიში". შეგახსენებთ, რომ 27 წლის ფორვარდი „მანჩესტერ სიტის" საკუთრებაა, მაგრამ **რობერტო მანჩინისთან** კონფლიქტის გამო, კარგა ხანია ძირითად გუნდში თამაში არ უწევს. გუშინ პრესასთან კომენტარი „ინტერის" პრეზიდენტმა, **მასიმო მორატიმ** გააკეთა და კარლოს ტევესის შესაძლო გადაბირება გამორიცხა:

„*უეფამ ფინანსური ფეარ პლეი შემოიღო, რაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ზამთარში მილიონები ვხარჯოთ. მით უმეტეს, ეს მილიონები კარლოს ტევესში გადავიხადოთ, ფეხბურთელში, რომელიც არავითარ პროგნოზებს არ ექვემდებარება. მარიო ბალოტელი სწორედ იმიტომ გავუშვით გუნდიდან, რომ რთული ხასიათები ჰქონდა და არ ვაპირებთ, ახალი მარიო დავიმატოთ და თანაც, მასში დიდძალი თანხა გადავიხადოთ*".

ლაშა წიკლაური

● მილანი

ბერლუსკონი ბრუნდება

სილვიო ბერლუსკონი

მას შემდეგ, რაც **სილვიო ბერლუსკონიმ** იტალიის პრემიერმინისტრის პოსტი დატოვა, „მილანის" საქმეებში უფრო დეტალურად ჩაიხედა და კლუბის მართვასაც უფრო საფუძვლიანად მიჰყო ხელი. ამის შესახებ ქვეყნის ექსპრემიერმა „რაი-სპორტთან" მიცემულ ინტერვიუში იუსაუბრა - მოვუსმინოთ „მილანის' პრეზიდენტს:

„*ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, პრემიერმინისტრს არ აქვს უფლება იყოს საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი და შესაბამისად, ოფიციალურად ეს პოსტი დღემდე ვაკანტური გახლავთ. თუმცა, პრემიერობის დროსაც კლუბი ჩემს ფლობელობაში რჩებოდა და არც უარვყოფდი, რომ მართვის პროცესებში გარკვეულ მონაწილეობას ვიღებდი. სულ მალე, პრეზიდენტის პოსტზე ოფიციალურად დავბრუნდები და „მილანის" საქმეებში გაცილებით უფრო აქტიურად ჩავერევი. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში, „მილანმა" 27 ტიტულის მოპოვება შეძლო, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მსოფლიო მასშტაბით - ჩემს შემდეგ, სანტიაგო ბერნაბეუ მოდის, რომლის „რეალმაც" ჩვენი ტიტულების მხოლოდ ნახევარი მოიგო*".

არ შეძლება არ აღვნიშნოთ, რომ სილვიო ბერლუსკონის შეცდომაში შეჰყავს როგორც ჟურნალისტები, ისე საფეხბურთო საზოგადოება. მსოფლიო ფეხბურთს არაერთი პრეზიდენტი ახსოვს, რომლის მმართველობის დროსაც ამა თუ იმ კლუბმა სამ ათეულზე მეტი ტროფეი მოიგო - ამ მხრივ, რეალური რეკორდსმენი „პორტუს" პრეზიდენტი **პინტუ და კოშტა** გახლავთ, რომლის დროსაც მისმა გუნდმა 51 ტიტული მოიგო. თუმცა, იმას ნამდვილად ვერ უარვყოფთ, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის მოგება გაცილებით უფრო ადვილია „პორტუსთვის", ვიდრე სუუდეტოს მოპოვება „მილანისთვის".

ლაშა წიკლაური

● ვერდერი

ვიზე ბაიერნთან არ იქნება

ტიმ ვიზეს მამა გარდაეცვალა

„ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზე** ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, რომელშიც ბრემენულ კლუბს მიუნხენის „ბაიერნთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის, ვერ ითამაშებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ 29 წლის მეკარეს მამა გარდაეცვალა. „*ტიმი „ბაიერნთან" ვერ დაგვეხმარება, რადგან ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა – უფროსი ვიზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა,*" - თქვა გუშინ ბრემენელთა მთავარმა მწვრთნელმა **თომას შაფმა**.

მიუნხენურ გრანდთან შეხვედრაში ვიზეს ახალგაზრდა მეკარე **სებასტიან მილიტცი** შეცვლის. აღსანიშნავია, რომ 22 წლის მილიტცმა ვიზე ამ სეზონში უკვე ოთხჯერ შეცვალა (ტიმი დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობდა). მილიტცთან ერთად „ვერდერის" ბალანსი ასეთია: 1 მოგება, 1 ფრე, 2 მარცხი.

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

ულიმ იანვარში ტრანსფერები გამორიცხა

ული ჰაინესი

„ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰაინესი** გუშინ გავრცელებულ სპეკულაციას გამოეხმაურა და იანვარში ტრანსფერების განხორციელება გამორიცხა. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიული გრანდი „ფრაიბურგის" ფორვარდ **პაპის დემბა სისეთი** დაინტერესდა, რაც ჰაინესმა უარყო.

„*პირველი წრის დარჩენილი მატჩებიდან ყველა რომ წავაგოთ, ზამთარში მაინც არავის ვიყიდი. იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც ახლა გვყავს, უბრალოდ კარგად უნდა ითამაშონ და არა ისე, როგორც ბოლო მატჩებში ასპარეზობდნენ და ყველა პრობლემა მოიხსნება. ახალ ფეხბურთელებზე მე მხოლოდ სეზონის ბოლოს ვიფიქრებ,*" - განაცხადა რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა „სქაისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ოლივერ კანი

ბაიერნის ჩავარდნას ველოდი

ტიტანს გლადბახის ყურება სიამოვნებს, მაგრამ რეკორდმაისტერის სერიოზულ კონკურენტად მხოლოდ დორტმუნდს მიიჩნევს

მიუნხენის „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი თამაში რომ წააგო და ლიდერობა დაკარგა, მთელი საფეხბურთო გერმანია რეკორდმაისტერის კრიზისზე ალაპარაკდა. ასეთ დროს კი, განსაკუთრებით აქტუალური მიუნხენური გრანდის ლეგენდარული მეკარე და ყოფილი კაპიტანი ოლივერ კანი ხდება ხოლმე. 42 წლის „ტიტანს“ პირველები, რა თქმა უნდა, „ბილდის“ ჟურნალისტები დაუკავშირდნენ და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვეს, სადაც კანი „ბაიერნის“ მინიკრიზისზე საუბრობს.

- ჰერ კან, „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონატში ზედიზედ ორი თამაში წააგო, ბოლო ხუთ მატჩში კი ეს სულაც რიგით მესამე მარცხია, რამაც ის გამოიწვია, რომ მიუნხენელებმა ლიდერობა დაკარგეს და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ბაიერნს“ კრიზისი დაეწყო?

- არა, ამას ჯერ კრიზისს ვერ დავარქმევთ. გუნდმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო და მოსალოდნელიც იყო, რომ ჩავარდნა ექნებოდა. ეს ნორმალურია. სიმართლე გითხრათ, მე ველოდი კიდეც, რომ ეს მაინცდამაინც ნოემბრის მეორე ნახევარში მოხდებოდა...

- რატომ?

- ამას დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩის შემდეგ მივხვდი. ცხადი იყო, რომ უშუალო კონკურენტთან საკუთარ მოედანზე წაგება უკვალოდ არ ჩაივლიდა და რეკორდმაისტერზე ცუდად იმოქმედებდა. რაც უნდა იყოს, „ბაიერნმა“ „დორტმუნდთან“ ზედიზედ სამი თამაში წააგო და მივხვდი, რომ ეს მიუნხენურ გრანდს დააკომპლექსებდა. რეკორდმაისტერი გერმანიაში ზედიზედ სამჯერ არავისთან მარცხდება ხოლმე, „ბორუსიამ“ მოახერხა და შარშან ორივე თამაში მოუგო, წელს კი აგერ, „ალიანს არენაზე“ უკვე დაამარცხა. ამიტომაც ლოგიკურია ის, რომ „ბაიერნმა“ ვერც „მაინცთან“ ითამაშა კარგად.

- თქვენი აზრით, „დორტმუნდი“ „ბაიერნისთვის“ ნელ-ნელა ძალიან სერიოზული კონკურენტი ხდება?

- ფაქტია, რომ დორტმუნდელები სწორ გზას ადგანან და მართლა კარგი შანსი აქვთ, რეკორდმაისტერს სერიოზული კონკურენცია არა მარტო წელს, არამედ რეგულარულად გაუწიონ ხოლმე. ბოლოს ასეთი შანსი ბრემენის „ვერდერს“ ჰქონდა, მაგრამ „მუსიკოსებმა“ დიდხანს ვერ გაძლეს. პირადად მე, „დორტმუნდს“ უფრო მეტს ვუწინასწარმეტყველებ.

- ბევრი ფიქრობს, რომ მიუნხენელებმა „დორტმუნდთან“ წაგებას ყურადღება სათანადოდ არ მიაქციეს, შეცდომები კარგად არ გააანალიზეს და „მაინცთანაც“ ამიტომაც დამარცხდნენ.

- შარშან „ბორუსიამ“ „ბაიერნი“ ორივე შეხვედრაში დაჩაგრა და თანაც იმდენად, რომ ორივე წაგების შემდეგ მიუნხენელებს საქმეები ცუდად წაუვიდათ. თუ გახსოვთ, გასულ სეზონში რეკორდმაისტერს სწორედ „დორტმუნდთან“ წაგებების შემდეგ დაუდგა რთული ფაზები. როცა უმთავრეს კონკურენტთან აგებ, თანაც საკუთარ მოედანზე, უარყოფითი აურა მთელ გუნდს გადაეცემა და დიდხანს მიჰყვება ხოლმე. „ბაიერნზე“ წნეხი ახლაც გაიზარდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს მოაგვარებენ. ახლა ერთი რამ არის მთავარი: მიუნხენურ გრანდს ეს მინიკრიზისი დიდხანს არ უნდა გაუგრძელდეს, თორემ დორტმუნდელები ან მიონხენგლადბახელები ამით აუცილებლად ისარგებლებენ.

- არიენ რობენი, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ იუპ ჰაინკესს გუნდში მისი ინტეგრირება უჭირს...

- არიენ რობენი „ბაიერნის“ ერთ-ერთი უმთავრესი ლიდერია, მაგრამ ამავე დროს მარტივი ფეხბურთელი არ არის. რობენის დაბრუნება და კარგად ინტეგრირება ახლა ჰაინკესის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჰოლანდიელის არყოფნაში ტონი კროოსი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა, რობენის პოზიციაზე კი თომას მიულერი თამაშობდა. ახლა ჰაინკესი დილემის წინაშე დგას – მას კროოსის ან მიულერის ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება არ უნდა. არის ვარიანტი, რომ კროოსი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გადაიყვანოს, მით უმეტეს, რომ ბასტიან შვაინშტაიგერია ტრავმირებული. თუმცა აშკარაა, რომ ჰაინკესს არც ეს უნდა. მოკლედ, იუპი ძალიან გამოცდილი სპეციალისტია და ასეთ სიტუაციებში კარგად ერკვევა. შესაბამისად, მჯერა, რომ რობენის ინტეგრირებას უმტკივნეულოდ მოახერხებს.

- ვინ უნდა იტვირთოს ლიდერისა და მთავარი სტრატეგის ფუნქციები შვაინშტაიგერის არყოფნაში?

- „ბაიერნს“ ბევრი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, ვისაც ეს შეუძლია – იქნება ეს მანუელ ნოიერი თუ ფილიპ ლამი, რეალურად, მხოლოდ ცუდი დროების ჟამს ჩანს ხოლმე, ვინ არის ლიდერი. ეს მარიო გომესს, თომას მიულერის, ფრანკ რიბერის და იმავე რობენსაც შეუძლიათ.

- „ბაიერნისგან“ ახლა რას ელით?

- მიუნხენელთა მთავარი მიზანი ახლა ზამთრის შესვენებამდე ყველა თამაშის მოგება და პირველი წრის პირველ ადგილზე დასრულება უნდა იყოს. გარდა ამისა, რეკორდმაისტერმა აუცილებლად უნდა გადალახოს გერმანიის თასის მორიგი ეტაპიც. ერთი სიტყვით, „ბაიერნში“ პრობლემატური სიტუაციაა, მაგრამ მე ამ მდგომარეობას კრიზისს მაინც არ დავარქმევდი.

- ნიშანდობლივია, რომ „ბაიერნს“ საქმეები ცუდად მას მერე წაუვიდა, რაც შვაინშტაიგერი დაშავდა. როგორ ფიქრობთ, რამდენადაა ეს ორი ამბავი ერთმანეთთან კავშირში?

- „ბაიერნი“ არასდროს ყოფილა და არც ახლაა ისეთი გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე იქნება დამოკიდებული. ცხადია, „ბაიერნი“ შვაინისთან ერთად და მის გარეშე აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ჩემი აზრით, ამ ორი თამაშის წაგების მიზეზად ბასტიანის არყოფნის დასახელება ძალიან ადვილი და პრობლემიდან უაზრო გამოსავალია. როცა ერთი ლიდერი ტრავმირებულია, სხვებმა უნდა მოინდომონ და გუნდს მისი არყოფნა არ უნდა დაატყონ.

- მიუნხენელებმა სეზონი ისე კარგად დაიწყეს, ამბობდით, ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონები მინიმუმ 10-ქულიანი უპირატესობით გახდებიანო. თქვენ ეს ჯერ კიდევ გჯერათ?

- სამი-ოთხი კვირის წინ ეს რეალური იყო, ახლა კი „დორტმუნდმა“ ისე მოუმატა, რომ პირდაპირ ვიტყვი: აღარ მჯერა. თუ „ბორუსია“ საერთაშორისო სარბიელს დაეშშვიდობება და მხოლოდ ბუნდესლიგაზე იქნება კონცენტრირებული, ეს იურგენ კლოპის გუნდისთვის დიდი შელავათი იქნება და შესაძლოა, „ბაიერნს“ საერთოდ გაჩემპიონება გაუჭირდეს.

- „გლადბახს“ რა შანსები აქვს?

- მიონხენგლადბახელების თამაშის ყურება ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ამ გუნდის წარმატებები ზედმეტადაა დამოკიდებული ერთ კონკრეტულ მოთამაშეზე, კერძოდ, მარკო როისზე, რის გამოც არა მგონია, რომ „გლადბახი“ ჩემპიონობის რეალური კანდიდატი იყოს. „დორტმუნდი“ კი ისევ რეალური კანდიდატია.

ტრანსფერი

ლენო რჩება

შტუტგარტმა 8 მილიონი მიიღო

გუშინ გადაწყდა, რომ 19 წლის მეკარე **ბერნდ ლენო** „ლევერკუზენში“ დარჩება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ის „ბაიერთან“ კონტრაქტს 2017 წლამდე აფორმებს, მისი ყოფილი გუნდი „შტუტგარტი“ კი „ლევერკუზენისგან“ 7-8 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ლენო „ლევერკუზენში“ აქამდე არენდის წესით თამაშობდა – „შტუტგარტმა“ „ბაიერს“ ეს მეკარე აგვისტოში იმის გამო ათხოვა, რომ „ფარმაცევტებს“ ძირითადი გოლკიპერი **რენე ადლერი** დაუშავდათ. იჯარის ხელშეკრულებას კი ვადა იანვარში ეწურებოდა.

ნიჭიერი კიპერი „ბაიერში“ იმდენად კარგად ათამაშდა, რომ ამ კლუბის ხელმძღვანელებმა მისი კონტრაქტის გამოსყიდვა გადაწყვიტეს. არადა, ლენოს მანამდე პირველ ბუნდესლიგაში ერთი შეხვედრაც არ ჰქონდა ჩატარებული. შვაბები მის დასაბრუნებლად დიდხანს იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს თვითონ ფეხბურთელმა თქვა, „ლევერკუზენში“ დარჩენა მინდაო, რამაც იქონია კიდეც გადამწყვეტი გავლენა.

შალკე

სტევენსი რაულით უკმაყოფილოა

არ იწდომებს და არ იხარჯებაო...

„შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** გუშინწინ 58 წლის გახდა, მაგრამ გასულ უქმეებზე რურის დიდი დერბის წაგების შემდეგ (0:2 დორტმუნდის „ბორუსიასთან“) მას საერთოდ არ ეზეიმებოდა. ამიტომაც იყო, ჰოლანდიელი სპეციალისტი ამ დღეებში მხოლოდ თავისი შეგირდების კრიტიკით რომ დაკავდა.

„ბიჭებისგან საჩუქარს ველოდი, რადგან იცოდნენ, რომ ჩემი დაბადების დღე ახლოვდებოდა. საჩუქარში კი ერთადერთ რამეს, თავდადებას და მოედანზე ასი პროცენტით დახარჯვას ვგულისხმობ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. შესაბამისად, ნურავის გაუკვირდება, დორტმუნდში რომ წავაგეთ. პირველ ტაიმში ფეხბურთის გარდა ყველაფერს ვთამაშობდით,“ - გამწარებულია სტევენსი.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჰოლანდიელმა გამოცდილი ესპანელი თავდამსხმელი **რაული** გააკრიტიკა. **ბენედიქტ ჰოოვედესის** არყოფნაში ეს უკანასკნელი გუნდის კაპიტანი გახლდათ. *„ამ სეზონში რაული ჯერჯერობით ცუდად გამოიყურება. ხანდახან კარგად თამაშობს, ხანდახან კი ცუდად და საერთო ჯამში არასტაბილურია. მე მისგან მეტს ვითხოვ და ველი,“* - ამბობს სტევენსი ესპანელ თავდამსხმელზე.

რაულის გარდა, სტევენსმა 21 წლის ნახევარმცველი **ლუის ჰოლტბიც** გააკრიტიკა. ამ უკანასკნელს შარშან „მაინცში“ ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და „შალკეშიც“ სწორედ ამიტომ დააბრუნეს, მაგრამ ჯერჯერობით იმედებს ვერ ამართლებს. სტევენსი: *„ჰოლტბი 21 წლისაა და ლოგიკურად, 18 წლის იულიან დრაქსლერზე უფრო პროდუქტიული უნდა იყოს, რასაც ვერ ახერხებს. არადა, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებ. ჩემი აზრით, უკვე დროა, რომ ჰოლტბიმ თავის თავზე გარკვეული პასუხისმგებლობები აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ახლა ჯეფერსონ ფარფანიც ტრავმირებული გვყავს. „დორტმუნდთან“ კი ფარფანი აშკარად ძალიან გვაკლდა.“*

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● V ტური

ევროპა ლიგა

V ტურის წინ

12 საგზური დარიგებულია

გუშინ ევროპა ლიგის პლეი ოფის ეტაპის საგზურები გაინაღდეს: უკრაინულმა „მეტალისტმა“, პორტუგალიურმა „ბრაგამ“, ესპანურმა „ატლეტიკომ“, ბერძნულმა პაოკ-მა, ბელგიურმა „სტანდარდმა“ და გერმანულმა „ჰანოვერმა“.

მანამდე საგზურები განაღდებული ჰქონდათ: ჰოლანდიურ პსვ-ს, პოლონურ „ლეგიას“, პორტუგალიურ „სპორტინგს“, ჰოლანდიურ „ტვენტეს“, ესპანურ „ბილბაოს“ და ბელგიურ „ანდერლეხტს“.

მეტალისტმა პირველმა გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი

A ჯგუფი

რუბინი-შემროკი 4:1

გოლები: 1:0 ვალდესი (10), 1:1 ომანი (12), 2:1 ნატხო (36), 3:1 ვალდესი (51), 4:1 მარტინსი (62)

შენიშვნა: საბა კვერკველია (რუბინი) სათადარიგო იყო

ტოტენჰემი-პაოკ 1:2

გოლები: 0:1 სალპინგიდისი (6), 0:2 ათანასიადისი (14), 1:2 მოდრიჩი (39-პენ)

გაძევება: სტაფილიდისი (37. პაოკ)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პაოკ	5	3	2	0	9-5	11
2. რუბინი	5	3	1	1	10-4	10
3. ტოტენჰემი	5	2	1	2	5-4	7
4. შემროკი	5	0	0	5	4-15	0

ბოლო ტური

15 დეკემბერი

პაოკ-რუბინი
შემროკი-ტოტენჰემი

B ჯგუფი

სტანდარდი-ჰანოვერი 2:0

გოლები: 1:0 ტჩიტე (26), 2:0 სირიაკი (59)

ვორსკლა-კოპენჰაგენი 1:1

გოლები: 1:0 ნდოიე (31 ს.კ.), 1:1 ნდოიე (37)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტანდარდი	5	3	2	0	8-1	11
2. ჰანოვერი	5	2	2	1	6-6	8
3. კოპენჰაგენი	5	1	2	2	5-8	5
4. ვორსკლა	5	0	2	3	3-7	2

ბოლო ტური

15 დეკემბერი

ჰანოვერი-ვორსკლა,
კოპენჰაგენი-სტანდარდი

C ჯგუფი

რაპიდი-ჰაპოელი თ. 1:3

გოლები: 0:1 იგიებორი (12), 0:2 თამუზი (39-პენ), 1:2 დეაჩი (43-პენ), 1:3 ტოამა (45)

ლეგია-პსვ 0:3

გოლები: 0:1 მანოლევი (32), 0:2 მერტენსი (59-პენ), ლაბიადი (68)

გაძევება: კუჩიაკი (56. ლეგია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პსვ	5	4	1	0	11-4	13
2. ლეგია	5	3	0	2	7-7	9
3. ჰაპოელი	5	1	1	3	8-9	4
4. რაპიდი	5	1	0	4	4-10	3

ბოლო ტური

15 დეკემბერი

პსვ-რაპიდი
ჰაპოელი თ.-ლეგია

G ჯგუფი

მალმიო-ალკმაარი 0:0

მეტალისტი-აუსტრია 4:1

გოლები: 1:0 დევიცი (17), 1:1 მადერი (19), 2:1 ედმარი (40), 3:1 გუიე (60), 4:1 სოსა (90)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მეტალისტი	5	4	1	0	14-5	13
2. ალკმაარი	5	1	4	0	9-6	7
3. აუსტრია	5	1	2	2	8-11	5
4. მალმიო	5	0	1	4	4-13	1

ბოლო ტური

15 დეკემბერი

ალკმაარი-მეტალისტი
აუსტრია-მალმიო

H ჯგუფი

მარიბორი-ბრიუგე 3:4

გოლები: 1:0 ვოლასი (11), 2:0 დონკი (51 ს.კ.), 3:0 ვოლასი (68), 3:1 დირარი (74), 3:2 დირარი (77), 3:3 აკპალა (82), 3:4 დონკი (90)

ბრაგა-ბირმინგემი 1:0

გოლი: 1:0 ვიანა (51)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრიუგე	5	3	1	1	11-8	10
2. ბრაგა	5	3	1	1	11-5	10
3. ბირმინგემი	5	2	1	2	7-8	7
4. მარიბორი	5	0	1	4	6-14	1

ბოლო ტური

15 დეკემბერი

ბრიუგე-ბრაგა
ბირმინგემი-მარიბორი

I ჯგუფი

რენი-უდინეზე 0:0

სელტიკი-ატლეტიკო 0:1

გოლი: 0:1 არდა თურანი (30)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ატლეტიკო	5	3	1	1	8-3	10
2. უდინეზე	5	2	2	1	5-6	8
3. სელტიკი	5	1	2	2	5-6	5
4. რენი	5	0	3	2	4-7	3

ბოლო ტური

15 დეკემბერი

ატლეტიკო-რენი
უდინეზე-სელტიკი

რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი) ევროპა ლიგის ბომბარდირობას აპირებს

D ჯგუფი

სპორტინგი-ციურიხი 00:05

ვასლუი-ლაციო 00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სპორტინგი	4	3	0	1	6-2	9
3. ლაციო	4	1	2	1	5-5	5
2. ვასლუი	4	1	2	1	5-6	5
4. ციურიხი	4	0	2	2	3-6	2

E ჯგუფი

სტოკი-დინამო 00:05

მაძაგი თ.-ბეშიქთაში 00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტოკი	4	3	1	0	8-3	10
2. ბეშიქთაში	4	2	0	2	7-4	6
3. დინამო	4	1	2	1	3-3	5
4. მაძაგი	4	0	1	3	3-11	1

F ჯგუფი

ბილბაო-სლოვანი 00:05

ზალცბურგი-პსჟ 00:05

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბილბაო	4	3	1	0	7-3	10
2. პსჟ	4	2	1	1	4-3	7
3. ზალცბურგი	4	1	1	2	6-6	4
4. სლოვანი	4	0	1	3	1-6	0

J ჯგუფი

აეკ-მაძაგი ჰ. 22:00

შალკე-სტიაუა 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შალკე	4	2	2	0	8-1	8
2. მაძაგი	4	2	0	2	9-7	6
3. სტიაუა	4	1	2	1	5-8	5
4. აეკ	4	0	2	2	1-7	2

K ჯგუფი

ოდენსე-ვისლა 22:00

ტვენტე-ფულჰემი 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტვენტე	4	3	1	0	12-5	10
2. ფულჰემი	4	2	1	1	7-3	7
3. ოდენსე	4	1	0	3	5-11	3
4. ვისლა	4	1	0	3	4-11	3

L ჯგუფი

ლოკომოტივი-შტურმი 21:00

აეკ-ანდერლეხტი 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ანდერლეხტი	4	4	0	0	11-1	12
2. ლოკომოტივი	4	3	0	1	8-5	9
3. შტურმი	4	1	0	3	3-8	3
4. აეკ	4	0	0	4	4-12	0

● ბარსელონა

ზეიმი და შიში

ბარსას კლასიკოზე პიკე დააკლდება?

„ბარსელონა“ კვლავ დიდებულად თამაშობს „კამპ ნოუზე“ - ლა ლიგაში 8 მატჩიდან გუნდმა 7 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა, 34 გოლი გაიტანა და არაფერი გაუშვა! მოიგო **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა სამშაბათსაც, ბრდღვინი ადინა „რაიო ვალეკანოს“, 4 უპასუხო გოლი გაუტანა. ეს ყველაფერი კარგია „ბარსას“ გულშემატკივრებისთვის, მაგრამ მათთვის ცუდი ამბავიც გვაქვს - **ჟერარდ პიკემ** მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო სეზონში, როგორც ამბობ, განზრახ, რის გამოც მას ერთი კი არა შეიძლება ორი თამაშით მისცენ დისკვალიფიკაცია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩემპიონის დაცვის ბურჯი „ელ კლასიკოს“ გამოტოვებს...

დაგვეთანხმებით, იმ დროს, როცა **კარლეს პუიოლი** იშვიათად არის მწყობრში, პიკეს გარეშე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში ძალიან სახიფათოა. არადა, პიკემ სულელურად მიიღო ეს ყვითელი. აი, რა წერია შეხვედრის არბიტრის, **პერეს ლასას** ოქმში: *„83-ე წუთზე ფეხბურთელმა ნომერი 3 მიიღო გაფრთხილება შემდეგისთვის: დროის გაყვანა“*. ეს ყველაფერი 4:0-ზე! ყველა მიხვდა, რომ პიკემ ეს ძალად გააკეთა, რადგან „ლევანტესთან“ მატჩი გამოტოვოს და „ელ კლასიკოზე“ დაბრუნდეს. მისთვის ცუდი ისაა, რომ ამას მიხვდა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც და ამ საკითხზე მსჯელობასაც აპირებს. ფედერაციის საჩემპიონატო კანონების 112-ე მუხლის თანახმად, განზრაც მე-ნ ყვითელი ბარათის მიღება, დამატებით ისჯება. ჰეპმა უარი თქვა ამ ინციდენტზე კომენტარი გაეკეთებინა, მსაჯობაზე მაშინ არ ვილაპარაკე, როცა „ვალენსიას“ კარში პენალტის დანიშვნაზე მსჯელობდნენ, არც მაშინ, როცა „ხეტაფეს“ კარში გოლი გაგვიუქმეს და ყვითელი ბარათის გამო გინდათ ვილაპარაკოო.

„ელვებთან“ კი „ბლაუგრანას“ სამივე ფორვარდმა გაილაღა, განსაკუთრებით კი ჩილელმა **ალექსის სანჩესმა**, ვის ანგარიშზეც დუბლია. თავიდან „ბარსამ“ მაინცდამაინც ყოჩაღად ვერ დაიწყო, მაგრამ 29-ე წუთმა ყველაფერი დაალაგა თავის ადგილზე: ალექსისმა **ჩავის** პასი მიიღო და შორეულ კუთხეში ბრნყინვალე გოლი გაიტანა. 41-ე წუთზე ისევ სანჩესმა გამოიჩინა თავი, **ლეო მესის** პასს დიდებული გაგრძელება მოუძებნა იმავე ჩავიმ ქუსლით. ორ წუთში ჩემპიონებმა გამანადგურებელი გახადეს ანგარიში - ჟერარდ პიკემ მოედნის მესამედი გადმოიარა, **დანი ალვეში** მოძებნა, ბრაზილიელმა კი ფაქტობრივად საქმე არ დაუტოვა - დავიდ ვილიას, „ელ გუახემ“ ახლო მანძილიდან თითქმის ცარიელ კარში გაიტანა.

დაიწყო მეორე ტაიმი და ლეო მესი **კრიშტიანო რონალდოს** დაეწია ბომბარდირთა დავაში - მან ალვეშის პასი მიიღო, **ხავი ფუეგო** მოატყუა და **კობენიოს** მახვილი კუთხიდან გაუტანა - 4:0. ჩავი, სანჩესი და ვილია ამ მატჩის სამი საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

ხოსეპ გვარდიოლა: *„მინდა კომპლიმენტი ვთქვა მეტოქე გუნდზე. „რაიომ“ კარგად ითამაშა. მათი დამარცხება იოლი სულაც არ ყოფილა. ასეთი ამბიციური თამაშით, მათ ლა ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ“.*

„რაიო ვალეკანოსთან“ მატჩში დაშავდა **ადრიანო კორეია**, ტრავმა სერიოზული არ არის, ბრაზილიელს მხოლოდ „ლევანტესთან“ და ბატე-სთან მატჩების გამოტოვება მოუწევს, „ელ კლასიკოსთვის“ კი სრულ მზადყოფნაში იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჟერარდ პიკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სეოკი

ჭიდაობაში პროგრამა მინიმუმი 12 ოლიმპიური ლიცენზიაა

სეოკ-ში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი, რაც გაკეთდა, ეროვნულ ფედერაციებთან მჭიდრო ურთიერთობა, სისტემატური შეხვედრები და სამომავლო გეგმების განხილვა იყო. ეს კარგი ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, რაც ოლიმპიადისთვის მზადებას უთუოდ სასიკეთოდ წაადგება. „ლონდონი 2012“-ის ოლიმპიურ ციკლში მომავალი წელი ყველა კომპონენტში მნიშვნელოვანია, ლიცენზიების უმეტესობა სწორედ გაისად განაწილდება. ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში სხვა საორგანიზაციო საკითხებიც საკმაოდაა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალიც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, ამიტომ ყველაფერი ზედმიწევნით სკურპულოზურად უნდა გაკეთდეს.

სეოკ-ის ახალ ოფისში პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი** მშვილდოსნობის, ბატუტზე ხტომის, ფრენბურთის, ჭიდაობის, წყლის სახეობათა და ფარიკაობის ფედერაციათა ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შეხვდნენ.

მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **მამუკა ქაცარავამ** უმთავრესად ივნისში ამერიკაში დაგეგმილ ერთადერთ სალიცენზიო ტურნირზე ისაუბრა, სადაც ლიცენზიები მხოლოდ გუნდურ ასპარეზობაში ნაწილდება და იქაც საკმაოდ ძლიერ კონკურენტებთან მოგვიწევს პაექრობა. ლონდონში მეფლებისთვის მშვილდოსნობაში სულ 12 გუნდი იბრძოლებს, რომელთაგან 9 საგზური უკვე გათამაშებულია, დარჩენილი სამისთვის აშშ-ს, ესპანეთის, იაპონიის, პოლონეთისა და სხვა ძლიერი ქვეყნების წარმომადგენლებს უნდა შეებრძოლოთ. რაც შეეხება ინდივიდუალურს, შარშან იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი დიდი უსამართლობის გამო მხოლოდ **ქრისტინე ესებუას** იმედზე ვართ. ქაცარავას თქმით, არის შანსი ევროპის ჩემპიონატზე ვაუებშიც ავიღოთ ერთი ლიცენზია.

ბატუტზე ხტომაში ახლახან ბირმინგემში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლუბა გოლოვინას** უნებლიე შეცდომა რომ არა, ოლიმპიური საგზური დაბეევებული ექნებოდა, ახლა კი მან 13 იანვარს გასამართ ოლიმპიურ ტესტზე უნდა იბრძოლოს, რისთვისაც 16 მონაწილიდან მინიმუმ 6 საუკეთესოში უნდა მოხვდეს. ნაკრების მწვრთნელის **ზაურ სულაშვილის** და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **რუსუდან ხოფერიას** განმარტებით ლუბას ლიცენზიის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

პლიაჟის ფრენბურთში კვლავ ნატურალიზებული ბრაზილიელების **გეორ-გიასა** და **საქა-რთველოს** იმედად ვართ. ამისათვის მათ ოლიმპიადამდე დარჩენილ 7 სალიცენზიო ტურნირში უნდა მოაგროვონ სარეიტინგო ქულები.

წყალში მხტომელებს ლიცენზიის მოპოვების უკანასკნელი შანსი თებერვალში ექნებათ. **ირაკლი ბართაიას** განცხადებით **ჭოლა ჭანტურია** სტაბილურად ასპარეზობს, ფსიქოლოგიურადაც უკეთ არის მზად და თუ სასწაული არ მოხდა, საგზურს მოიპოვებს, **შოთა კორახაშვილის** შანსები კი შედარებით მცირეა. ცურვაში ორი კანდიდატი **ირაკლი რევიშვილი** და **დავით ბოლქვაძე** გამოიკვეთა, რომლებიც სალიცენზიო მარათონში ჩაებმებიან, თუმცა, სავარაუდოდ, ერთ საგზურს, ე.წ. „ველურ ბარათს“ მაინც მოგვცემენ.

ჭიდაობის სახეობებში სალიცენზიო შეჯიბრებები აპრილიდან იწყება და საგზურები ბულგარეთის, ჩინეთისა და ფინეთის ტურნირებზე განაწილდება. თავისუფალ ჭიდაობაში დღესდღეობით 4 ლიცენზია გვაქვს, ბერძნულ-რომაულში კი ამ ეტაპზე 1 საგზურის ამარა ვართ. ითქვა, რომ ორივე ჭიდაობაში პროგრამა მინიმუმი 12 ლიცენზიის მოპოვება უნდა იყოს, რაც გადაუჭრელ ამოცანას არ წარმოადგენს.

ფარიკაობაში მინიმუმ ერთი ლიცენზიის მოპოვება იგეგმება და რეიტინგით ამის საუკეთესო შანსი **კახა მაღრაძეს** აქვს.

გია ნაცვლიშვილის თქმით, სალიცენზიო ტურნირებზე ჩვენი სპორტსმენების ასპარეზობის უმთავრეს ნაწილს და შეჯიბრებისწინა საჭირო შეკრებებს სეოკ-ი დააფინანსებს.

კახა ბერიძე

● სასკოლო სპორტკლუბი

პირველი ნაბიჯები

ორი თვეა, რაც თბილისში შეიქმნა პირველი სასკოლო სპორტკლუბი „მორკინალი“, რომელშიც გაერთიანდნენ გლდანი-ნაძალადევის 69-ე, 114-ე, 115-ე 173-ე და 207-ე საჯარო სკოლები. სპორტკლუბის პრეზიდენტია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე.**

კლუბში დანერგილია ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, კარატე, ბაგირის გადაძალვა. ფრენბურთში მოსწავლეთა გარდა ჩატარდება შეჯიბრებები მასწავლებელთა შორისაც, ჭადრაკში კი გუნდში ერთად იასპარეზებენ მოსწავლეები და მასწავლებლები.

სპორტკლუბმა მიზნად დაისახა ყოველთვე სპორტის ერთ სახეობაში გამართოს ტურნირი. შეჯიბრებები უკვე ჩაატარდა ფეხბურთში და ქართულ ჭიდაობაში.

სპორტკლუბის წესდებით, ზემოაღნიშნული ხუთი სკოლის გარდა ტურნირებში ნებისმიერი სკოლის ნაკრებისათვის კარი ღიაა.

ტურნირს ქართულ ჭიდაობაში ჩვენც დავესწარით, რომელიც გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში სამ წონით კატეგორიაში გაიმართა.

შეჯიბრება ისეთი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომ რამდენიმე შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო...

ქვარცხლბეკი

60 კგ. 1. მამუკა ჩოქური, გიორგი ტაბატაძე (ორივე - 107-ე საჯარო სკოლა), 3. ნიკა გრძელიშვილი (173-ე საჯარო სკოლა).

70 კგ. 1. ცოტნე მეტრეველი (207-ე საჯარო სკოლა), 2. რატი ონეზაშვილი (69-ე საჯარო სკოლა), 3. ნიკა თავართქილაძე (115-ე საჯარო სკოლა).

+70 კგ. 1. გიორგი ძებისაშვილი (173-ე საჯარო სკოლა), 2. ჯემალ დაბრუნდაშვილი (115-ე საჯარო სკოლა), 3. ბაქარ მაჩიტიძე (69-ე საჯარო სკოლა).

გაბრიელ ბარჯაძე

ავტორის ფოტო

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

აზერბაიჯანული სიგიჟე

ორიოდ დღის წინ აზერბაიჯანულ-თურქულმა სააგენტოებმა გასაკვირი ინფორმაცია გაავრცელეს - აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაცია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თურქთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **რიზა კაიალააპს** (120) 1 მილიონი დოლარის სანაცვლოდ მოქალაქეობის შეცვლას და ბაქოში გადასვლას სთავაზობსო. შეგახსენებთ, რომ 22 წლის კაიალააპი სადღეისოდ ამ წონაში ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანია, რასაც შედეგებითაც ამტკიცებს - შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი ისევ გავიდა კონტინენტური პირველობის ფინალში, თუმცა ტიტულის დაცვაში ხელი რუსთა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ხასან ბაროევმა** შეუშალა. ეს წაგება რომ არა, თურქი წლეულს თურმე დუბლსაც შეასრულებდა - სექტემბერში შმობლიურ სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. თუმცა ფინალში მის გამარჯვებას კუბელ **მიჯაინ ლოპეს მუნიოსთან** იმთავითვე საეჭვო ხმები მოჰყვა. საკუთარ კედლებში თურქი უპირობო ფავორიტი კი იყო, მაგრამ ჭორებს დასაბამი კუბელის უჩვეულო ინერტულობამ მისცა - ხელაღებით ვერაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ვინც შეხვედრას უყურა, ყველას დარჩა შთაბეჭდილება, რომ პაექრობა გაყიდულს ჰგავდა, ლოპეს მუნიოსი თითქოს არც ცდილობდა მოგებას. არადა, კუბელი ოლიმპიური ჩემპიონია, ხოლო მსოფლიოს ფინალს ზედიზედ მეხუთედ ჭიდაობდა. წინა ოთხიდან მან მხოლოდ პირველი წააგო - 2006 წელს ჩინეთში იმავე ბაროევთან დამარცხდა, რომელსაც რევანში მომდევნო წელსვე აუღო ბაქოში, ისევ ფინალში, მერე კი პეკინის ოლიმპიადის ფინალშიც დაამარცხა და ის ერთი წაგება ორმაგად ანანა. აი, ასეთი ძლიერი, ლამის შეუჩერებელი ფალავანი სტამბოლში კაიალააპთან ინერტულადაც ჭიდაობდა და არც განიცდიდა წაგებას. ეგ კი არა, შეხვედრის მიმდინარეობისას, როცა აგებდა, მწვრთნელს გაუცინა კიდეც და თვალიც ჩაუკრა... როგორც წესი, ჭიდაობაში გარიგებული შეხვედრების გამომზეურება არ ხდება და ვერც ჩვენ ვამტკიცებთ რამეს, მაგრამ საჭიდაო სამყაროში თურქებსაც და კუბელებსაც მარიფათიანი ჩარჩვაჭრების სახელი აქვთ - პირველებს შეხვედრათა ყიდვით იცნობენ, მეორეებს - პირიქით, გაყიდვებით. თუმცა კულუარული ამბები და წყალქვეშა დინებები იქით იყოს, კაიალააპი კი ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი, ეჭვი არავის ეპარებოდა.

მოქალაქეობის შეცვლის შესახებ ხმები იმავე დღესვე უარყო თავად ფალავანმა, რომელმაც თურქულ მედიას განუცხადა: *„აზერბაიჯანულმა ფედერაციამ მართლაც შემომთავაზა 1 მილიონის სანაცვლოდ მათთან გადასვლა, მაგრამ ჩემი პასუხი იყო მოკლე: ჩემთვის მთავარია არა ფული, არამედ თურქეთის დროშა“.*

ამდენად, აზერბაიჯანელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, თუმცა მართლაც უცნაურია, რატომ ჰქონდათ იმედი, რომ მეზობლებს მოისყიდდნენ და ერთ-ერთ უმთავრეს ვარსკვლავს დაათმობინებდნენ. ამ ცნობის პირველწყარო „აზერისპორტია“, რომლის ობიექტურობისა დიდად აზერბაიჯანშიც არ სჯერათ, თუმცა ამ შემთხვევაში იყო ერთი მყარი არგუმენტი - მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ფარიდ მანსუროვის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაშვების შემდეგ იქაური გუნდი თურქმა **სელეხ ბორმა** ჩაიბარა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა თურქეთის ეროვნულ ნაკრებში. მისი ასისტენტებიც თურქები არიან - **შაბან დონატი** და **მუტალიპ ერლიქაია.** მათი ფაქტორიდან გამომდინარე, დაუჯერებელი არცაა, მართლაც მიემართათ კაიალააპისთვის, თუმცა აზერბაიჯანელებისგან უამისოდაც არაფერი გვიკვირს - სპორტსმენთა ნატურალიზაცია მათთვის უმთავრესი სტრატეგიაა და სხვა სახეობებს რომ თავი დავანებოთ, ჭიდაობებში არაერთი პირველხარისხოვანი ფალავანი ჰყავთ ჩაყვანილი. თან თავიდან თუ პერსპექტიულ ახალგაზრდებს იწვევდნენ, გზადაგზა მადა გაეხსნათ და ჯერ **ზელიმხან ჰუსეინოვის** დარ მეტ-ნაკლებად ტიტულოვან ფალავნებს მიადგნენ, ბოლოს კი მეგა-ვარსკლავებზე გადავიდნენ - თავისუფალში, ბერძნულ-რომაულსა თუ ქალთა ჭიდაობებში მსოფლიოს ჩემპიონები და ოლიმპიური მედალოსნები გადაიყვანეს - ქალებში ბელარუსიდან **იულია რადკევიჩი** გადაიბირეს, უკრაინიდან - **მარია სტადნიკი**, „თავისუფალში“ - კუბელი **ალექსის ვალერას როდრიგესი**, ბერძნულ-რომაულში - ირანელი **სამან ტახმასიბი**... მადაგახსნილებს ქალთა ნაკრებში ბულგარეთიდან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **სტანკა ზლატევას** გადაბირებაც სურდათ ასევე 1 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, მაგრამ არც სპორტსმენმა ისურვა და არც ფედერაციამ გაუშვა. როცა ისინი ასეთ ვარსკვლავებს ეთამაშებიან და მილიონებს ასე ხარჯავენ, რა გასაკვირია, ანალოგიური წინადადებით კაიალააპისთვისაც რომ მიემართათ. თან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) მთავარ დამფინანსებელ „ატაჰოლდინგის“ 7 მილიონით გულმოცემულებისთვის უკვე ავტორიტეტი არ არსებობს - ზემოჩამოთვლილ სიაში მიაქცევდით ყურადღებას, რომ ფალავნებს ისეთი წამყვანი ქვეყნებიდან იბირებენ, როგორიც რუსეთი, ირანი, კუბა და ბულგარეთია. ამასთან, რუსეთიდან იგივე ჰუსეინოვი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ხეტაგ გოზიუმოვი** და არაერთი სხვა ათლეტი თუ ნებით, უდავიდარაბოდ გადაიყვანეს, ევროპის ან უკვე ექს-ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვი** პირდაპირ ნაღლიტეს მათ. მაგომედოვი 55 კილოგრამში გამოდის, სადაც რუსებმა დღეს კი აქციეს ეროვნებით ტუვინი **ვიქტორ ლებედევი** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად და სტაბილურ ფალავნად, მაგრამ მაშინ - ორი წლის წინ ამ წონაში სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ. თუმცა აზერბაიჯანელები ამას არ დაგიდევდნენ - 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ამ წონაში ლიდერი დაუშავდათ, დაავლეს ხელი მაგომედოვს და ნაკრებში დააყენეს იმის მიუხედავად, რომ რუსები წასვლის ნებას არ აძლევდნენ, სპორტსმენს კი მათ ნაკრებში წინა წელს მსოფლიოს თასზე ჰქონდა ნაჭიდავები ანუ მოქალაქეობის შეცვლის შესახებ არსებული საერთაშორისო რეგლამენტი ირღვეოდა. არც რუსების მუქარამ გაჭრა, FILA-ში გიჩივლებთო. პირიქით - FILA დიდხანს აზერბაიჯანელთა პოზიციას იზიარებდა და ყოველმხრივ ცდილობდა მათ გამართლებას. საამისოდ, როგორც რუსები ირწმუნებოდნენ, საკუთარი საარქივო ბაზიდან იმ სადავო შეჯიბრების დოკუმენტებიც კი გააქრეს, ხოლო რუსებს საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ვიდეომასალის წარდგენა მოუხდათ. თუმცა ამითაც ბევრს ვერაფერს გამორჩნენ - FILA-მ საკუთარი შეცდომა აღიარა და მაგომედოვს ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მისცა, მაგრამ მედალი არ ჩამოართვა. არადა, იმ ტურნირზე მან ლებედევსაც მოუგო და რუსები მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდნენ.



რიზა კაიალააპი

კონკრეტულად კაიალააპის შემთხვევაზე კომენტარი აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **აჯდარ ჯაფაროვმაც** გაიკეთა და მოლოდინისამებრ, ყველაფერი უარყო. *„თურქული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კაიალააპს ჩვენთან გადმოსვლა და სანაცვლოდ 1 მილიონი დოლარი შევთავაზეთ, სიმართლეს არ შეესაბამება. თავად განსაჯეთ - ორი თვის წინ ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რითაც ოლიმპიური ლიცენზიაც მოიპოვა, რომელსაც ჩვენთან გადმოსვლის შემთხვევაში ვერ წამოიღებდა ანუ დაკარგავდა ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცეოდა ასე?“*

ერთი შეხედვით, ჯაფაროვის არგუმენტი ლიცენზიასთან დაკავშირებით საყურადღებოა, მაგრამ გადაბირება-მოტაცების ზემოთქმული მაგალითებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანელებს არც საგზურზე ჩალიჩი გაუჭირდებოდათ. თან ისევ აზერბაიჯანულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, კაიალააპმა ზემომოყვანილ კომენტარში დაადასტურა, რომ ბაქოდან მართლაც მიიღო შეთავაზება მილიონის სანაცვლოდ. ფაქტი ერთია - აზერბაიჯანელთა ქმედება უკვე სიგიჟეს ჰგავს, თუმცა ასე მარტო ისინი როდი იქცევიან, ბულგარეთიც ასეთივე ცენტრად იქცა თავის რეგიონში. FILA-მ ასეთ უმსგავსობებს ყურადღება თუ არ მიაქცია, მალე ზოგიერთი საჭიდაო ნაკრები ლეგიონერებით გადატენილ საფეხბურთო კლუბებს დაემსგავსება, თუმცა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა - მოქალაქეობის შეცვლის უფლებას მოჭიდავეს მხოლოდ ერთხელ აძლევს, რითაც მათი ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალი აღკვეთა. როგორც ამბობენ, ეს მაგომედოვის დაკარგვით შეწუხებული რუსების დაჟინებით მიიღო, თუმცა ამან ჩვენ გვაზარალა, როცა შარშან ყაზახეთიდან **ცოტნე ბარამიძის** (66) დაბრუნების ნება არ მოგვცეს იმის მიუხედავად, რომ ყაზახები არანაირად არ აფერხებდნენ მას და ბოლოს ჩვენი ცოდვით შეწუხებულებმა FILA-საც კი მიმართეს თხოვნით, დაერთო ბარამიძისთვის გადასვლის ნება. ამაოდ - FILA თავის გადაწყვეტილებაში ურყევი დარჩა.

ირაკლი თავაძე

ქართული სპორტი

ქართულ-აფხაზური სპორტი

კალათბურთი

როგორც ცნობილია, ქართული კალათბურთის სათავესთან თბილისელი მძლეოსანი ალექსანდრე ჭელიძე იდგა, რომელმაც 1922 წელს მოსკოვში ერთერთ სპორტულ შეჯიბრებაზე ყოფნისას „შემთხვევით ნახა ბოძზე დამაგრებული კალათბურთის ფარები და უცხო თამაში“. თბილისში დაბრუნების შემდეგ მან მუშფაკის ეზოში მოაწყო კალათბურთის პირველი მოედანი. იქვე 1923 წელს გაიმართა პირველი შეჯიბრება.

1927 წელს კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით ალექსანდრე ჭელიძე აფხაზეთში მიავლინეს. „შეიქმნა კალათბურთის შემსწავლელი ჯგუფები, მოეწყო შეჯიბრებები, ჩამოყალიბდა აფხაზეთის ნაკრები, რომელიც აქტიურად ჩაება საქართველოს პირველობაში“.

აფხაზეთში აღიზარდნენ კალათბურთელთა შესანიშნავი თაობები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ როგორც საქართველოს, ისე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ევროპის ჩემპიონი გახდა იური ძიძიგური, დიდ წარმატებებს მიაღწიეს **ტომიკ ჯგერენაიამ, ვახტანგ ტანიამ, ალექსანდრ სედოვმა, ვლადიმერ ხაჟბამ.** ქართულ-აფხაზური კალათბურთის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სპეციალისტებმა **ვაჟა კვარაცხელიამ, ნოდარ დარახველიძემ, შოთა ქოიავამ** და სხვებმა.

1979 წელს აფხაზეთის ვაჟთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სპარტაკიადაზე. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა: **ზურაბ სულავა, გია კილასონია, გაიოზ ჭოლოკავა, ლევან ლომიძე, ალექსანდრე ალხანოვი, ზურაბ მატუა, ზურაბ ელიავა, კახაბერ ბაღათურია, ლერი იოსავა;** მწვრთნელი - **ალექსანდრე სედოვი**.

ამ წარმატებისთვის სედოვი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გახდა. საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა სოხუმელ **ნოდარ დარახველიძეს** (1968), რესპუბლიკური კატეგორია ასევე სოხუმელებს **ხაშბას** (1964), **ვ. კრილენკოს, ი. ჭელიძეს, ი. ლამბრიანდიდს** (სამივე - 1976).

რუბრიკას უძღვება ალექსანდრე ჯინორიძე



ეს ფილმი ვ. ბერძენიშვილის მოთხრობის „გულშემატკივრის“ მიხედვით შეიქმნა 1961 წელს (თბილისელ ფეხბურთელებს ჯერ არც თასი და არც ჩემპიონობა მოპოვებული არ აქვთ, რაშიც მათ ხელს აშკარად ხალხთა ძმობის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უშლიდა).

სცენარის ავტორები არიან **ს. ჟღენტი** და **ყ. მგელაძე**. დამდგმელი რეჟისორი ყარამან (გუგული) მგელაძეა. სურათი ეკრანზე გამოსვლისთანავე ძალიან პოპულარული გახდა, მიუხედავად თავისი მცირე მეტრაჟისა. ის ხშირად სრულმეტრაჟიანი ფილმების „დამატებად“ იყო დემონსტრირებული კინოთეატრებში და ამას კინოგამქირავებლები განგებ აკეთებდნენ დაბალხარისხიან რუსულ თუ უცხოურ ფილმს „ბურთს და მოედანს“ რომ წარუძღვნიდნენ კინოჟურნალის მაგივრად, ანშლაგი გარანტირებული იყო!

ფილმში ქართველ მსახიობთა ბრწყინვალე პლეადა იყო წარმოდგენილი: **ი. ხვიჩია, ვ. ნინუა, დ. აბაშიძე.** მიუხედავად კომედიური ჟანრისა, ფილმში სამოციანი წლების საბჭოთა საქართველოსთვის დამახასიათებელი ბევრი ნიუანსია წარმოჩენილი და საფეხბურთო თავგადასავლის სიუჟეტი ნათლად ასახავს იმდროინდელი საზოგადოების სახეს. მიუხედავად სოციალისტური ყოფისთვის დამახასიათებელი სიმახინჯეებისა (მაგ. „ამხანაგური სასამართლო“). ქართველების ბუნება წარმოდგენილია როგორც ჯანსაღი ფენომენი, რომელიც განსაკუთრებით სპორტისადმი (ამ შემთხვევაში ფეხბურთისადმი) დამოკიდებულებაში სრულად ვლინდება.

ჩეხოვი ამბობდა: „ყველაზე მთავარი ნაწარმოებში სათაური გახლავთო“. თუ ამ ფილმთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ, რუსი კლასიკოსი სრულიად მართალი გახლდათ. „ბურთი და მოედანი“ ხომ ჩვენი, საუკუნეების სილრმიდან მოსული სიტყვებია (და მცნებაცაა). გავიხსენოთ რუსთველი: „მოასპარეზედ ვინ მგავსო? - ცუდნილა უკუთქმანია, გარდამწყვეტელი მისიცა. ბურთი და მოედანია“. დღეს ეს ფილმი უკვე ეპოქის განსაზღვრული სფეროს ნიშნად შეგვიძლია აღვითქვათ. მაღალ დონეზე შესრულებულ ნიმუშად.

ოლიმპიადა წარსულიდან
ქართული სპორტული ჩანაფიქრები ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან
რუსუდან ხოფერია

დაიბადა 09.09.1972, თბილისი. **ბატუტზე ხტომა**. სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1988 ინდივიდუალური, სინქრონული, გუნდური) და მეორე პრიზიორი (1990 სინქრონული), მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელი სინქრონულ (1993) და ინდივიდუალურ (1999) ხტომაში, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1987, 89, 97 გუნდური; 1989 სინქრონული) და ხუთგზის მეორე პრიზიორი (1987, 93 ინდივიდუალური; 1987, 93, 95 სინქრონული). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1986 - ინდივიდუალური; 1989 - სინქრონული), ოთხგზის მეორე (1987, 90 - ინდივიდუალური; 1988, 90 - სინქრონული) და ორგზის მესამე (1988, 89 - ინდივიდუალური) პრიზიორი, სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში (1986), სსრკ თასის ორგზის (1987, 89 - სინქრონული) და დობროვოლსკის თასის სამგზის (1987, 89, 90 - ინდივიდუალური, 1988 - სინქრონული) მფლობელი. XXVII და XXVIII ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2000, სიდნეი - VII ადგილი, 2004, ათენი - IX ადგილი). 17 წლის განმავლობაში (1987-04) მას ეკუთვნოდა მსოფლიოს რეკორდი (ვარჯიშის სირთულის მიხედვით). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების ორდენის კავალერი.

სათავეები



პირველი თაობის ქართველი ტანმოვარჯიშეები

სპორტული ტანვარჯიში

ტანვარჯიში შორეულ წარსულშია აღმოცენებული. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, როგორც სპეციალურ ფიზიკურ ვარჯიშთა სისტემა, სხეულის წრთობის საშუალება. თანამედროვე ტანვარჯიშსა და ძველ გიმნასტიკას (ბერძ. გყმნასტიკე - გყმნაზო - ვნვრთნი, ვავარჯიშებ) შორის არსებითი განსხვავებაა. ტანვარჯიშის ტექნიკური არსენალის გამდიდრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩეხეთში ჩამოყალიბებულმა „სოკოლის“ გიმნასტიკურმა სკოლამ. „პრაღის მოფრენად“ წოდებული ტანვარჯიშული ტურნირი უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებად იქცა და რეგულარულად იმართებოდა XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია. დაარსდა 1881 წლის 23 ივლისს ლიეჟში (ბელგია).

1903 წლიდან რეგულარულად იმართება მსოფლიოს ჩემპიონატები, 1955-იდან - შეჯიბრება ევროპის თასზე (1987-იდან ევროპის ჩემპიონატი ეწოდა), 1969-იდან - მსოფლიოს თასის გათამაშება. 1896 წლიდან შედიოდა ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში (კაცები), ქალები-1928 წლიდან.

საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის შემოსვლის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1889 წელი, როცა თბილისში ჩამოვიდა ჩეხი პედაგოგი იულეს გრუმლეკი. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ასევე ჩეხ ანტონ ლუკეშს, რომელსაც ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე და პედაგოგი გიორგი ეგნატაშვილი საქართველოში ტანვარჯიშის ფუძემდებლად მიიჩნევდა. 1907 წელს მოეწყო პირველი საერთაშორისო გასვლა პრაღაში, სრულიად „სოკოლის“ V შეკრებაზე (მოფრენი). აქ თბილისის ტანმოვარჯიშეებმა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის I ადგილი დაიკავეს, პირად შეჯიბრებაში კი გიორგი ეგნატაშვილი 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო. VI შეკრებაზე (1912) დაბალი თანრიგის გუნდების შეჯიბრებაში კვლავ ქართველებმა გაიმარჯვეს. პირად შეჯიბრებაში 2000 მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა პეტერბურგის სახელით მოასპარეზე გიორგი ნიკოლაძე, საბჭოთა პერიოდში პირველებმა გაითქვეს სახელი გულო რცხილაძემ, გიორგი ბაბილოძემ, ალექსანდრე ჯორჯაძემ, პავლე როინიშვილმა, ნიკოლოზ თაყაიშვილმა და სხვებმა. ამ და შემდეგი თაობის ტანმოვარჯიშეებს არაერთხელ გაუმარჯვიათ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს.

1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისა (FIG) და ევროპის ტანვარჯიშის კავშირის (UEG) წევრია.

ვინ რა თქვა...

„სისწრაფეს თანამედროვე ფეხბურთში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს თუ გარემარბი ხარ. არ გაქვს სისწრაფე, არა ხარ გარემარბი“.

სლავა მეტრეველი

ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრის გიორგი მერკვილაძის სახელობის სპორტის სახეობათა კომპლექსური ფილიალის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

ანზორ მანჯგალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თარიღი

1-7 დეკემბერი

01. 1959 წ. საფრანგეთში ტურნეს მსვლელობისას თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ქ. რეიმსში შეხვდა ადგილობრივ „სტად დე რეიმსს“ და 0:1 წააგო.

02. 1919 წ. დაიბადა **მიხეილ შიშოვი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1980 წელს.

03. 2008 წ. თბილისის „დინამომ“ ფეხბურთში საქართველოს სუპერთასზე „ზესტაფონს“ 1:0 მოუგო და საპატიო პრიზთან ერთად 25 ათასი ლარი მიიღო.

03. 1930 წ. დაიბადა **ალექსანდრე კოტრიკაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1999 წელს.

04. 1979 წ. დაიბადა **ნანა ყაზარაშვილი** - წყალში ხტომა.

04. 1967 წ. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდმა ირანში ტურნეს მსვლელობისას თეირანში ამ ქალაქის ნაკრებთან 2:2 ითამაშა.

05. 1954 წ. დაიბადა **მიხეილ სალაძე** - ბ/რ ჭიდაობა.

05. 1980 წ. თბილისის „დინამომ“ თასების თასზე განმეორებით შეხვედრაში თბილისში 4:0 მოუგო ირლანდიის „უოტერფორდს“ (პირველი მატჩიც თბილისელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა).

07. 1959 წ. დაიბადა **თემურ ყაზარაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

07. 1961 წ. დაიბადა **ნინო გურიელი** - ჭადრაკი.

07. 1977 წ. თბილისის „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების მერვედფინალში ციურიხში განმეორებითი შეხვედრა 0:4 წააგო (შინ 1:0) და გათამაშებას გამოეთიშა.

ვიქტორინა

1. „რა არის ფეხბურთი? ბურთი... სტადიონი. დაარტყა იამანიძემ - მიიღო კალოევმა!“ რომელი ქართული ფილმიდანაა ეს სიტყვები?

ა - „სტადიონი“
ბ - „ფეხბურთი უბურთოდ“
გ - „ბურთი და მოედანი“

2. რომელ ქართველ ფეხბურთელს უნოდეს ევროპელი გარინჩა?

ა - მიხეილ მესხს
ბ - სლავა მეტრეველს
გ - დავით ყიფიანს

3. განმეორებით რომელ წელს ათამაშეს თბილისის „დინამო“ მოსკოვის „ტორპედოსთან“ ერთხელ უკვე მოგებული მატჩი და დააკარგვინეს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონობა?

ა - 1950 წელს
ბ - 1952 წელს
გ - 1953 წელს

4. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის რომელ კაპიტანს მიეძღვნა ვაჟა აზარაშვილის ცნობილი სიმღერა?

ა - ალექსანდრე ჩივაძეს
ბ - მანუჩარ მაჩაიძეს
გ - მურთაზ ხურცილავას

5. როდის დატოვა საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონის“ მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ 2011 წელს?

ა - „შტურმთან“ მატჩის წინ
ბ - „ბრიუგესთან“ მატჩის წინ
გ - „დაჩიასთან“ მატჩის შემდეგ

**ფ - ვ; ბ - ბ; ბ - ბ; ბ - ბ

თვის მონაგარი

ნოემბერი

2. **რაგბი**. რუმინეთში, 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ 27:9 დაამარცხა ბელგია და 6 ერის საგზური მოიპოვა.

3. **რაგბი**. რუმინეთში, 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ 24:8 დაამარცხა რუმინეთის ნაკრები და მსოფლიოს ალაფზე თამაშის უფლება მოიპოვა.

3-5. **ძიუდო**. კეიპთაუნში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **გიორგი მესაბლიშვილმა** (55 კგ), **ლაშა შავდათუაშვილმა** (66 კგ) და **ბექა ღვინიაშვილმა** (73 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

5. **რაგბი**. საქართველოს ჩემპიონატის ფინალში „არმიამ" 29:22 მოუგო „აიას" და ქვეყნის ჩემპიონი პირველად გახდა.

5. **რაგბი**. 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი საქართველომ რუსეთის ძლევით - 20:12 მოიგო.

8. **კალათბურთი**. ევროთასებზე დებიუტი მოგებით აღნიშნა „არმიამ", გერმანული „გოტინგენი" 82:76 დაამარცხა.

10. **ფეხბურთი**. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შვეიცარიაში 0:5 დამარცხდა.

11. **ფეხბურთი**. ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა მოლდოვის გუნდს 2:0 მოუგო.

11. **ფეხბურთი**. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პოლონეთს 3:1 მოუგო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

11-12. **სამბო**: **ავთანდილ ცინცაძე** (52) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, **უშანგი კუზანაშვილმა** (57) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო **ნიკოლოზ კუცია** (82), **დავით ლორიაშვილი** (100+) და **ნინო ოძელაშვილი** (72) ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

12. **ჭადრაკი**. საბერძნეთში ევროპის გუნდურ პირველობაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნაზი პაიკიძე, ნინო ხურციძე, სალომე მელია**) მე-3 ადგილი დაიკავა.

12-13. **ძიუდო**: სამოას მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედლები **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73 კგ) და **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) მოიპოვეს.

12-13. **ფიგურული ციგურაობა**. ტოკიოს გრან პრიზე **ელენე გედევანიშვილმა** მე-5 ადგილი დაიკავა.

14. **ფეხბურთი**. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთთან 1:1 ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

15. **რაგბი**. შოტლანდიელი **რიჩი დიქსონი** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარაა.

15. **კალათბურთი**. „არმია" სტამბოლში „ბეშიქთაშთან" 82:103 დამარცხდა.

16. **ფეხბურთი**. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ლუქსემბურგს 2:0 მოუგო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში და პირველ ადგილზე გავიდა.

19. **ძიუდო**. ამსტერდამის მსოფლიოს თასზე **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

22. **კალათბურთი**. ევროჩელენჯის III ტურში „არმიამ" ჰოლანდიური „ლეიდენი" 74:71 დაამარცხა.

25. **ბატუტზე ხტომა**. 18-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა **ნანა გოგაშვილისა** და **თამარ კაკაშვილის** წყვილმა.

26. **რაგბი**. თასის ფინალში „არმიამ" 26:16 დაამარცხა „ყოჩები" და ოქროს დუბლი შეასრულა.

27. **ჭადრაკი**. 18-წლამდელ გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონი **მერი არაბიძე** გახდა.

28-29. **თავისუფალი ჭიდაობა**: გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ბესიკ გოჩაშვილი** (55), **დავით ბერძნიშვილი** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120).

29. **კალათბურთი**. ევროჩელენჯის მე-4 ტურში „არმიამ" სტუმრად დაამარცხა „გოტინგენი" - 69:61.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ევროჩელენჯი. გოტინგენი-არმია. ნამატჩევს

კოტე ტულუში გეინსზე, დიასსა და ქართველებზე

კოტე ტულუში გოტინგენში

„არმიამ" ევროჩელენჯის B ჯგუფში მესამე მატჩი მოიგო და მომდევნო ეტაპზე მოხვედრის სერიოზული განაცხადი გააკეთა. ჯგუფიდან საუკეთესო ორი გუნდი გადის. პირველ ადგილზე თურქული „ბეშიქთაშია", რომელმაც 29 ნოემბერს ჰოლანდიურ „ლეიდენს" 76:69 სძლია, მეოთხე გამარჯვება გაიფორმა და მომდევნო ეტაპის საგზური ნაადრევად გაინაღდა. ასევე ნაადრევად გადაწყდა გერმანული „გოტინგენის" ბედი, რომელმაც „არმიასთან" 61:69 დამარცხების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. გერმანელებს ოთხი წაგება აქვთ.

„არმია" და „ლეიდენი" კი მეორე პოზიციისთვის იბრძვიან, თუმცა ქართულ გუნდს პირველი ადგილის დაკავების თეორიული შანსიც აქვს - „ბეშიქთაშს" 6 დეკემბერს 22 და მეტი სხვაობით უნდა მოუგოს, ხოლო 13-ში ჰოლანდიაში „ლეიდენი" დაამარცხოს. თურქულ კლუბთან 22-ქულიანი მოგება მეტად რთული ამოცანა იქნება, თუმცა ამას „არმიას" არავინ მოსთხოვს, სამშაბათს, თბილისში „ბეშიქთაშის" თუნდაც მინიმალური სხვაობით ძლევა ნებისმიერ ქართველს გაახარებს, რადგან ამ ნაბიჯით ჩვენი გუნდი მომდევნო ეტაპის საგზურს ოფიციალურად მიიღებს.

მოკლედ, „არმიას" დარჩენილი ორიდან ერთი მატჩის მოგებაც ეყოფა ისტორიული მიზნის მისაღწევად.

■ ■ ■

„გოტინგენთან" მატჩისას რამდენიმე საინტერესო რამ მოხდა, ზოგი კარგი, ზოგი ცუდი... მაგალითად, ტრავმა მიიღო „არმიას" პუერტორიკოელმა უკანახაზელმა **გილერმო დიასმა**, რომელიც მოედნიდან ექიმების დახმარებით გავიდა.

დადებითი მოვლენა იყო ქართველი კალათბურთელების კარგი თამაში, **ანატოლი ბოისამ** მეორე პერიოდის დასაწყისში სტუმართა გაქცევას დაუდო სათავე, ხოლო **დავით საყვარელიძემ** ბოლო წამებზე ჯარიმა ჯარიმაზე ჩააგდო.

იყო სიახლეც - „არმიას" სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ **კლიფტონ ჰოუკინსი** და **მეტიუ ფრეიე**. ისინი ახალწვეულები არიან, გუნდს გერმანიაში შეუერთდნენ. ჰოუკინსს არ უთამაშია, ხოლო ფრეიემ მოედანზე 8 წუთი გაატარა.

რამდენად სერიოზულია დიასის ტრავმა? როდის აპირებს ამერიკაში წასვლას გუნდის ძირითადი გამთამაშებელი **სანდიატა გეინსი**? ეს კითხვები, ალბათ, ქართველ ქომაგსაც აინტერესებს. პასუხისთვის, გუშინ, გერმანიაში არმიელთა მთავარ მწვრთნელ **კოტე ტულუშს** დავუკავშირდით. მანამდე კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს გავეცნოთ.

მატჩის ბომბარდირი (23 ქულა) „არმიას" ფორვარდი **ჯერემი რიჩარდსონი** გახდა, რომელმაც მონინააღმდეგეს კომპლიმენტი უძღვნა:

- ეს იყო უდიდესი გამარჯვება. მეტოქე გუნდური თამაშის წყალობით დავამარცხეთ, დაცვაში ცოტა შეცდომა დავუშვით. „გოტინგენი" ძლიერი გუნდია და სატურნირო ვითარება ადეკვატურად ვერ გამოხატავს მის შესაძლებლობებს.

„გოტინგენის" კალათბურთელი **მაქს ვებერი** ცვლილების საჭიროებას ხედავს:

- გული მწყდება, რომ კიდევ წავაგეთ. ასეთი მატჩების მოსაგებად სათანადო კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ არა 20, არამედ 40 წუთი. თამაში უნდა შევცვალოთ, რაზეც ბევრი მუშაობა მოგვიწევს.

მოვუსმინოთ „გოტინგენის" მთავარ მწვრთნელ **შტეფან მიენაკს:**

- მეამაყება, რომ მიუხედავად დიდი ჩამორჩენისა, ჩემი გუნდი არ დანებდა და ბოლო წუთებზე გამარჯვების შანსიც ჰქონდა. მხოლოდ 20 წუთი აქტიური თამაშით მატჩს ვერ მოიგებ. საჭიროა, მთელი შეხვედრის განმავლობაში იყო აქტიური და თამაშში ყველაფერი ჩადო.

აი, რა თქვა კოტე ტულუშმა პრესკონფერენციაზე:

- გახარებული ვარ მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებით. დიდი სამუშაო გავწიეთ დაცვაში და „გოტინგენს" მხოლოდ 61 ქულა ჩავაგდებინეთ. გარკვეული პრობლემები გვქონდა შეტევაში და ბევრი ბურთიც დავკარგეთ, მაგრამ დაცვაში თავგანწირულმა გარჯამ მიზნამდე მიგვიყვანა.

■ ■ ■

მილოცვის შემდეგ „არმიას" მთავარ მწვრთნელს გილერმო დიასის მდგომარეობაზე ვკითხეთ.

- დიასმა პირველივე პერიოდში მუხლი იტკინა და მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო. გერმანიაში ექიმებს გავასინჯეთ. ტრავმა სერიოზული არ ჩანს, თუმცა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ („არმია" სამშობლოში გუშინ ღამით დაბრუნდა) სრულ გამოკვლევას ჩავუტარებთ და ტრავმის სიმძიმეზე საბოლოო პასუხსაც თბილისში მივიღებთ.

- მის არყოფნაში ქართველმა უკანახაზელებმა დამაჯერებლად ითამაშეს...

- ჩვენი კალათბურთელების იმედი ყოველთვის მქონდა. გერმანიაში მათ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს. ბუბა კვიმსაძეს მცირე დრო ერგო და კარგად გაისარჯა, ანატოლი ბოისამ და დავით საყვარელიძემ კი გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

- ევროჩელენჯზე მეტოქისგან ყველაზე ცოტა (61) ქულა სწორედ 29 ნოემბერს მიიღეთ...

- აქამდე გვაკრიტიკებდნენ დაცვაში არასათანადო თამაშის გამო, გერმანიაში კი მატჩი სწორედ დაცვის წყალობით მოვიგეთ. თუ ამ კომპონენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ევროჩელენჯზე საუკეთესო მატჩი სწორედ „გოტინგენთან" ჩავატარეთ.

- განაცხადში შეიყვანეთ მეტიუ ფრეიე და კლიფტონ ჰოუკინსი, თუმცა მხოლოდ ფრეიემ ითამაშა, 8 წუთი. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ფორმაში არ არიან?

- ვერ ვიტყვი, რომ არასათანადო კონდიციებში არიან. ისინი გერმანიაში შემოგვიერთდნენ, ოფიციალურ მატჩამდე „არმიასთან" სავარჯიშოდ და გუნდის გასაცნობად დრო არ ჰქონდათ. ამიტომაც შევიკავე თავი მათი დატვირთვისგან.

- ბოლოს სანდიატა გეინსზე გკითხავთ. NBA-ს ლოკაუტი დასრულდა. ხომ არ გადაუწყვეტია, როდის მიაშურებს ამერიკას?

- ჯერ არა. გერმანიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაირკვევა, კიდევ რამდენ ხანს დარჩება გეინსი ჩვენთან.

B ჯგუფი

გუნდი	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. ბეშიქთაში	4	4	0	370/303	8
2. არმია	4	3	1	307/311	7
3. ლეიდენი	4	1	3	278/307	5
4. გოტინგენი	4	0	4	302/336	4

6 დეკემბერი

18:00 არმია-ბეშიქთაში

7 დეკემბერი

23:00 ლეიდენი-გოტინგენი

13 დეკემბერი

22:30 გოტინგენი-ბეშიქთაში
23:30 ლეიდენი-არმია

მითითებულია თბილისის დრო

ვაჟა სიმონიშვილი

დიასმა ტრავმა მატჩის მეშვიდე წუთზე მიიღო

ევროთასი

გრინი და ჰეინსი უდანაკარგოდ მიიწევენ

„ბრან კანარია" ევროთასზე უდანაკარგოდ მიიწევს წინ - მესამე ტურის შემდეგ უკვე სამი მოგება აქვს და ცალი ფეხით მეორე ეტაპზეა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულების, **მარკიზ ჰეინსისა** და **ტორნინ გრინის** „კანარიამ" მესამე ტურში თურქული „ბანვითი" 85:61 გაანადგურა.

თუ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ორივე მათგანი ხუთეულში იყო, ახლა სასტარტოში მოედანზე ჰეინსი გავიდა, რომელმაც 21:33 წუთი ითამაშა და 6 ქულასთან ერთად 2-2 მოხსნა-პასი მოაგროვა. ჰეინსმა 6 ცდიდან 2 სამქულიანი ჩააგდო, 2 ორიანი კი ააცილა.

რაც შეეხება გრინს, იგი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაება და მოედანზე ჰეინსზე ოდნავ მეტი -22:25 წუთი გაატარა. ტორინმა ერთადერთი ორქულიანი ააცილა, ხოლო 6 სამქულიანი ცდიდან 3 ჩააგდო, საბოლოოდ 9 ქულას 2 მოხსნა და 3 პასი მიუმატა.

"გრან კანარია" მომდევნო მატჩს 6 დეკემბერს კვლავ "ბანვითთან" გამართავს, ოღონდ, მეტოქის მოედანზე.

გუნდი	თ	მ	ნ	სხ	ქ
გრან კანარია	3	3	0	240/195	6
ლოკომოტივი	3	2	1	234/211	5
ბანვითი	3	1	2	201/232	4
სკაილაინერსი	3	0	3	190/227	3

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერი კუნძულზე

№12 ნიკა ჩხატარაშვილი

ორი გამარჯვება

კვიპროსის ჩემპიონატში ორი ქართველი კალათბურთელი თამაშობს. ენადის ღირსებას **ნიკა ჩხატარაშვილი** იცავს, ხოლო „აპოლონისას" - **ბესიკ ლეჟავა**. განვლილ ტურში ნიკას ენად-მა შინ „ომონია" 77:70 დაამარცხა. საინტერესოა, რომ ეს იყო ჩხატარაშვილის თანაგუნდელთა პირველი გამარჯვება მიმდინარე სეზონში. მანამდე ისინი ხუთჯერ დამარცხდნენ.

„ომონიას" ძლევაში ქართველმა ფორვარდმა 5-ქულიანი წვლილი შეიტანა.

ლეჟავას „აპოლონს" ენად-ისგან განსხვავებული მიზნები აქვს - საჩემპიონოდაა შემართული და თავისი ამბიცია მეექვსე ტურში ვიცე-ჩემპიონ აელ-თან სტუმრად გამართულ მატჩშიც დამტკიცა - სამი ქულის სხვაობით დაამარცხა (89:86).

10-ბალიან ნიშნულს სამი აპოლონელი ასცდა: **ერიკ რაშმა** 15 ქულა მიითვალა, **ბენჟამინ რეიმონდმა** - 17, ხოლო ბესიკ ლეჟავამ - 14. ქართველმა უკანახაზელმა 6-დან 3 სამქულიანი, 2-დან 2 ორიანი და 3-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

სადღეისოდ „აპოლონს" 4 გამარჯვების წილ 1 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. პირველ პოზიციაზეა „კერავნოსი", რომელსაც შვიდივე მატჩი მოგებული აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერი

მესამედაც

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „მაჰრამი" ირანის ჩემპიონატში ერთპიროვნულად გალიდერდა, თუმცა, ეს ნიკას გარეშე გააკეთა. ირანის ჩემპიონატის გასულ ტურში მაჰრამელებმა შინ „აზადი" 89:77 დაამარცხეს. ქართველმა ლეგიონერმა არც ამჯერად ითამაშა. მას ფეხის ტრავმა აქვს, რის გამოც უკვე მესამე მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

„მაჰრამთან" ერთად სატურნირო ცხრილის სათავეს „ზობ აჰანი" ედგა, რომელმაც ბოლო ტურში აუტსაიდერ „გორგანთან" წააგო. სხვათა შორის, ბოლოსწინა მატჩში ცქიტიშვილის გუნდმა „გორგანი" მისსავე მოედანზე 100:64 დაამარცხა.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

ლელო-არმაზი

ერთი ფინალი მაინც უნდა გვეთამაშა

თბილისის „ლელო“ ბოლო ათწლეულში ქართული რაგბის ერთ-ერთი მოწინავე გუნდია. მას შემდეგ, რაც 2002 წელს პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადაბარგდა, დღემდე ლელოელები უმედლებოდ არ დარჩენილან, სამჯერ კი საქართველოს თასს ფლობდნენ. ასეთივე შედეგები ჰქონდათ კლუბის ჭაბუკთა A და B ლიგის გუნდებსაც. წინა წლებისგან განსხვავებით „ლელოს“ ასპარეზობას წლეულს წარმატებულს ვერაფრით დავარქმევთ. მიზეზის გასარკვევად გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** ჩვენთან საუბარში მოკლე ისტორიული ექსკურსი გააკეთა და მომავლის გეგმებზეც ისაუბრა.

- „ლელო“ ჯერ კიდევ პირველ ლიგაში ასპარეზობდა, როცა 2002 წელს თასის ფინალში ვითამაშეთ. მას შემდეგ ჩვენმა გუნდმა ათი ფინალური მატჩი გამართა, აქედან ხუთი მოვიგეთ და ხუთში დავმარცხდით. სულ კი, ამ მცირე პერიოდში, სამჯერ საქართველოს თასი მოვიგეთ და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონები გავხდით.

ცხადია, ყოველივე ამას თავისი პრეისტორია აქვს. „ლელოს“ იმ თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადმოვიდა და 2004 წელს ჩემპიონი გახდა, მომდევნო 2005 წელს საფრანგეთის სხვადასხვა გუნდში გადავიდა. შევსება ჩვენივე სკოლის აღზრდილებით მოვახერხეთ. ყველაფერი თავიდან დავიწყეთ და 2008 წელს უკვე თასის მფლობელები გავხდით, მომდევნო 2009 წელს კი დუბლი შევასრულეთ - თასთან ერთად ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვეთ. იმავე წელს ისევ დაიწყო გუნდიდან მოთამაშეების გადინება და ცხადია, ეს ყველაფერი შედეგებზეც აისახა.

- „ლელოს“ შემადგენლობა არც წლეულსაც ჰყავდა ვინმეზე ნაკლებად სოლიდური, თუმცა მათ უმრავლესობას მუდმივად ტრიბუნებზე ვხედავდით...

- დიახ, ასე იყო, მოთამაშეთა გუნდიდან გადინებას დაემთხვა ხშირი ტრავმიანობა. წლეულს 11-მა მორაგბემ გაიკეთა სხვადასხვა სირთულის ოპერაცია. მათ შორის ორი ძალიან მძიმე, ხერხემლის ტრავმა იყო. ვისაც ახლა ჩამოვთვლი, იმის გარდა, რომ გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც თამაშობენ: ძმები გიორგი და გოდერძი ჭინჭარაულები, გიგა კირკელია, სანდრო ქოიავა, გიორგი ჭყოიძე, თორნიკე ცერცვაძე (ორივე ფეხზე გაიკეთა მუხლის ოპერაცია), დავით ბარბაქაძე, ზურა ხორბალაძე, ბექა ხიპაშვილი და გიორგი მორგოშია.

- გუნდიდან მოთამაშეების გადინება ახსენეთ. გვითხარით, ვინ დატოვა წლეულს „ლელო“?

- წლეულს გუნდიდან წავიდნენ და საფრანგეთში გადაბარგდნენ გიორგი გაბელია, გიორგი ლომინაძე და ვახო ახობაძე. თამაშს თავი დაანება ბექა სარდანაშვილმა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, შერკინების კვაჭი ირაკლი ჭყონია კი რაგბის კავშირში განვითარების ჯგუფის წევრია და 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. შესაბამისად, სეზონის დასკვნით ეტაპზე ვერ დაგვეხმარა და, ფაქტობრივად, შერკინების კვაჭის გარეშე დავრჩით.

- „ლელოს“ ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ქართული კლუბებიდან ყველაზე მეტი, სამი მორაგბე ჰყავდა მივლინებული...

- დიახ, და გარკვეულწილად ამანაც შეგვიშალა ხელი. იმის გარდა, რომ ლაშა ხმალაძე და ალექსანდრე თოდუა შარშან მძიმე ტრავმების გამო დაგვაკლდნენ, წლეულს არც მათ და არც ლექსო გუგავას, ფაქტობრივად, პირველი წრის შუა ტურების შემდეგ ჩვენთან ერთად არ უვარჯიშიათ და უთამაშიათ. მსოფლიოს თასის გათამაშებიდან კი როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად მთლიანად გამოფიტულები დაბრუნდნენ.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ოთხი მორაგბე გვყავდა მივლინებული. თანაც მთელი სეზონის განმავლობაში გაურკვეველი იყო, როდის ჩატარდებოდა თასის გათამაშების შეხვედრები. ჯერ გაზაფხულზე უნდა გამართულიყო, მერე შემოდგომისთვის გადაიტანეს. ამანაც ძალიან გვაზარალა. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ მთელი წლის განმავლობაში ექსპერიმენტები გვქონდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან ლიდერები ვიყავით, ჩვენთან ყველა გაათმაგებული მონდომებით იბრძოდა. ნელ-ნელა სხვა გუნდებიც მოღონიერდნენ, თუმცა სადღაც ჩვენც დავაკელით, შეცდომები დავუშვით. წლეულს მინიმუმ ერთი ფინალი მაინც უნდა გვეთამაშა.

- ჭაბუკთა ლიგებში მოთამაშე გუნდებზე რას იტყვით, წინა წლებთან შედარებით იქაც სერიოზული ჩავარდნა გაქვთ...

- ეგ ბავშვთა არაკვალიფიციური მწვრთნელების გამო მოხდა. გადამჭრელი ზომები უკვე მიღებულია და მწვრთნელთა შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდება. ბავშვთა რაგბის მიხედვას სერიოზულად ვაპირებთ. ეს ის რგოლია ჩვენს საქმიანობაში, რაზეც „ლელო“ მუდამ იდგა.

- როგორია კლუბის ფინანსური მდგომარეობა?

- ფინანსურად სტაბილური სიტუაცია არ გვაქვს. თუკი რამდენიმე კლუბმა ეს შეძლო, ჩვენ ამ მხრივ ძალიან გაგვიჭირდა. მართალია, „კაპაროლი“ გვეხმარება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ კლუბმა სრულფასოვანი, პროფესიული საქმიანობა აწარმოოს.

- რას გეგმავთ მომავალი სეზონისთვის, რა უნდა გააკეთოთ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს?

- მომავალი წლისთვის ბევრი რამ შეიცვლება. გადახალისდება შემადგენლობა, ზოგადად კლუბის ხედვა, მუშაობის პრინციპები. ჩვენ ყოველთვის ახალგაზრდული გუნდი გვყავდა და შესაძლოა, ამჯერადაც აქცენტი ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებზე გადავიტანოთ, რომლებიც ნელ-ნელა გაიზრდებიან, გამოცდილებას მიიღებენ. ყველაფერზე ვფიქრობთ, ვაანალიზებთ. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

ალიარება

ირაკლი ნატრიაშვილი საუკეთესოა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-11 ტურის შეხვედრაში გათამაშების ლიდერმა და ფრანგული რაგბის გრანდმა „ტულუზმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ბრივთან“ - 9:9.

ეს ამბავი არაფრით გამორჩეული არ იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. ბრიველთა შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. „ტულუზის“ წინააღმდეგ ჩვენებურმა 77 წუთი ითამაშა და მოედანზე გამორჩეული გახლდათ. ყველაზე მეტად დასამახსოვრებლი კი 30-ე წუთზე მის მიერ წამოწყებული შეტევა იყო. ნატრიაშვილმა მეტოქის ხაზის გაჭრა და 25-მეტრიანი სოლო რეიდი მოაწყო.

შეგახსენებთ, რომ ნატრიაშვილი „ბრივში“ სეზონის დაწყების წინ „არმიადან“ გადავიდა. ფრანგულ კლუბში მასთან ერთად თამაშობენ ასევე საქართველოს ნაკრების მორაგბეები **ვასილ კაკოვინი** და **დავით ხინჩაგიშვილი**.

ლეგიონერები

ისევ კოლელიშვილის შესახებ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ესპუართა, ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშების A ჯგუფში, ექვსი ტურის შემდეგ, ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, „კლერმონი“ და „ტულონი“ ლიდერობს.

ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონმა“ სტუმრად, დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით 10:9 დაამარცხა **დავით ლოსაბერიძის** „პო“. „უმცროსი ვულკანები“ 23 ქულით პირველ ადგილზე არიან და ოთხი ქულით უსწრებენ **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს“, რომელმაც ასევე სტუმრად ითამაშა „აჟენთან“ და 16:18 წააგო.

„კლერმონის“ ოფიციალური ვებგვერდი ისევ კოლელიშვილის თამაშს გამოეხმაურა, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველი მესამეხაზელი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და მალე ძირითად გუნდში **ალექსანდრ ოდობერტს** ღირსეულად შეცვლის.

VI ტური

A ჯგუფი

ტულუზი-პერპინიანი 14:23, პო-კლერმონი 9:10, ლიონი-მონპელიე 8:25, აჟენი-ტულონი 18:16, ბაიონი-ბურგუენი 18:16

სატურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 23 ქულა, 2. ტულონი - 19, 3. ბაიონი - 18, 4. პერპინიანი - 17, 5. აჟენი - 17, 6. ბურგუენი - 12, 7. პო - 9, 8. მონპელიე - 9, 9. ლიონი - 4, 10. ტულუზი - 4.

VII ტური

პერპინიანი-პო, მონპელიე-ტულუზი, კლერმონი-აჟენი, ტულონი-ბაიონი, ბურგუენი-ლიონი

B ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდები სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში არიან. **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა“, რომელიც 14 ქულით მე-5 ადგილზეა, შინ მოუგო აუსტაიდერ „ბორდოს“ 23:6.

„ალპელებს“ ხუთი ქულით ჩამორჩება და მე-8 ადგილზეა **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“, რომელმაც სტუმრად წააგო მესამეადგილოსან „ნარბონთან“ - 30:7.

B ჯგუფი

ბიარიცი-ბრივი 23:17, კასტრი-სტად ფრანსე 13:39, გრენობლი-ბორდო 23:6, მეტრო რასინგი-ლა როშელი 18:21, ნარბონი-ტარბი 30:7.

სატურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 26 ქულა, 2. ლა როშელი - 23, 3. ნარბონი - 20, 4. ბიარიცი - 18, 5. გრენობლი - 14, 6. კასტრი - 11, 7. ბრივი - 9, 8. ტარბი - 9, 9. ბორდო - 5, 10. მეტრო რასინგი - 3,

VII ტური

სტად ფრანსე-გრენობლი, ბრივი-კასტრი, ბორდო-მეტრო რასინგი, ლა როშელი-ნარბონი, ტარბი-ბიარიცი.

დუდუ ისევ სამი წლით

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა,** რომელიც საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის „ტულონის“ ღირსებას 2008 წლიდან იცავს, ამ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა.

„ტულონის“ ახალი მწვრთნელი, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ბერნარ ლაპორტი** და კლუბის მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** ჩვენებურის თამაშით კმაყოფილნი არიან და სამომავლოდ მასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვთ.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ლაპორტმა თვალი „ბრივის“ ქართველ ბურჯს **ვასილ კაკოვინსაც** დაადგა. შეგახსენებთ, რომ ქუბრიაშვილის გარდა „ტულონში“ **ლევან ჩილაჩავა** და **კონსტანტინე მიქაუტაძე** ირიცხებიან, რომლებიც ამჟამად ესპუართა გუნდში თამაშობენ.

ტესტები

ლომებმა კალენდარი დაადგინეს

„ბრიტანელი ლომები“ ტურნე სამხრეთ ნახევარსფეროში მუდამ ყველაზე საინტერესო მოვლენაა სარაგბო სამყაროში მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნე ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და 2013 წელს „ბრიტანელ ლომებს“ ავსტრალია უმასპინძლებს.

დადგენილია, რომ ბრიტანელები „ვოლაბებს“ სამჯერ დაუპირისპირდებიან და ამასთან ერთად, ექვს მატჩს გამართავენ ავსტრალიის სხვადასხვა კლუბთან, ტურნე კი 1 ივნისს ჰონგკონგში „ბარბაროსებთან“ მატჩით გაიხსნება.

აღსანიშნავია, რომ „ბრიტანელი ლომები“ ავსტრალიას 2001 წელს სტუმრობდნენ და მაშინ „ვოლაბებმა“ სამიდან ორი შეხვედრა მოიგეს. ამ ტურნეს მსვლელობისას ბრიტანელებს რვა ათასი ქომაგი ახლდათ. 2009 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ ტურნეზე კი ამ ქვეყანას 40 ათასი ჩრდილოელი ქომაგი ეწვია. ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ „ბრიტანელი ლომების“ ტურნე სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში ფინანსურად გამართლებულია.

22 ივნისი

ბრ. ლომები-ავსტრალია

25 ივნისი

ბრ. ლომები-მელბურნ რებლზი

29 ივნისი

ბრ. ლომები-ავსტრალია

6 ივლისი

ბრ. ლომები-ავსტრალია

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უსახოური სპორტი

კალათბურთი

ჰოლი და რონდო

სად ნავა რონდო?

როგორც ჩანს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე აქტუალური თემა „ბოსტონ სელტიქსის“ ძირითად გამთამაშებელთან **რაჟონ რონდოსთან** იქნება დაკავშირებული. გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „კელტები“ რონდოს გაცვლის ვარიანტებს განიხილავენ. მათ პირველ რიგში, „ნიუ ორლეან ჰორნეტს“ მიმართეს NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის **კრის პოლის** ხელში ჩაგდების მიზნით. თუმცა, როგორც ჩანს, „ჰორნეტსი“ არ არის დაინტერესებული ორგუნდიან ტრეიდში მონაწილეობით.

ამ მომენტისთვის „სელტიქსის“ გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** აქტიურად ეძებს მესამე გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მოსალოდნელ გაცვლაში.

სხვათა შორის, ცნობილი გახდა, რომ უფრო ადრე „ბოსტონის“ ხელმძღვანელობამ „ოკლაჰომას“ მიმართა და მას რაჟონ რონდო და **ჯეფ გრინი** შესთავაზა **რასელ უესტბრუკისა** და **კენდრიკ პერკინსის** სანაცვლოდ. თუმცა „ოკლაჰომა“ ამ ვარიანტით არ დაინტერესდა.

ამასობაში, რონდოს პიროვნებით „ინდიანა პეისერსი“ დაინტერესდა. ამ გუნდის ხელმძღვანელებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები „ბოსტონის“ ხელმძღვანელობასთან.

ორივე გუნდი განიხილავს ტრეიდის სავარაუდო შემადგენლობას, ამასთან, აცნობიერებენ, რომ გაცვლაში საჭირო იქნება მესამე გუნდის ჩართვა.

■ ■ ■

ასევე დიდი მოთხოვნაა „ორლანდოს“ ცენტრ **დუაიტ ჰოვარდზე**. „ლოს ანჯელეს კლიპერსისა“ და „ნიუ იორკ ნიქსის“ შემდეგ ამ კალათბურთელის მიმართ ინტერესი გამოთქვა „ნიუ ჯერსიმ“, რომელიც მზად არის „სუპერმენის“ სანაცვლოდ დათმოს ცენტრი **ბრუკ ლოპესი** და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში ორი არჩევანის უფლება.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

პოკერი

კესელი ფანების რჩეულია

„ტორონტო მეიპლ ლივზის“ ფორვარდი **ფილ კესელი** ლიდერობს გულშემატკივართა გამოკითხვას, რომელმაც „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილეები უნდა გამოავლინოს. „ოლ სტარი“ 29 იანვარს კანადის დედაქალაქ ოტავაში გაიმართება.

ფორვარდმა, რომელიც 31 ქულით სათავეში უდგას ბომბარდირთა დავას, 258 446 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა „ოტავას“ მცველი **ერიკ კარლსონი** (256 839). ეს ჰოკეისტი ლიგის ლიდერია შედეგიანი პასების რაოდენობით. მესამე ადგილს იკავებს ასევე ოტაველი **დანიელ ალფრედსონი** (233 868). „სენატორების“ კიდევ ერთი წარმომადგენელი - **ჯეისონ სპეცა** (209 455) მეხუთე პოზიციაზე იმყოფება.

ტრავმის შემდეგ ყინულზე დაბრუნებული **სიდნი კროსბი** ამ სიაში მეექვსე ადგილზე იმყოფება. „პიტსბურგის“ კაპიტანმა 206 863 ხმა დააგროვა. მეკარეებს შორის ლიდერობს „ბოსტონის“ კარის დარაჯი **ტიმ ტომასი** (175 315).

ხმის მიცემის პროცესი 4 იანვრამდე გაგრძელდება.

სამთო-სათხილამურო სპორტი

მოთხილამურეები გაიფიცნენ

მომავალ უქმეებზე ამერიკის კურორტ ბივერ-კრიკში მამაკაცები მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპში ჩაებმებიან. გუშინ უნდა გამართულიყო პირველი ოფიციალური ვარჯიში, მაგრამ ის მოთხილამურეთა პროტესტის გამო გადაიდო.

ათლეტებმა **ბოდე მილერის** ხელმძღვანელობით უკმაყოფილება გამოთქვეს ტრასის მდგომარეობის გამო. მათი აზრით, ტრასა სახიფათოა და სასწრაფოდ არის საჭირო დეფექტების გამოსწორება.

ცურვა

ფელპსი საშინაო გურნირს გოვეგს

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** მონაწილეობას არ მიიღებს აშშ-ის ჩემპიონატში, რომელიც 1-3 დეკემბერს 50-მეტრიან აუზში გაიმართება.

ამ ტურნირზე აშშ-ის ნაკრების ყველა ნამყვანი მოცურავე მიიღებს მონაწილეობას, გარდა ამისა, სტარტს აიღებს სხვა ქვეყნების რამდენიმე ვარსკვლავი.

ფელპსის უარის მიზეზის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

ფორმულა 1

ჰემილტონი კონტრაქტს იმედოვნებს

„მაკლარენის“ პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში თავის ამჟამინდელ გუნდთან კონტრაქტს გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ბრიტანულ საჯინიბოსთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა **ჯენსონ ბატონმა**.

„ვფიქრობ, არავის ეპარება ეჭვი გუნდისადმი ჩემს ერთგულებაში, - ამბობს ჰემილტონი. - *უკვე ველაპარაკე მარტინ უიტმარშს კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. როცა დრო მოვა, ერთად დავსხდებით და დეტალებს განვიხილავთ“.*

ჩოგბურთი

ვეტერანები ლონდონში შეიკრიბნენ

დღეს ლონდონში სტარტს აიღებს ვეტერანთა დიდი ტურნირი, რომელიც დაასრულებს ATP-ის საჩემპიონო ტურის სეზონს. რვა ჩოგბურთელი ორ ჯგუფად არის განაწილებული.

პირველ ჯგუფში ითამაშებენ: ბრიტანელი **ტიმ ჰენმანი**, ავსტრალიელი **მარკ ფილიპუსისი**, შვედი **ტომას ენკვისტი** და ფრანგი **ფაბრის სანტორო**. მეორე ჯგუფში: ამერიკელი **ჯონ მაკინროი**, ავსტრალიელი **პეტ კეში**, ფრანგი **ანრი ლეკონტი** და ჰოლანდიელი **რიხარდ კრაიჩეკი**.

ᲰᲝᲙᲔᲘ. NHL ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ლიდერები აგებენ

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ორ მწვრთნელს ჰქონდა დებიუტი და ორივეს თავისი საქმე ცუდად ნაუვიდა.

„ვაშინგტონი“ და მისი ახალბედა მწვრთნელი **დეილ ჰანტერი** საკუთარ მოედანზე იღებდნენ „სენტ ლუისს“ და 1:2 დამარცხდნენ. როგორც იცით, „ბლუზმენებმაც“ შეცვალეს სეზონის მსვლელობისას მწვრთნელი და ეს ძალიან მოუხდათ, რადგან **კენ ჰიჩკოკის** გუნდმა ბოლო 11 მატჩიდან ცხრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

თავიდან „სენტ ლუისი“ მდევრის როლში აღმოჩნდა - შაიბა **ბექსტრიომმა** შეაგდო, მაგრამ ამის შემდეგ „ბლუზმენებმა“ შესანიშნავად ითამაშეს დაცვაში - „ვაშინგტონის“ ლიდერ **ოვეჩკინს** ერთხელაც არ დაატყმევინეს კარში, სულ კი მასპინძლებმა მხოლოდ 19-ჯერ შეაწუხეს „სენტ ლუისის“ კარის დარაჯი **ჰალაკი**.

აღსანიშნავია, რომ „სენტ ლუისმა“ 2003 წლის შემდეგ პირველად მოიგო ვაშინგტონში და ახლა ქულა აკლია დივიზიონში ლიდერობამდე.

მეორე ახალბედა მწვრთნელი **კირკ მილერი** თავისი „კაროლინათი“ შინ იღებდა „ფლორიდას“ და 1:3 დამარცხდა. მართალია, სტუმრებმა სუსტად დაიწყეს შეხვედრა, მაგრამ სწორედ მათ შეძლეს პირველი შაიბის გატანა - ეს გააკეთა **ტომაშ ფლიშმანმა**, რომელსაც ამ სეზონში უკვე 11 გოლი აქვს და საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებაზე მიდის - 2009-10 წლების სეზონში ჩეხმა 51 ქულა დააგროვა. „კაროლინამ“ **ჯეფ სკინერის** გოლით უპასუხა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო და ბოლოს ორი შაიბა მიიღო **მატიასისგან**. „პანტერებმა“ განიმტკიცეს ლიდერობა დივიზიონში და იქ უახლოეს მდევარ „ვაშინგტონს“ ხუთი ქულით უსწრებენ.

ნიუ იორკში „რეინჯერსთან“ დამარცხდა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი „პიტსბურგ პინგვინზი“. ეს იყო დღის ცენტრალური შეხვედრა.

პირველი პერიოდი მეკარეების დუელად იქცა, რადგან **ლუნდკვისტი** და **ფლერი** დიდი ხანი არ უშვებდნენ გოლს და ბრნყინვალე სეივებს ასრულებდნენ. მაგრამ ოცწუთიანის ბოლოს „პინგვინებმა“ შეძლეს წინ გასვლა - **კროსბის** პასით რიცხობრივ უპირატესობაში **ჯეიმს ნილმა** გაიტანა.

მატჩის მეორე ნაწილი „პიტსბურგმა“ მთლიანად ჩააგდო და „რეინჯერსმა“ ათ წუთში ოთხი შაიბის გატანა შეძლო, მათ შორის, ორჯერ რიცხობრივი უპირატესობის დროს. „პინგვინზმა“ ამავე პერიოდის ბოლოს და მესამეს დასაწყისში თითო შაიბა გაიტანა, მაგრამ ნიუიორკელები თავიანთ სტილში ჩადგნენ დაცვაში და დარჩენილ დროში მეტოქეს მხოლოდ სამჯერ დაარტყმევინეს.

„რეინჯერსი“ ამჟამად ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება - მან ზედიზედ მეშვიდე საშინაო შეხვედრა მოიგო, სულ კი ბოლო 12 მატჩში 10 მოგება დაუგროვდა. მართალია, ეს გუნდი სამი ქულით ჩამორჩება „პიტსბურგს“, მაგრამ ოთხი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

პლეი ოფის ზონაში დაბრუნდა „ოტავა“, რომელმაც უხვგოლიან შეხვედრაში დაამარცხა „ვინიპეგი“ - 6:4. „სენატორებში“ ისევ დაიწყო გოლების გატანა **მილან მიხალეკმა**, რომელმაც დუბლი შეასრულა და სეზონში შაიბების რიცხვი 14-მდე აიყვანა. „ვინიპეგის“ რიგებში უნდა გამოვყოთ **ევანდერ კეინი** - როგორც ჩანს, ამ ჰოკეისტს მოუხდა გუნდის ვინიპეგში გადაბარგება, რადგან ფორვარდს უკვე 12 გოლი დაუგროვდა, სეზონში მისი პირადი რეკორდი კი 19 შაიბას უდრის.

„პიტსბურგის“ წაგებით „ჩიკაგომ“ რეგულარულში ლიდერობის შანსი მიიღო, მაგრამ შინ პირწმინდად დამარცხდა „ფინიქსის“ წინააღმდეგ. სტუმრებმა პირველ ორ პერიოდში თითო შაიბა გაიტანეს, ხოლო გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს მესამე პერიოდის პირველ ხუთ წუთში მიაყენეს, როცა კიდევ ორი გოლი შეაგდეს **კროუფორდის** კარში.

ამის შემდეგ „ჩიკაგოს“ კარში **რეი ემერი** ჩადგა და მასპინძლებს გოლი აღარ გაუშვიათ, თუმცა თავად მხოლოდ ერთხელ უპასუხეს მეტოქეს და 1:4 დამარცხდნენ. ამ ორმა ქულამ „ფინიქსს“ დივიზიონში ლიდერობა მოუტანა. წყნარი ოკეანის დივიზიონიდან პლეი ოფის ზონაში სამი გუნდი შედის, ხოლო სხვაობა მესამე ადგილზე მყოფ „ფინიქსსა“ და მეცხრეადგილოსან „სან ხოსეს“ შორის მხოლოდ ორი ქულაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ვანკუვერმა“ უპრობლემოდ დაამარცხა „კოლამბუსი“ - 4:1. ეს „კანაქსის“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იყო. დღის პირველ გმირად ვანკუვერელთა მეკარე **კორი შნაიდერი** დაასახელეს, რომელმაც 47 (!) დარტყმა მოიგერია.

კაროლინა-ფლორიდა 1:3

0:0, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ფლიშმანი-11 (ბ. კემპბელი-18, უეისი-15), 1:1 სკინერი-10 (ე. სტაალი-7, ტ. რუუტუ-5), 1:2 მატიასი-4 (კოპეცკი-8), 1:3 მატიასი-5.

ვაშინგტონი-სენტ ლუისი 1:2

1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბექსტრიომი-8 (ოვეჩკინი-10, ვოკუნი-1), 1:1 ოში-7 (სტინი-9, ბეეზი-7), 1:2 დ'აგოსტინი-6 (ბერგლუნდი-4, კ. სტიუარტი-4).

რეინჯერსი-პიტსბურგი 4:3

0:1, 4:1, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. ნილი-14 (კროსბი-8, პ. მარტინი-8), 1:1 კელეჰანი-9 (გაბორიკი-8, ბ. რიჩარდსი-9), 2:1 ჯ. მიტჩელი-1 (პაველინი-2, ბ. ბოილი-4), 3:1 ბ. რიჩარდსი-9 (ფედოტენკო-6, კელეჰანი-7), 4:1 გაბორიკი-11 (დელ ზოტო-6, ბ. რიჩარდსი-10), 4:2 მალკინი-9 (ჯ. ნილი-11, სალივანი-8), 4:3 დუპუი-7 (კროსბი-9, ენგელანდი-7).

ბაფალო-აილენდერსი 1:2

0:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 მეტ მოულსონი-8 (შტრაიტი-10, პარენტო-13), 1:1 ჰეხტი-2 (ჰომინვილი-17, ვანეკი-15), 1:2 როლსტონი-3 (ულსტრიომი-1, ბეილი-4).

ჩიკაგო-ფინიქსი 1:4

0:1, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 ლენგკოუ-4 (რეი უიტნი-12, დოუნი-9), 0:2 დოუნი-7 (ბოდკერი-4, ლენგკოუ-8), 0:3 ვრბატა-12 (რეი უიტნი-13), 0:4 რეი უიტნი-8 (ჰანტალი-10, ვრბატა-9), 1:4 შარპი-11 (ბ. კეინი-17, მარიან ჰოსა-15).

ვინიპეგი-ოტავა 4:6

0:1, 2:2, 2:3

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-13 (ალფრედსონი-5, ფოლინო-7), 1:1 ველერი-2 (ლიტლი-6, ბაფლინი-12), 2:1 ბუმბისტროვი-5 (ჯლესი-7, ფერი-1), 2:2 ზ. სმიტი-5 (კონდრა-4), 2:3 მ. მიხალეკი-14 (კ. ფილიპსი-5, კონდრა-5), 3:3 ე. კეინი-11 (ბოგოსიანი-9), 4:3 ე. კეინი-12 (ფლუდი-3, ლიტლი-7), 4:4 სპეცა-9 (ე. კარლსონი-21, კ. ფილიპსი-6), 4:5 ზ. სმიტი-6 (გონჩარი-15, დაუგავინსი-3), 4:6 ფოლინო-7 (ფინჩესტერი-4, გრინნეგი-5).

კალგარი-ნეშვილი 1:0

1:0, 0:0, 0:0

გოლი: 1:0 დ. სმიტი-1 (ბროდი-3, იგინლა-5).

ვანკუვერი-კოლამბუსი 4:1

2:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 დ. სედინი-7 (ედლერი-14, სალო-8), 2:0 ბუტი-4 (ჰეგინსი-6, ჰამპუისი-11), 2:1 პალსონი-1 (ტუტონი-10, ვერმეტი-8), 3:1 კესლერი-5 (ბაროუზი-4, დ. სედინი-20), 4:1 ბაროუზი-8 (კესლერი-9, ბიეკსა-8).

რეინჯერსი მორიგ გოლს ზეიმობს

51 წლის გოლკიპერი

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „მინესოტა უაილდმა“ კონტრაქტი გააფორმა 51 წლის „მეკარე“ **პოლ დოიჩთან**. ქსოვილების მაღაზიის მფლობელი სარეზერვო გოლკიპერი უნდა ყოფილიყო ამას წინათ „ნეშვილთან“ ჩატარებულ შეხვედრაში.

„ნეშვილის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა „მინესოტას“ ძირითადმა მეკარემ **ნიკლას ბექსტრიომმა** და მის ნაცვლად ყინულზე **ჯოშ ჰარდინგი** გავიდა. „მინესოტა“ განაცხადში მეორე მეკარედ ფარმ-კლუბიდან გამოძახებულ **მეტ ჰეკეტის** შეყვანას აპირებდა. ეს უკანასკნელი მინეაპოლისში გაფრინდა, მაგრამ კლუბში ეჭვობდნენ, რომ ის ვერ მიასწრებდა მატჩის დასაწყისს.

დოიჩმა ბოლოს ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა 1978 წელს მიიღო, როცა თავისი სკოლის ნაკრებში მცველის პოზიციაზე ითამაშა. კარში ის პირველად 37 წლის ასაკში ჩადგა.

„მინესოტასთან“ კონტრაქტი დოიჩმა **მაიკ რემსისთან** - „მინესოტას“ ყოფილ მეორე მწვრთნელთან მეგობრობის წყალობით გააფორმა. NHL-ის წესების თანახმად, „მინესოტას“ არ შეეძლო დაჩქარებული წესით პროფესიონალ მოთამაშესთან კონტრაქტის დადება და ამიტომაც მიმართეს დოიჩს.

ამ უკანასკნელმა „მინესოტას“ ჰოკეისტებთან ერთად მიიღო მონაწილეობა მატჩისწინა მოთელვაში. 51 წლის მეკარემ აღნიშნა, რომ ნერვიულობდა რაიმე სისულელე არ ჩაედინა ყინულზე. ამასობაში კი მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე არენაზე ჰეკეტიც გამოჩნდა და დოიჩი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1

ვაკანსიები დარჩენილია



ფორმულა 1-ის ნამყვანი გუნდები მომავალი წლისთვის შეინარჩუნებენ შემადგენლობას, მაგრამ ამ დღეებში სატრანსფერო ბაზარზე სიურპრიზები მაინც ვიხილეთ. **კიმი რაიკონენი** და **პედრო დელა როსა** რბოლებში დაბრუნდნენ - მათ ორწლიანი კონტრაქტები გააფორმეს. თუმცა ფორმულა 1-ის პელოტონში ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის.

რედ ბული

ზედიზედ მეორე სეზონში ორმაგი გამარჯვება, სტაბილურობა - ავსტრიულ საჯინიბოში შესაცვლელი არაფერია. **ფეტელს** მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს, **უებერს** - მხოლოდ 2012 წლის ბოლომდე.

პილოტები: სებასტიან ფეტელი, მარკ უებერი.

მაკლარენი

ბევრს ეგონა, რომ ორი ბრიტანელი ჩემპიონისთვის ერთ გუნდში სიმჭიდროვე იქნებოდა, მაგრამ ტრასაზე აშკარა კონკურენციის მიუხედავად, ჯერ „მაკლარენში" კონფლიქტი არ ყოფილა. ბატონმა გააფორმა ახალი მრავალწლიანი კონტრაქტი, ჰემილტონის ხელშეკრულება კი 2012 წელს სრულდება.

პილოტები: ლუის ჰემილტონი, ჯენსონ ბატონი.

ფერარი

გუნდმა დაადასტურა **ფელიპე მასას** კონტრაქტი 2012 წლის სეზონში, რომელიც გადამწყვეტი იქნება ბრაზილიელისთვის. **ალონსოს** მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს.

პილოტები: ფერნანდო ალონსო, ფელიპე მასა.

მერსედესი

ნოემბერში გუნდმა გააგრძელა კონტრაქტი **ნიკო როსბერგთან, მიხაელ შუმახერის** ხელშეკრულება კი 2012 წლის ბოლოს სრულდება, მაგრამ პილოტსა და გუნდს თანამშრომლობის გაგრძელება სურთ.

პილოტები: ნიკო როსბერგი, მიხაელ შუმახერი.

ლოტუს-რენო

გუნდმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კიმი რაიკონენთან, ხოლო მისი თანაგუნდელის ვინაობა მხოლოდ დეკემბერში გახდება ცნობილი. **ვიტალი პეტროვს** მომავალი წლისთვის აქვს კონტრაქტი, მაგრამ პილოტის მენეჯერი და გუნდის მფლობელი ხელშეკრულების დეტალებზე მსჯელობენ.

სხვა კანდიდატებს შორის სახელდებიან: **რომან გროსჟანი, ბრუნო სენა, ჰეიკი კოვალაინენი** და **რუბენს ბარიკელო.**

პილოტები: კიმი რაიკონენი.

ფორს ინდია

ინდური საჯინიბო ჯერ ვერ ჩამოყალიბდა მომავალი წლის შემადგენლობაზე - ოფიციალურ განცხადებას 15 დეკემბერს ელოდებიან. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ **პოლ დი რესტა** დარჩება „ფორს ინდიაში", მეორე ვაკანტურ ადგილზე კანდიდატები არიან: **ადრიან სუტილი, ნიკო ჰიულკენბერგი,** რუბენს ბარიკელო და ვიტალი პეტროვი.

პილოტები: უცნობია.

ზაუბერი

ივლისის ბოლოს „ზაუბერში" დაადასტურეს კონტრაქტები მომავალი სეზონისთვის - **კამუი კობაიაში** და **სერხიო პერესი** რჩებიან გუნდში.

პილოტები: კამუი კობაიაში, სერხიო პერესი

ტორო როსო

2012 წლისთვის „ტორო როსოს" შემადგენლობა შობამდე გამოცხადდება. კანდიდატები ბევრნი არიან: **ხაიმე ალგერსუარი, სებასტიან ბუემი, ჟანერიკ ვერნი, დანიელ რიკარდო** და „რედ ბულის" ახალგაზრდული პროგრამის სხვა მონაწილეები. დადის ჭორები, რომ ალგერსუარი დარჩება, მისი თანაშემწე კი ვერნი გახდება.

პილოტები: უცნობია.

უილიამსი

თუ **პასტორ მალდონადო** არ დაკარგავს სპონსორულ მხარდაჭერას, მაშინ გააგრძელებს კარიერას „უილიამსში". მის პარტნიორობაზე პრეტენზიას სამი პილოტი აცხადებს: რუბენს ბარიკელო, ადრიან სუტილი და **ვალტერი ბოტასი.**

პილოტები: უცნობია.

ლოტუსი

ფორმალურად, გუნდმა დაადასტურა შემადგენლობა - ჰეიკი კოვალაინენსა და **იარნო ტრულის** აქვთ კონტრაქტები, მაგრამ იარნოს ადგილს დანიელ რიკარდოს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა ამისთვის გუნდს კონტრაქტის გაწყვეტა მოუწევს ტრულისთან. მოლაპარაკებები გრძელდება.

პილოტები: ჰეიკი კოვალაინენი, იარნო ტრული.

HRT

პედრო დე ლა როსამ ცოტა ხნის წინ გააფორმა კონტრაქტი და მომავალი წლიდან დაბრუნდება ფორმულა 1-ში. მისი პარტნიორის არჩევა გუნდის სტრატეგიაზე იქნება დამოკიდებული - ბაზარზე ბევრია უკონტრაქტო პილოტები როგორც მუშაობის გამოცდილებით, ასევე სპონსორული მხარდაჭერით.

პილოტები: პედრო დე ლა როსა.

ვირჯინი

ბრაზილიის გრანპრის შემდეგ გუნდმა დაადასტურა კონტრაქტი **შარლ პიკთან,** რომელიც შემდეგ სეზონში შეცვლის **ჟერომ დ'ამბროზიოს. ტიმო გლოკი** რჩება გუნდში.

პილოტები: ტიმო გლოკი, შარლ პიკი.

ფეგელი: კიმის გაუჭირდება

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** მიიჩნევს, რომ ფორმულა 1-ში დაბრუნებულ **კიმი რაიკონენს** გარკვეული დრო დასჭირდება ძველი ფორმის დასაბრუნებლად.

„რედ ბულის" მოქმედ ჩემპიონს რაიკონენთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს: ორივენი შვეიცარიაში ცხოვრობენ, ხშირად სტუმრობენ ერთმანეთს და ერთად თამაშობენ ბადმინტონს. მაგრამ სებასტიანი ღიად აცხადებს იმის შესახებ, რომ კიმის იგივე პრობლემები ელის, რაც **მიხაელ შუმახერს** ჰქონდა „სამეფო რბოლებში" დაბრუნების შემდეგ.

„ყველამ ერთად ვნახეთ მიხაელის დაბრუნება, - ამბობს გერმანელი პილოტი. - შუმახერი ფორმულა 1-დან მაშინ წავიდა, როცა ჯერ კიდევ შესანიშნავ ფორმაში იყო. მაგრამ როცა დაბრუნდა, აღიარა, რომ სპორტში ბევრი რამ შეიცვალა და მას დრო სჭირდება ადაპტაციისთვის.

მე ვიხსენებ მანქანას, რომლითაც ორი წლის წინ გამოვდიოდი რბოლებში და შემიძლია გითხრათ, რომ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა. უბრალოდ საოცრებაა: საჭეზე ღილაკები სეზონის მსვლელობის დროსაც ემატება. დაბრუნდე და მაშინვე აჩვენო ძველი დონე - ეს ძალიან რთულია".

სება და კიმი

ფორმულა ევროპას ტოვებს

ესპანური „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში ფორმულა 1-ის კომერციულმა ბოსმა **ბერნი ეკლსტოუნმა** დაადასტურა ბოლო წლების ტენდენცია - ყოველწლიურად ევროპული ეტაპების რიცხვი შემცირდება...

„ვფიქრობ, ევროპასთან მიმართებაში ისტორია დასრულებულია. გარკვეული დრო ის კვლავ მოიზიდავს ტურისტებს, მაგრამ ევროპა უკვე წარსულს ეკუთვნის. ჩემი აზრით, რამდენიმე წლის შემდეგ კალენდარში მხოლოდ ხუთი ევროპული გრანპრი გვექნება.

კალენდარში გაჩნდება რუსეთის ეტაპი - უკვე არსებობს კონტრაქტი სოჭთან. შესაძლებელია ეტაპების გამართვა მექსიკასა და სამხრეთ აფრიკაში. ჩემპიონატის გეოგრაფია ფართოვდება. რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვერც კი გავიფიქრებდით, რომ სამხრეთ კორეაში რბოლას ჩავატარებდით", - ამბობს ბერნი ეკლსტოუნი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

რუბინი-შემროკი	4:1
ტოტენჰემი-პაოკ	1:2
სტანდარდი-ჰანოვერი	2:0
ვორსკლა-კოპენჰაგენი	1:1
ლეგია-ეინდჰოვენი	0:3
რაპიდი (ბ)-ჰაპოელი (თ-ა)	1:3
მალმიო-ალკმაარი	0:0
მეტალისტი-აუსტრია	4:1
ბრაგა-ბირმინგემი	1:0
მარიბორი-ბრიუგე	3:4
სელტიკი-ატლეტიკო	0:1
რენი-უდინეზე	0:0

ინგლისი

კონფერენსი

რეძსჰემი-დარლინგტონი	2:1

ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

მანჩესტერ იუნ-კრ. პალასი	1:1 დ.დ. 1:2

იტალია

სერია C1/B

ანდრია-ბასანო	1:1

იტალიის თასი

IV რაუნდი

ჩეზენა-გუბიო	3:0

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

სტ. პაული A-ჰალეშერი	2:2

რეგიონალლიგა (სამ)

აინტრახტი A-ვორმატია	1:2

შოტლანდია

I დივიზიონი

ეირი-პარტიკი	0:0

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ლუგანო-ბელინცონა	2:0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოს-დოქსა	6:0

II დივიზიონი

აგროტიკოს-ანაგენისი (ე)	1:2
ეთნიკოს-ფოკიკოს	2:0
ლარისა-ირაკლისი	0:0
პიერიკოს-პანსერაიკოს	0:0

ყაზარეთის თასი

აპეპ-ერმისი	1:3
აეპ-ენოსისი	3:3 პენ. 5:4
ალკი-ონინილოსი	4:1
ატრომიტოსი-აეკ	1:3
ოტელოსი-არისი	0:3
აელ-ეთნიკოსი	2:0

სლოვაკეთის თასი

ვინოგრადარი-სიგალია	1:1
ოსიეკი-რიეკა	2:0
ზაგრები-ჰაიდუკი	1:0 პენ. 5:4

უნგრეთის თასი

ბაიაი-კოზარმისლენი	2:0
კაპოშვარი II-უიპეშტი	2:1
პუტნოკი-კაპოშვარი	1:1
კეჩმეკეტი-დებრეცენი	1:2
მტკ-პეჩი	0:1
ბეკეშჩაბა-ფერენცვაროში	0:0
დიოშდიორი-დიორი	1:1
ვიდეოტონი-ჰალადაში	1:0

ეკვადორი

ინდეპენდიენტე-იმბაბურა	1:1
ესპოლი-დეპ. კუენსა	2:3

პარაგვაი

რუბიო ნუ-ხენერალი	0:2
სპორტივო-გუარანი	1:5

კალათბურთი

ევროლიგა

კაცები

ჟალგირისი-უნიკახა	67:65
შარლერუა-ეფესი	62:66
ბამბერგი-ცსკა	78:81
ბილბაო-ნანსი	97:75
პანათინაიკოსი-ზაგრები	94:76

ქალები

უგმკ-ლოტოსი	79:56
სპარტა-ბამბრინუსი	97:62
ვიში-გალათასარაი	66:84
გოსპიჩი-რივასი	67:52
პრალა-ბურჟი	73:69

ევროჩელენჯი

ბონი-ვინსკი	93:81
ოლდენბურგი-ნიტრა	88:79

პოკერი

კელ

ვიტიაზი-ბარისი	2:6
სევერსტალი-ტრაქტორი	1:4
სპარტაკი-ავტომობილისტი	5:2
ცსკა-ტორპედო	2:3 (ბ)
ლევ პოპრადი-დინამო (მ)	4:3 (ბ)

ფინეთი

ჰიფკ-ჰპკ	3:2

ჩეხეთი

ლიბერეცი-პლზენი	2:1 (ო)

● TV პროგრამა

1 დეკემბერი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
14:00 ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-კრისტალ პალასი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. მარსელი-პსჟ.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVII ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. ბარსელონა-რაიო ვალეკანო.
23:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
00:30 არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
01:30 იტალიის შოუ.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.
14:45 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კიევი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლენსტერი-გლაზგო უორიორზი.
18:45 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩპოინტი.
20:45 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.
23:15 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. კანტუ-კახა ლაბორალი (LIVE).
01:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მილანი-რეალი.

GMG-სპორტი 2

10:00 ტელეეფურნალი - ემოციები
10:30 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - ემოციები.
11:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლესტერი-ალსტერი.
17:15 სუპერკოლაჟი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი.
19:30 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
23:15 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - ემოციები.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მილანი-რეალი (LIVE).
01:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. კანტუ-კახა ლაბორალი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

20:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლოკომოტივი-შტურმი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვასლუი-ლაციო (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჩეხოვსკიე მედვედი-ატლეტიკო (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კანტუ-კახა ლაბორალი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

21:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტენტე-ფულჰემი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სტოკი-დინამო (კ) (LIVE).
03:00 ცურვა. აშშ-ის ჩემპიონატი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:30 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. უნიქსი-გალათასარაი (LIVE).
21:55 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ფენერბაჰჩე-ოლიმპიაკოსი (LIVE).
23:45 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მილანი-რეალი (LIVE).

SPORT+

18:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. უნიქსი-გალათასარაი (LIVE).
23:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. სკავოლინი-დინამო (მ) (LIVE).

EUROSPORT

20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).

EUROSPORT-2

23:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა (15-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა (15-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოკოს მორიგი აღიარება

ნოვაკ ჯოკოვიჩი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** 2011 წლის სეზონში მიღწეული წარმატებებისთვის მორიგი ჯილდო მიიღო.

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა - GQ-მ სერბი ჩოგბურთელი „წლის სპორტსმენად" დაასახელა.

ჯოკოვიჩი ისეთი პიროვნებების გვერდით აღმოჩნდა, როგორებიც არიან რეპერი **Jay-Z** („წლის მეფე"), მომღერალი **ჯასტინ ტიმბერლეიკი** („წლის შოუმენი") და კალათბურთელი **დერიკ როუზი** („წლის MVP").

GQ ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალია მსოფლიოში, რომელსაც საშუალოდ თვეში 6.6 მილიონი ადამიანი კითხულობს.

კირილენკო ოვეჩკინს ხვდება

კირილენკო ვაშინგტონში

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია კირილენკომ** ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ვაშინგტონის გარეუბანი არლინგტონი აირჩია. მარიას ამ გადაწყვეტილებამ ჟურნალისტებს ჭორების საბაბი მისცა. მათი ვარაუდით, მარია NHL-ის კლუბის „ვაშინგტონ კეპიტალზის" რუს ვარსკვლავს **ალექსანდრ ოვეჩკინს** ხვდება.

გაზეთი The Montreal Gazzette საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ კირილენკო დაშორდა რუს ჩოგბურთელ **იგორ ანდრეევს** და ახლა ოვეჩკინთან გააბა რომანი. ამის დასადასტურებლად ჟურნალისტებს ის ფაქტი მოჰყავთ, რომ მარია ხშირად ესწრება „ვაშინგტონის" თამაშებს, ხოლო თავად ოვეჩკინი არაერთხელ შენიშნეს კირილენკოს ვარჯიშებზე.

ცონგა ფინალის დროს გაქურდეს

ჟო-ვილფრიდ ცონგა

უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა ფრანგ ჩოგბურთელ **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. როგორც შვეიცარიული გაზეთი Le Matin წერს, იმ დროს, როცა ჟო ფინალურ მატჩს მართავდა **როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ წლის შემაჯამებელ ტურნირზე, ფრანგის შვეიცარიულ სახლში ქურდები შეიპარნენ.

ამის შესახებ პოლიციას ფრანგი ჩოგბურთელის ერთ-ერთმა მეზობელმა აცნობა, რომელმაც შეამჩნია, რომ ცონგას სახლის კარი ღიად იყო დარჩენილი.

ჟო-ვილფრიდ ცონგა საფრანგეთის საზღვართან ახლოს შვეიცარიის პატარა ქალაქ ჟინგენში ცხოვრობს. ფრანგი იქ საცხოვრებლად 2009 წლის ივნისში გადავიდა.

ენდი ნომინანტია

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, შოტლანდიელი **ენდი მიურეი** „ბრიტანეთის წლის სპორტსმენის" ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას.

კანდიდატთა შორის ასევე დასახელებულნი არიან: გოლფისტები **დარენ კლარკი, ლუკ დონალდი** და **რორი მაკილროი**, მოკრივე **ამირ ხანი**, მძლეოსნები **მო ფარა** და **დეი გრინი**, ველომრბოლი **მარკ კევენდიში** და კრიკეტისტები **ელისტერ კუკი** და **ენდრიუ სტრაუსი**.

გამარჯვებული გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდება. პრიზის გადაცემის საზეიმო ცერემონია 22 დეკემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ წელს მიურეიმ მოიგო ATP-ის სერიის ხუთი ტურნირი, მათ შორის ორი მასტერსი ცინცინატისა და შანხაიში. გარდა ამისა, ენდიმ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშა.

ენდი მიურეი

ფედერერი: ჩოგბურთისგან სიამოვნებას ვიღებ

როჯერ ფედერერმა შვეიცარიული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში შეაფასა 2011 წლის სეზონის ტრიუმფალურად დასრულება, როცა მან ბრწყინვალე სტილში გაიმარჯვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე, თან ახალი რეკორდი დაამყარა - ეს ჩემპიონატი მეექვსედ მოიგო, რაც აქამდე არც ერთ ჩოგბურთელს არ გაუკეთებია.

ინტერვიუში შვეიცარიელმა ილაპარაკა ახალ რეკორდზე, მომავალი სეზონის მოლოდინზე, პიტ სამპრასთან და ივან ლენდლთან შედარებაზე და სხვა თემებზე...

- 2011 წლის სეზონის ტრიუმფით დასრულების შემდეგ თქვენი მთავარი მიზანი ოლიმპიური ოქრო იქნება?

- არ ვიცი, რადგან ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ შორია. თუმცა, რატომაც არა? ახლა ძალიან გადაღლილი ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გაისად სამჯერ გავემგზავრები ლონდონში – უიმბლდონზე, ოლიმპიადაზე და წლის შემაჯამებელ ტურნირზე. უსამართლობა იქნებოდა სხვა ტურნირებთან მიმართებაში ოლიმპიადის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადება. მაგრამ ნამდვილად არ მინდა ზაფხულის თამაშების გამოტოვება და იმედი მაქვს, ამ სტარტს ჯანმრთელი და კარგად მომზადებული შევხვდები.

- რას ფიქრობთ საუკეთესო ოთხეულის სხვა მოთამაშეებზე და რამდენად მოტივირებული ხართ "დიდი სლემის" ტურნირებზე მორიგი ტრიუმფისთვის?

- რა თქმა უნდა, შესანიშნავი იქნება "დიდი სლემის" ჩემპიონატის კიდევ ერთხელ მოგება. წელს რამდენიმე ასეთი შანსი გავუშვი ხელიდან. იქნებ მომავალ წელს გამიმართლოს, თუმცა სხვა ჩოგბურთელებსაც იგივე ჩანაფიქრი ექნებათ.

ჯოკოვიჩი ულაპარაკოდ ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშეა. როცა ჩოგბურთელი სტარტიდან მოყოლებული ზედიზედ 40 მატჩის მოგებას ახერხებს, ის სრულად იმსახურებს ამგვარ აღიარებას. ვფიქრობ, ენდი მიურეიმაც კარგი სეზონი ჩაატარა. მას არ გაუმართლა, რომ წელი მაჟორულ ნოტაზე ვერ დაასრულა. ჩემი აზრით, მომავალ წელს კიდევ უფრო რთული იქნება მის წინააღმდეგ თამაში. რაფა ნადალი კი ყოველთვის განაცხადებს პრეტენზიას პროფესიულ ტურში ლიდერობასა და დიდ ტურნირებში გამარჯვებაზე – ამას მისი უმაღლესი კლასიდან გამომდინარე ვამბობ.

ასე რომ, შემდეგი სეზონი საინტერესო უნდა გამოვიდეს. ვნახეთ, რომ რეიტინგში მეხუთე-მერვე ადგილებზე მყოფი ჩოგბურთელები ახლოს არიან თამაშის დონით პირველ ოთხეულთან. სხვებსაც შეუძლიათ კარგად თამაში. ტოპ-ათეულის ჩოგბურთელებიც უმაღლესი დონის ოსტატები არიან. მოკლედ, გაისად რთულ ბრძოლას ველოდები.

- ლონდონში ურთულეს ბრძოლაში მოიგეთ ფინალი, რასაც ამ სეზონში ხშირად ვერ ახერხებდით. პრობლემა ფსიქოლოგიაშია?

- ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. ხდება ხოლმე, როცა შენი მეტოქე უბრალოდ უკეთ თამაშობს. ჟო ჩემზე უკეთესი იყო უიმბლდონზე. შესაძლოა, სულ მცირედით, მაგრამ ეს საკმარისი იყო გამარჯვებისთვის. იგივე ითქვის რაფასთან როლან გაროსის ფინალზე ან ნოვაკთან აშშ-ის ღიას ნახევარფინალზე. უნდა შეგეძლოს ამის აღიარება. მაგრამ, როცა ასეთი რამ ხშირად ხდება, ვიწყებ ფიქრს: იქნებ, რაიმეს თავად არ ვაკეთებ სწორად?

ვფიქრობ, მენტალური თვალსაზრისით დღეს სრულ წესრიგში ვარ. ჩემ მიერ აღებული პაუზის ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა გამეაზრებინა ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენები, დამელაგებინა ჩემი აზრები. არ მინდა ზედმეტად შევაფასო თამაშის შემადგენელი ფსიქოლოგიური მხარე, მაგრამ არც მისი შეუფასებლობა ივარგებს. კარგად გამოსვლისთვის მნიშვნელოვანია პოზიტიური შედეგისადმი სათანადო განწყობა. მაგრამ ყოველთვის პოზიტიურ ტალღაზე ვერ იქნები. ეს ძალიან რთულია. მაშინ ოდნავ შემეპარა ეჭვი საკუთარ თავში, მაგრამ, ვფიქრობ, სეზონის ბოლოს გადავლახე ეს მომენტი. ამაში, რა თქმა უნდა, ექვსკვირიანი პაუზა დამეხმარა.

- შემაჯამებელ ტურნირში გამარჯვება მნიშვნელობით შეიძლება გაუთანაბრდეს ტიტულს „დიდ სლემზე". რამდენად მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ორივე ფრონტზე გამარჯვებების რაოდენობით რეკორდსმენობა?

- რა თქმა უნდა, ძალიან ამაყი ვარ ამ მაჩვენებლებით. მიუხედავად ამისა, მაინც არ მიმაჩნია საკუთარი თავი პიტ სამპრასზე ან ივან ლენდლიზე უკეთეს ჩოგბურთელად. მიხარია, რომ მათ მადარებენ. და მსიამოვნებს, ჩემს შედეგებზე საუბრისას ყოველთვის ამ დუეტს რომ იხსენებენ. მათ ძალიან ბევრი გააკეთეს ამ თამაშისთვის. ხანდახან, ლეგენდებს ძალიან სწრაფად ივიწყებენ და ეს არასამართლიანია. ძალიან კარგია, რომ ჩვენ ვიხსენებთ მათ და სხვა დიად ჩოგბურთელებს, ვლაპარაკობთ მათ შესახებ. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ორგზის რეკორდსმენი ვარ, რადგან ვიცი, რა ძალისხმევად დამიჯდა ეს ყველაფერი. ეს არის მრავალწლიანი მუშაობის შედეგი, რადგან ამას მოკლე დროში ვერ მიაღწევ. ეს ამტკიცებს, რომ შეიძლება წარმატებული იყო ყველა საქმეში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

- მიგაჩნიათ, რომ გადატვირთული კალენდრის მიუხედავად, წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალი ხუთსეტიანი უნდა იყოს?

- დიახ, ვფიქრობ, ის იმსახურებს ამგვარ სტატუსს. ამაზე თუნდაც ჩემი და ცონგას ფინალი მეტყველებს, სადაც ბევრი იყო ბრძოლა და სიტუაციის ცვლილება ხან ერთი და ხან მეორე ჩოგბურთელის სასარგებლოდ. ვგრძნობდი, რომ მაყურებელი მზად არ იყო სწრაფი ფინალისთვის და მეტი სანახაობა უნდოდა.

მახსოვს, შანხაიში მოთამაშეებს ჰკითხეს – შემაჯამებელ ტურნირში ხუთსეტიანი ფინალი უნდა ითამაშონ თუ სამსეტიანი? ყველამ სამსეტიანი ფინალი მოისურვა. მხოლოდ მე ვიყავი ერთადერთი, ვინც ხუთსეტიან მატჩს დაუჭირა მხარი. რა თქმა უნდა, სამსეტიანი მატჩები ჯანმრთელობისთვის ნაკლებად მძიმეა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ წლის შემაჯამებელის ფინალი ხუთ პარტიაში უნდა ჩატარდეს.

- თქვენ უამრავი ტიტულისა და რეკორდის მფლობელი ხართ. როგორ ახერხებთ დღემდე მოტივაციის შენარჩუნებას?



- ეს ნორმალურია. არასოდეს მითქვამს, რომ კიდევ 10 წელი ვაპირებ თამაშს. ყოველთვის მხოლოდ წელინადნახევარი-ორი წლით წინ ვიყურები. შემდეგ, როცა დროის ეს პერიოდი გადის, ვაფასებ ჩემს ფიზიკურ მდგომარეობას. როგორც ჩანს, სპორტის ეს სახეობა სხვებზე მეტად მიყვარს. ასე რომ, გამორიცხულია დადგეს დღე, როცა ეს თამაში შემძულდება. რა თქმა უნდა, ჩოგბურთი სერიოზულ მსხვერპლს მოითხოვს. ყოველდღიურად დიდი ძალისხმევა მჭირდება იმისთვის, რომ მაღალი დონე შევინარჩუნო. მაგრამ მე ამ ყველაფრისგან სიამოვნებას ვიღებ, რადგან ჯილდოდ ისეთი მომენტები მერგება, როგორც, მაგალითად, ლონდონში მქონდა. და მე მოუთმენლად ველოდები ახალი სეზონის დაწყებას. დიახ, მოხარული ვარ, რომ სეზონი დასრულდა, რადგან ის გრძელი და მომქანცველი იყო, მაგრამ, ამავდროულად, ბედნიერი ვარ და ოპტიმიზმით ვუყურებ მომავალს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა